ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ქეთევან ჩალათაშვილი

ქართველთა საზოგადოებრივი გაერთიანებების მოღვაწეობა მოსკოვში

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა _ 07.00.01. _ საქართველოს ისტორია

სამეცნიერო ხელმძღვანელი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **კონსტანტინე ანთაძე**

თბილისი 2006

შინაარსი

შესავალი . . .

3.12. ინფორმაციული ცენტრი «საზოგადოებრივი ლაბორატორია: ქართული დიასპორის სამოქალაქო ჯგუფი» 103
3.13. ახალგაზრდული მოძრაობა «ლაზარე» 105

თავი IV. ქართული ნაციონალური სკოლები მოსკოვში 107
4.1. მოსკოვის ნაციონალური სკოლების მოკლე ისტორია 107
4.2. მოსკოვის ნაციონალური განათლების პოლიტიკა XX_XXI საუკუნეების მიჯნაზე 108
4.3. მოსკოვის ნაციონალური განათლების დაწესებულებების ტიპები 118
4.4. ქართული ნაციონალური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლები მოსკოვში 121
4.4.1. განათლების ეთნოკულტურული (ქართული) კომპონენტის მქონე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლები 121
4.4.2. ქართული ნაციონალური კერძო სკოლები _ ლიცეუმები 129

ძირითადი დასკვნები 141

გამოყენებული ლიტერატურა 147

შესავალი

მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ დგას პატარა სახელმწიფოების წინაშე. ოდითგანვე საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მრავალ პრობლემას შორის უმნიშვნელოვანესი იყო და არის სწორედ დიდი, ძლიერი ქვეყნების მეზობლობა. საუკუნეების მანძილზე საქართველო სხვადასხვა იმპერიათა ინტერესების სფეროს წარმოადგენდა, რის გამოც იგი ყოველთვის იდგა (და დღესაც დგას) სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების თუ ნორმალური განვითარების გზებისა და საშუალებების ძიების აუცილებლობის წინაშე. ამიტომ, საერთაშორისო სისტემაში ძალთა იერარქიის, ძლიერის მიერ სუსტი მეზობლისათვის საკუთარი ნების თავს მოხვევის ცდუნების არსებობის პირობებში, კეთილმეზობლური თუ სახელმწიფოს უსაფრთხოების თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად მისაღები ურთიერთობის დარეგულირებისაკენ მიმართული მოღვაწეობის შესწავლისა და სათანადო შეფასების მცდელობის აქტუალობა ეჭვს არ იწვევს.

საქართველოსა და მისი უახლოესი ჩრდილოელი მეზობლის _ რუსეთის ურთიერთობები ჯერ კიდევ X ს-ში ერთეული კონტაქტებით დაიწყო, XVII ს-ის ბოლოსა და XVIII ს-ში ეს ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაფართოვდა მოსკოვში ქართული ახალშენის დაარსებით, ხოლო XIX ს-ის დამდეგიდან გადაიზარდა ჯერ მეფის რუსეთის, შემდეგ კი (XX ს-ში) _ კომუნისტური (საბჭოთა) იმპერიის ჩარჩოებში ერთობლივ თანაცხოვრებაში. და თუმცა საქართველოსთვის ეს იყო ძალისმიერი, პოლიტიკურად იძულებით თავსმოხვეული გაერთიანება, რუს და ქართველ ხალხებს შორის, განსაკუთრებით რუსეთისა და საქართველოს პროგრესულად მოაზროვნე წარმომად-გენლებს შორის მჭიდრო კონტაქტებმა იმდენად ღრმა სოციალური, ნათესაური თუ კულტურული ფესვები გაიდგა, რომ დღესაც, როდესაც ორივე მხარეს (განსაკუთრებით, საქართველოს) ერთმანეთის მიმართ მრავალი პრეტენზია დაუგროვდა, ეს კავშირები საბოლოოდ არ გაწყვეტილა, რასაც ყოველთვის უწყობდა და უწყობს ხელს მოსკოვში მცხოვრები ქართველების ძალისხმევა. სწორედ ასეთი ადამიანების ან ინტერესთა მიხედვით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფების (საზოგადოებრივი გაერთიანებების) სამშობლოს საკეთილდღეოდ მიმართული საქმიანობა წარმოადგენს საქართველო-რუსეთის ურთიერთობების რეალიზაციის ერთ-ერთ და მეტად მნიშვნელოვან ასპექტს.

ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სწორედ მათ შეიტანეს დიდი წვლილი და მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ამ ურთიერთობების გაღრმავებაში, სხვადასხვა თაობის ქართული დიასპორის გაერთიანებასა და მათი ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებაში.

თავისი მიზნები ჰქონდათ XVIII ს-ში მოსკოვის ქართული ახალშენის წარმომადგენლებს, ახალი ამოცანების გადაწყვეტას ცდილობდნენ XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში მოსკოვში შექმნილი ქართველთა საზოგადოებრივი გაერთიანებები, ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ XX ს-ის 80-იანი წლებიდან დღემდე მოსკოვში ჩამოყალიბებული ქართველთა საზოგადოებრივი გაერთიანებები. შესაბამისად იცვლებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების განმტკიცებისკენ და, ამავე დროს, ეროვნული ინტერესების დაცვისკენ მიმართული ღონისძიებების შინაარსი და მათი რეალიზაციის მეთოდები, რაც განაპირობებს მათი გამოცდილების შესწავლის აქტუალობას, მითუმეტეს დღეს – ტოტალიტარული რეჟიმიდან დემოკრატიულ სამოქალაქო საზოგადოებაზე გადასვლის ეტაპზე, რომელსაც თან სდევს ეთნიკური ურთიერთობების დაძაბვა, სეპარატიზმისა და «ველიკოდერჟავული» ნოსტალგიის გამოვლინებები და ეთნიკური კონფლიქტები.

ნაშრომის აქტუალობა მდგომარეობს იმაშიც, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების ისტორიულმა განვითარებამ განაპირობა რუსეთში (პირველ რიგში, მოსკოვში) ქართველთა სხვადასხვა თაობების წარმომადგენლების საკმაოდ დიდი დიასპორის არსებობა. ქართული დიასპორის რიცხოვნობა მკვეთრად გაიზარდა საბჭოთა პერიოდში, როდესაც მთავრობის ინიციატივით ხდებოდა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან, მათ შორის საქართველოდან, ცენტრში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, გამოჩენილი მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის ცნობილი მოღვაწეების მიზიდვა.

ქართული დიასპორის შევსების (გაფართოების) კიდევ ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა მოსკოვში უმაღლესი განათლების მიღების მსურველი ახალგაზრდობა, რომლის დიდ ნაწილს, განსაკუთრებით პერსპექტიულ, წარჩინებულ კურსდამთავრებულებს, მთავრობისა და თავად რუსი მეცნიერების ხელშეწყობით, ეძლეოდა მოსკოვის საუკეთესო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მუშაობის შესაძლებლობა შესაბამისი საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფით. ბევრი

მათგანი ქმნიდა ოჯახებს, ხშირად შერეულს. სამშობლოს, ქართულ ფესვებს მოწყვეტილი ემიგრანტების მეორე თაობა კარგავდა თავის ნაციონალურ კუთვნილებას, მშობლიურ ენას, რაც, ბუნებრივია, ქართული დიასპორის (უფროსი თაობის) პატრიოტულად განწყობილი წარმომადგენლების შეშფოთებას იწვევდა. ამიტომ დემოკრატიზაციის პროცესის დაწყებისთანავე შეიქმნა საინიციატივო ჯგუფები (მოგვიანებით _ «საზოგადოებები»), რომლებიც თავისი სახსრებით ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცემდნენ საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ ობიექტური ინფორმაციის შემცველ გაზეთებს, აცნობდნენ მკითხველებს ქართული კულტურის მიღწევებს, საქართველოს ისტორიას; აღვივებდნენ ნაციონალურ თვითშეგნებას; აყალიბებდნენ მშობლიური ენის შემსწავლელ კურსებს, ფოლკლორულ ანსამბლებს, ბიბლიოთეკებს; ხელს უწყობდნენ ნაციონალური საბავშვო ბაღებისა და სკოლების დაარსებას; აწყობდნენ ქართველი მხატვრების გამოფენებს, შეხვედრებს რუსული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან და სხვ.

მოსკოვში ქართული საზოგადოებრივი გაერთიანებების მოღვაწეობის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ ლტოლვილების დიდი ნაკადის მოზღვავების შედეგად. საზოგადოებრივმა გაერთიანებებმა, თავისი წევრების საკუთარი შესაძლებლობების და მოსკოვის საზოგადოების წარმომადგენლებთან პირადი კავშირების გამოყენებით, მკვეთრად გააფართოვეს თავისი საქმიანობის არეალი: სამოქალაქო ომის და ეთნიკური წმენდის საშინელებებგადატანილ ადამიანებს შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფდნენ ჰუმანიტარული დახმარებით, საცხოვრებელი ბინებით, სამედიცინო დახმარებით, სამუშაო ადგილების მოძიებით, მათივე ინიციატივით ან ხელშეწყობით მოსკოვში გახსნილ ნაციონალურ საბავშვო ბაღებში და სკოლებში რუსული ენის არმცოდნე ბავშვების განაწილებით.

ნაშრომის აქტუალობას განსაზღვრავს ისიც, რომ მასში შესწავლილია, აგრეთვე, XX ს-ის ბოლოს მოსკოვში დაარსებული ნაციონალური სკოლების საქმიანობა, მათი არსებობის პირობები და პერსპექტივები, მათი წვლილი ქართული დიასპორის ახალგაზრდა თაობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდასა და სამშობლოსაგან გაუცხოების საფრთხის თავიდან აცილებაში.

კვლევის აქტუალობიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის საგანია XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში, აგრეთვე XX ს-ის ბოლოსა და XXI ს-ის დასაწყისში მოსკოვში არსებული ქართველთა დამოუკიდებელი საზოგადოებრივი გაერთიანებები, მათი ჩამოყალიბების განმაპირობებელი მიზეზები, სტრუქტურა, მიზნები და მათი რეალიზაციის საშუალებები, აგრეთვე, XX ს-ის ბოლოს და XXI ს-ის დასაწყისში მოსკოვში არსებული ქართული ნაციონალური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების საქმიანობა, პრობლემები და პერსპექტივები.

დისერტაციის პირველ თავში სპეციალურადაა განხილული საკვლევი საგნის ირგვლივ არსებული ან მასთან დაკავშირებული ლიტერატურა, რამაც საშუალება მოგვცა გაგვეაზრებინა ისტორიული პროცესები, რომლებმაც საქართველო-რუსეთის ურთიერთობების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განაპირობა მოსკოვში ქართული დიასპორის წარმოქმნა და ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი საზოგადოებრივი გაერთიანებების ჩამოყალიბება. ამ გაერთიანებებმა მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი წლების მანძილზე სამშობლოს მოწყვეტილი ადამიანების უცხო გარემოსთან ადაპტაციას, სხვა ერების წარმომადგენლებთან ურთიერთობების დამყარებას, ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებას და დედა-საქართველოს წინაშე პასუხისმგებ-ლობის, მოვალეობის გრძნობის განმტკიცებას. მნიშვნელოვანწილად ამ საზოგადოებების საქმიანობის წყალობით მრავალი ქართველი ახალგაზრდა ჩამოყალიბდა სხვადასხვა დარგის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად, რამაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის შექმნას.

ამ საზოგადოებების მოღვაწეობა რუსეთში, უპირველეს ყოვლისა, მოსკოვში, საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ისტორიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია.

სამწუხაროდ, XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობა (ერთეული გამონაკლისის გარდა[1]) ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებადაა შესწავლილი. მრავალ ზოგადი ხასიათის ფუნდამენტურ ნაშრომში თუ სპეციალურ გამოკვლევაში უპირატესად ვხვდებით მათი არსებობის ფაქტის აღნიშვნას; გარკვეული ყურადღება ეთმობა

[1] გოდერიძე ლ., ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებების ისტორია. «ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება», დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1971

საზოგადოებების ზოგიერთი წევრის სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას, წარჩინებული ქართველი სტუდენტების სამეცნიერო წრეებში მონაწილეობას, მოსკოვში მცხოვრები ქართველების და რუსეთის შემოქმედებითი ინტელიგენციის მონაწილეობას საზოგადოებების საქველმოქმედო საქმიანობაში.

ამავე დროს, ამ საზოგადოებრივი გაერთიანებების მოღვაწეობის ისეთი ასპექტები, როგორიცაა მათი დაარსების პირობები, ორგანიზაციული სტრუქტურა, სამოქმედო გეგმები და საქმიანობის წარმართვის საშუალებები ჯერჯერობით არაა სპეციალურად შესწავლილი, თუმცა ნაშრომში წარმოდგენილი XIX ს-ის მეორე ნახევრისა და XX ს-ის დასაწყისის მოსკოვის ქართული დიასპორის შესახებ ინფორმაცია საინტერესოა არა მარტო წმინდა ისტორიული თვალსაზრისით, არამედ მათი გამოცდილება მოსკოვში დღეს არსებული საზოგადოებრივი გაერთიანებებისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა.

წინამდებარე ნაშრომში XIX ს-ის მეორე ნახევრისა და XX ს-ის დასაწყისის მოსკოვში მოქმედი საზოგადოებრივი გაერთიანებების მოღვაწეობის შესწავლას ძირითადად საფუძვლად დაედო სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მწირი მონაცემები, საარქივო მასალები, ამ გაერთიანებათა წესდებები, სხვადასხვა ხასიათის ოფიციალური დოკუმენტები, ამ ეპოქის ზოგიერთი წარმომადგენლის მოგონებები და სხვ.

რაც შეეხება მოსკოვში დღეს არსებულ საზოგადოებრივ გაერთიანებებს და მათი ინიციატივით ან მოსკოვის ქართული დიასპორის ცალკეული ჯგუფების ძალისხმევით დაარსებულ ნაციონალურ სკოლებს, მათი საქმიანობა ჯერ ვერ მოექცა ქართველი მკვლევარების ინტერესების არეალში. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ამ ასპექ-ტის კვლევა ძირითადად ეფუძნება პირველად მასალებს (დებულებებს, წესდებებს, სამუშაო გეგმებს, ანგარიშებს, ოფიციალურ დოკუმენტებს, პირადი გამოკითხვის მასალებს), ერთეულ პუბლიკაციებს მოსკოვისა და თბილისის პრესაში, რუსეთის ფედერაციისა და მოსკოვის მთავრობების დადგენილებებს, მოსკოვის განათლების დეპარტამენტის მიზნობრივ პროგრამებსა და კონცეფციებს, მოსკოვის ნაციონალური (მათ შორის ქართული) სკოლების შესახებ სპეციალურ ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებს.

თავი I

საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა კვლევის ისტორიის მოკლე მიმოხილვა

ჩვენი კვლევის უშუალო საგნის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის განხილვა მიზანშეწონილად ჩავთვალეთ დავიწყოთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ისტორიის საკვანძო საკითხების მოკლე მიმოხილვით, რადგან XIX ს-ის მეორე ნახევარში და XX ს-ის დასაწყისში მოსკოვში ქართული საზოგადოებრივი გაერთიანებების მოღვაწეობა ამ ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, ხოლო ამ ურთიერთობების თვით არსებობის ფაქტი და მათ მიერ თავისი დიდი სამამულიშვილო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა განპირობებული იყო სწორედ საქართველო-რუსეთის თავს მოხვეული თუ ნებაყოფლობითი ურთიერთობების ისტორიული განვითარებით.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ისტორიის მეცნიერული კვლევა XVIII საუკუნეში დაიწყო.

XI-XII საუკუნეების ფეოდალური საქართველოს და ძველი რუსეთის ურთიერთობათა პირველი მკვლევარები არიან ვ. ტატიშჩევი და მისი ქართველი თანამედროვე _ ვახუშტი ბაგრატიონი. ვ. ტატიშჩევის ზოგადი ხასიათის ნაშრომში ჩართულია რუსი მემატიანის ცნობა დიდი მთავრის იზიასლავ მსტისლავოვიჩის და «ობეზთა» მეფის დინასტიური კავშირის შესახებ. ვახუშტი ბაგრატიონი XI-XII სს. საქართველოს ისტორიის კვლევისას, ძირითადად, «ქართლის ცხოვრების» მონაცემებს ეყრდნობა, მაგრამ, შუასაუკუნეების მემატიანეთაგან განსხვავებით, ფართო გააზრებით და ღრმა წვდომით გამოირჩევა[1]. XI-XII სს. საქართველო-რუსეთის ურთიერთკავშირების საკითხი XVIII საუკუნის დამლევს და XIX საუკუნეში შედის ნ. კარამზინის, ს. სოლოვიოვის, მ. ბროსეს, პ. ბუტკოვის, ს. ბელოკუროვის და მ. ტებერნოვის ნაშრომებში. კულტურულ ურთიერთობებს ეძღვნება ეპისკოპოს კირიონის თხზულება[2]. XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დასაწყისში მ. ჯანაშვილმა თავის

---

[1] Папаскири З., У истоков грузино-русских политических взаимоотношений, Изд-во Тбилисского университета, Тб., 1982, გვ.5

[2] Папаскири З., У истоков грузино-русских политических взаимоотношений, Изд-во Тбилисского университета, Тб., 1982, გვ.6_7

შრომებში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საქართველოს რუსეთთან ურთიერთობების შესწავლას.[1]

XI_XII სს. საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ახალი ეტაპი გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელს უკავშირდება. დიდი მეცნიერი საგარეო ურთიერთობათა სპეციალურ კვლევას არ აწარმოებს, მაგრამ აღნიშნული პერიოდი მის ნაშრომში «ქართველი ერის ისტორია» საფუძვლიანადაა შესწავლილი. სამწუხაროდ, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის გაშუქება მან ძირითადად მხოლოდ X საუკუნის ბოლომდე მოასწრო[2].

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული გამოიცა მრავალი ზოგადისტორიული ხასიათის სამეცნიერო ნაშრომი, სხვადასხვა პერიოდების რუსულ-ქართულ ურთიერთობათა შემსწავლელი მონოგრაფია, აგრეთვე, სპეციალური გამოკვლევა, რომლებიც ორი ქვეყნის კულტურულ კავშირებს აშუქებს.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ისტორიის უძველესი პერიოდის შესწავლას ეძღვნება ზ. პაპასქირის მონოგრაფიული ნაშრომი[1].

საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის კვლევაში დიდია ნ. ბერძენიშვილის დამსახურება[3]. მნიშვნელოვანია მ. ლორთქიფანიძის ნაშრომი «საქართველოს ისტორია (XI_XIII სს. დასაწყისი)». საყურადღებოა, აგრეთვე, ს. ერემიანის, დ. მელიქსეთ-ბეგის, შ. მესხიას, ო. ჟუჟუნაძის, ვ. გაბაშვილის, ნ. ნაკაშიძის, ა. ჩხატარაიშვილის, ნ. მურღულიას, ნ. ასათიანის გამოკვლევები[4].

ზ. პაპასკირი განსაკუთრებით გამოყოფს ი. ცინცაძის X_XVI საუკუნეების მომცველ მონოგრაფიას, როგორც დღემდე ღირებულ პირველ ნაშრომს, რომელშიც სხვადასხვა მკვლევართა მიერ მანამდე განხილული ცალკეული საკითხები X_XII სს. რუსულ-ქართულ ურთიერთობათა შესახებ სრულადაა გაშუქებული ქართული, რუსული და სხვა წყაროების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე[5].

---

[1] იქვე, გვ.7_9

[2] იქვე, გვ.9

[3] ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IV, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI_XVII საუკუნეთა მიჯნაზე, «მეცნიერება», თბ., 1967

[4] Папаскири З., У истоков грузино-русских политических взаимоотношений, Изд-во Тбилисского университета, Тб., 1982, გვ.10_16

[5] ცინცაძე ი., ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X_XVI სს.), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1956

XVI_XVIII სს. და XIX საუკუნის პირველი მესამედის საქართველოს ისტორიის პრობლემებს ეძღვნება «საქართველოს ისტორიის ნარკვევების» IV ტომი, რომელიც აგებულია არსებული მრავალრიცხოვანი მეცნიერული გამოკვლევების საფუძველზე. იმ მკვლევართა შორის, რომლებმაც განსაკუთრებით საგრძნობი წვლილი შეიტანეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის მოცემული პერიოდის შესწავლაში, ივ. ჯავახიშვილის და ნ. ბერძენიშვილის გარდა, შეიძლება დავასახელოთ მ. პოლიევქტოვი _ საარქივო მასალების ცნობილი მკვლევარი, ი. ცინცაძე _ ზემოაღნიშნული მონოგრაფიის ავტორი, ნ. ნაკაშიძე _ XVIII საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა შესახებ მონოგრაფიის ავტორი, გ. პაიჭაძე _ ამავე პერიოდის ურთიერთობათა მკვლევარი[1]. საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობა XVI_XVII საუკუნეთა მიჯნაზე გაშუქებულია ნ. ბერძენიშვილის ნაშრომში და დახასიათებულია როგორც ორმხრივ ინტერესებზე აღმოცენებული ურთიერთკავშირი[2].

დიდძალი მანამდე უცნობი დოკუმენტური მასალა გამოავლინა, შეისწავლა და გამოსცა პროფ. ვ. მაჭარაძემ[3].

მომდევნო პერიოდის _ XIX საუკუნის 30-90-იანი წლების მომცველი «საქართველოს ისტორიის ნარკვევების» V ტომი, ისევე, როგორც IV ტომი, წარმოადგენს სახელმძღვანელოს აღნიშნული პერიოდის საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ისტორიული ხაზის თვალის გასადევნებლად[4]. წიგნი შედგენილია მრავალრიცხოვანი წყაროების და ნაშრომების საფუძველზე. საქართველოს XIX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიის უაღრესად ვრცელი და მრავალფეროვანი წყაროა კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეკრებილ-გამოცემული აქტები[5].

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში გაშუქებულია უახლესი პერიოდის სპეციალურ გამოკვლევებში, რომლებიც ძირითადად XVIII-XIX საუკუნეებს მოიცავს.

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.IV, საქართველო XVI ს-ის დასაწყისიდან XIX ს-ის 30-იან წლებამდე, «საბჭოთა საქართველო», თბ., 1973

[2] ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IV, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI_XVII საუკუნეთა მიჯნაზე, «მეცნიერება», თბ., 1967

[3] მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ისტორიისათვის, ნაწ.II, თეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1968

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.V, საქართველო XIX საუკუნის 30_90-იან წლებში, «საბჭოთა საქართველო», თბ., 1970

[5] იქვე, გვ.19

პირველ რიგში აღსანიშნავია ფრ. სიხარულიძის მონოგრაფია[1]. ნაშრომი იწყება XVII საუკუნის 30-70-იანი წლების მოვლენების მიმოხილვით (თეიმურაზ I-თან აღდგენილი რუსეთის მფარველობა-ხელდებულების კავშირი, ერეკლე (ნიკოლოზ) ბატონიშვილის ყოფნა რუსეთის სახელმწიფო კარზე) და წარმოადგენს ფუნდამენტურ გამოკვლევას XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან არჩილ II-ის მიერ ჩამოყალიბებული და XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან ვახტანგ VI_ის მიერ განმტკიცებული მოსკოვის ქართული ახალშენის და მისი განშტოებების შესახებ.

ახალშენის ისტორიის, მისი გამოჩენილი მოღვაწეების დიდი საგანმანათლებლო საქმიანობის შესწავლა დაფუძნებულია რუსულ, ქართულ და უცხოურ საარქივო წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე. სიახლის თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანია ავტორის მიერ მიკვლეული და მეცნიერებაში შემოტანილი მრავალი დოკუმენტი, ხელნაწერი ძეგლი, ქართულ სტამბებში ნაბეჭდი პროდუქცია და სხვ. მონოგრაფიის ლიტერატურულ მიმოხილვაში ვეცნობით საკითხის კვლევის ისტორიას მკვლევართა მიერ შეტანილი წვლილის შეფასებით.

ახალშენთან დაკავშირებულ უძველეს ცნობებს შეიცავს ნ. ვიტსენის, გ. მესერშმიდტის, გ. კერის, ი._გ. შპარვეხფელდის, ი. დე-ლილის და სხვათა ნაშრომები,[2] დავით, თეიმურაზ, იოანე ბატონიშვილების ჩანაწერები, ნ. გოლოვინის, პ. ბუტკოვის, მ. პლოხინსკის და სხვათა პუბლიკაციები. მოსკოვის ქართული კულტურის ცენტრის შეს-წავლის საქმე წინ წასწიეს აკად. მ. ბროსეს გამოკვლევებმა ვახუშტი ბატონიშვილისა და რუსეთში მოღვაწე სხვა ქართველ სწავლულთა შესახებ[3].

არჩილ II_ის, ალექსანდრე ბატონიშვილის, ვახტანგ VI-ის, იოსებ სამებელის, ვახუშტი ბატონიშვილის, დავით გურამიშვილის და სხვა მოღვაწეთა შემოქმედების კვლევაში წვლილი შეიტანეს XIX ს-ის დასასრულის და XX ს-ის დასაწყისის ქართველმა ისტორიკოსებმა: დ. ბაქრაძემ, ე. თაყაიშვილმა, თ. ჟორდანიამ, პ. უმიკაშვილმა, ი. ცაგა-რელმა, მ. ჯანაშვილმა, ალ. ხახანაშვილმა და სხვებმა[4].

---

[1] სიხარულიძე ფრ., მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, «მეცნიერება», თბ., 1991

[2] სიხარულიძე ფრ., მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, «მეცნიერება», თბ., 1991

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.V, საქართველო XIX საუკუნის 30_90-იან წლებში, «საბჭოთა საქართველო», თბ., 1970, გვ.6_8

[4] იქვე, გვ.9

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ მოსკოვის ქართული ახალშენის შეფასება მოგვცა და მისი მონოგრაფიული შესწავლის ამოცანა დააყენა ნ. ბერძენიშვილმა[1].

მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიის, ახალშენში მოღვაწეთა საქმიანობის და ლიტერატურული მემკვიდრეობის კვლევა-ძიება საგრძნობლად გაფართოვდა XX ს-ის 70_80-იან წლებში. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ვ. მაჭარაძის, გ. პაიჭაძის, ჯ. ვათეიშვილის და სხვათა გამოკვლევები[2].

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მრავალი საკითხი რუსეთის საზოგადოებრივ-კულტურულ სარბიელზე ქართველთა მოღვაწეობის შესახებ გაშუქებულია ც. კალანდაძის ნაშრომებში[3,4]. მოსკოვში არჩილ II-ის კოლონიის წარმოქმნისა და იქ გაწეული კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობის ზოგიერთ საკითხს ეხება ლ. მენაბდე[5]. გ. დედაბრიშვილის ნაშრომში გაშუქებულია რუსული და ევროპული ფილოსოფიური აზრის გავლენა ქართულ მწერლობაზე XVIII საუკუნის დამდეგიდან XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ჩათვლით[6].

მ. გონიკიშვილმა გამოაქვეყნა რუსეთში მოღვაწე ბაგრატიონების (ალექსანდრე ბატონიშვილის, მეფე ბაქარის, გიორგი ბატონიშვილის და სხვათა) მოღვაწეობაზე საინტერესო ცნობების შემცველი ნაშრომი[7]. მოსკოვის ქართველთა ახალშენს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ვლ. ტატიშვილის წიგნში «ქართველები მოსკოვში»[8], რომელიც ზოგიერთი მკვლევარის შეფასებით, პოპულარული ხასიათის მხატვრული ნარკვევი უფროა, ვიდრე ისტორიული გამოკვლევა[9,10].

ქართულ-რუსულ ურთიერთობათა ისტორიის XIX საუკუნის მეორე ნახევრის _ XX საუკუნის დასაწყისის პერიოდის შემსწავლელ სამეცნიერო ლიტერატურას

---

[1] იქვე, გვ.14

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.V, საქართველო XIX საუკუნის 30_90-იან წლებში, «საბჭოთა საქართველო», თბ., 1970, გვ.11_19

[3] Каландадзе Ц., Участие грузин в культурной и общественной жизни России в первой половине XIX века, часть I, "Мецниереба", Тб., 1979

[4] Каландадзе Ц., Участие грузин в культурной и общественной жизни России, "Мецниереба", Тб., 1984

[5] მენაბდე ლ., ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერების ისტორიიდან (არჩილის კოლონია მოსკოვში), თსუ შრომები, ტ.96, 1963, გვ.185_223

[6] დედაბრიშვილი გ., ქართულ-რუსული ფილოსოფიური ურთიერთობის ისტორიიდან, «მეცნიერება», თბ., 1984

[7] გონიკიშვილი მ., ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, «მეცნიერება», თბ., 1986

[8] ტატიშვილი ვლ., ქართველები მოსკოვში, «საბჭოთა საქართველო», თბ., 1959

[9] მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ისტორიისათვის, ნაწ.II, თეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1968

[10] სიხარულიძე ფრ., მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, «მეცნიერება», თბ., 1991, გვ.9

მნიშვნელოვნად ავსებს გ. ჯავახიშვილის საფუძვლიანი გამოკვლევა, რომელიც გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის ჟურნალისტურ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეძღვნება[1]. თავისი დროის როგორც საქართველოს, ისე რუსეთის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის შემოქმედების გაშუქებით, ავტორმა წარმოაჩინა ორივე ქვეყნის პირველხარისხოვან დემოკრატიულ პერიოდიკაში პროგრესულ მოაზროვნეთა თანამშრომლობის სურათი და ნიკო ნიკოლაძის როლი ამ საქმეში.

1.1. საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა განვითარების განმსაზღვრელი ისტორიული პროცესები

როგორც ირკვევა, რუსეთი საქართველოს გაცილებით უფრო ადრე გაეცნო, ვიდრე ეს წერილობით წყაროებშია დამოწმებული. ეს IX საუკუნეში კიევის რუსეთის ადრეფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და ბიზანტიის იმპერიის ინტერესთა სფეროში მის ჩართვას უკავშირდება. ბიზანტიას ხელს არ აძლევდა აღმოსავლეთისკენ საწყალოსნო გზების მაძიებელი ახალი სახელმწიფოს გაძლიერება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, რასაც კიევის რუსეთთან არაერთი კონფლიქტი მოყოლია IX საუკუნის მეორე ნახევარსა და X საუკუნის პირველ ნახევარში[2].

ზ. პაპასკირის ვარაუდით, ჯერ კიდევ X საუკუნეში ვაჭრები კიევის რუსეთიდან, რომლებიც ბიზანტიის იმპერიაში აღებ-მიცემობას ეწეოდნენ და რიგი უპირატესობებითაც სარგებლობდნენ, შესაძლოა, იმხანად ეკონომიკური აღმავლობის გზაზე მდგარ სამხრეთ საქართველოში _ ტაო-კლარჯეთშიც გადადიოდნენ: მართალია, ქართველებთან რუსების მსგავსი კონტაქტების დამადასტურებელი წერილობითი ცნობები არ შემონახულა, მაგრამ რუსეთში აღმოჩენილი დავით კურაპალატის მონეტები ამ თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს[3]. გარდა ამისა, ვოლგა-კასპიის მთავარი სავაჭრო არტერიით, რომლის დაუფლება IX საუკუნიდან აღზევებული რიურიკოვიჩების უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენდა, კასპიის ზღვით გადმონაპირებულ რუს ვაჭრებს მდ. მტკვრით შეეძლოთ ამიერკავკასიის მნიშვნელოვან

---

[1] Джавахишвили Г., Нико Николадзе и русская журналистика, Изд-во Тбилисского университета, Тб., 1978

[2] Папаскири З., У истоков грузино-русских политических взаимоотношений, Изд-во Тбилисского университета, Тб., 1982, გვ.20_21

[3] Папаскири З., У истоков грузино-русских политических взаимоотношений, Изд-во Тбилисского университета, Тб., 1982, გვ.24

სავაჭრო ცენტრამდე, თბილისამდე ასვლა. საქართველოს ტერიტორიაზე რომ რუსი ვაჭრები კომერციულ ოპერაციებს აწარმოებდნენ, ზ. პაპასკირს ვლადიმირის, მინსკის და ფსკოვის მხარეებში თბილისელი ჯაფარიდების მონეტების აღმოჩენა აფიქრებინებს[1].

წერილობითი წყაროებით (სომხური და ბერძნული) პირველი კონტაქტები რუსებსა და ქართველებს შორის X საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის დასაწყისშია დამოწმებული. ეს ცალკეული შეხვედრები, განსაკუთრებით კიევის რუსეთის გაქრისტიანების (988_989) შემდეგ, ბიზანტიის ინტერესებით იყო გამოწვეული და არსებითად სამხედრო-პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა[2,3].

უძველესი ქართული ცნობა ქართველებისა და რუსების ურთიერთობის ისტორიისათვის შეეხება XI საუკუნეში რუს-ვარანგთა მონაწილეობას სასირეთის ბრძოლაში ბაგრატ IV და ლიპარიტ ერისთავს შორის.

სამხედრო-პოლიტიკური კონტაქტების გარდა, ქართველთა და რუსთა შორის კულტურულ კავშირებზე შეიძლება მსჯელობა იმდროინდელი დიდი საგანმანათლებლო კერების არსებობის საფუძველზე. ათონსა და იერუსალიმში როგორც ქართველების, ისე რუსების სამონასტრო ცენტრები ფუნქციონირებდა[4], რაც ამ ორი ერთმორწმუნე ხალხის მოწინავე სასულიერო მოღვაწეთა შეხვედრებს, ურთიერთგაგებას და თანამშრომლობას კეთილ ნიადაგს უქმნიდა[5].

სამონასტრო საქმიანობასთან დაკავშირებით ქართველები მოიხსენიებიან XV საუკუნის რუსულ ნუსხებში დაცულ XI საუკუნის დროიდან გადმოსულ ცნობაში. ამ ცნობის თანახმად, XI საუკუნეში კიევის მღვიმეთა მონასტრის (იგივე კიევ-პეჩერის მონასტრის) მთავარი ტაძრის დამშვენებაში (მოხატვა-მოკენჭვა) კონსტანტინეპოლიდან მოწვეულ ბერძნებთან ერთად ობეზი (ანუ ქართველი) ოსტატებიც მონაწილეობდნენ[6].

რუსეთთან საქართველოს შემდგომი დაახლოება XII საუკუნის მეორე ნახევარში დინასტიური კავშირების დამყარების გზით აღინიშნება. ცნობა პირველი ასეთი კავშირის შესახებ მხოლოდ რუსულ მატიანეშია დაცული და შეეხება კიევის მთავრის

---

[1] იქვე, გვ.23_24

[2] იქვე, გვ.27

[3] ცინცაძე ი., ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X_XVI სს.), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1956, გვ.8

[4] ცინცაძე ი., ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X_XVI სს.), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1956, გვ.49_50

[5] იქვე, გვ.49

[6] Папаскири З., У истоков грузино-русских политических взаимоотношений, Изд-во Тбилисского университета, Тб., 1982, გვ.106_109

იზიასლავ მსტისლავისძის ქორწინებას ქართველთა მეფის ასულზე (1154 წლამდე). მკვლევართა აზრით[1], ეს იყო დემეტრე I-ის ქალიშვილი რუსუდანი _ თამარ მეფის მამიდა, რომელიც შემდგომში თამარის და იური ბოგოლიუბსკის ქორწინების აქტიური მომხრე ჩანს.

საქართველოს მონარქთა დამოყვრების ინიციატივა იზიასლავს ეკუთვნოდა: საქართველოს სახით რუსეთი ძლიერ, მაღალი საერთაშორისო პრესტიჟის მქონე ერთმორწმუნე პარტნიორს იძენდა. ამ თვალსაზრისით ზ. პაპასკირი ანგარიშგასაწევად თვლის ო. ჟუჟუნაძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ იმხანად შექმნილ ვითარებაში, როდესაც რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ბიზანტიის პატრიარქისგან მიტროპოლიტის დამტკიცებას ვერ მიაღწია, საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესია საიმედო დასაყრდენი უნდა ყოფილიყო რუსეთისათვის კონსტანტინეპოლის საპატრიარქოდან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად[2].

უფრო მოგვიანებით (1185 წელს) შედგა თამარ მეფის ქორწინება ნოვგოროდის მთავარ იური ანდრიას ძე ბოგოლიუბსკისთან (გიორგი რუსთან), რომელიც საქართველოს სამეფო დარბაზის გადაწყვეტილებით მოიწვიეს თამარის თანამეცხედრედ. ეს მოვლენა მაშინდელი საქართველოს სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებს უკავშირდებოდა: ფორმალურად სავსებით მისაღები ერთმორწმუნე რუსი უფლისწული იმხანად საკმაოდ ფეხმოდგმულ თამარის მოწინააღმდეგე დიდგვაროვან ფეოდალებს თავიანთი ინტერესების განსახორციელებლად ესაჭიროებოდათ, თავის მხრივ იური ბოგოლიუბსკი სამშობლოში დასაბრუნებლად დამხმარე ძალას ეძებდა იმ დიდებულებში, რომლებმაც იგი მეფე-ქმრად დასვეს საქართველოში[3].

XIII-XIV საუკუნეებში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა შესახებ როგორც ქართულ, ისე რუსულ წერილობით წყაროებში დაცული მწირი ცნობები, ძირითადად, მონღოლთა ლაშქრობებს უკავშირდება.

რუსულ მატიანეში საქართველო უმეტესწილად XIV საუკუნის კონტექსტებში ჩნდება: მაგალითად, ცნობა 1346 წელს დაწყებული შავი ჭირის ეპიდემიის შესახებ და თბილისის მოხსენიება თემურლენგის დაპყრობებთან დაკავშირებით; XIV საუკუნეშივე

---

[1] იქვე, გვ.112

[2] Папаскири З., У истоков грузино-русских политических взаимоотношений, Изд-во Тбилисского университета, Тб., 1982, გვ.113_114

[3] იქვე, გვ.129

ტრადიციულ ტერმინ «ობეზის» გვერდით პირველად ჩნდება საქართველოს ახალი, აღმოსავლური ენებიდან მომდინარე სახელწოდება «გურზისტანი» და «გურზი», რომელიც შემდგომში «ობეზის» ადგილს იკავებს რუსულ წერილობით ძეგლებში[1].

ცოცხალ კულტურულ კავშირებზე მიუთითებს რუსული მატიანის ნიკონისეულ ნუსხაში 1389 წლის ქვეშ გაკეთებული ფრიად საგულისხმო ჩანაწერი, რომლის თანახმად, «ქართული კულტურული კერების მნახველი განათლებული რუსი XIV საუკუნის დასასრულს იერუსალიმიდან სამშობლოში ბრუნდებოდა და მატიანის საშუალებით ქართველების კუთვნილი ტაძრების შესახებ რუსეთის მოწინავე წრეებს ცნობას აწვდიდა». მკვლევარის შეფასებით, «ეს ქართველებისა და რუსების ურთიერთგაცნობის მნიშვნელოვანი ფაქტია ამ დროისთვის»[2].

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XV საუკუნეში სრულიად შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებაში განახლდა. მონღოლთა ბატონობის პერიოდში საფუძველშერყეული საქართველოს ფეოდალური მონარქია დაეცა და XV საუკუნის მეორე ნახევარში ერთიანი სახელმწიფო საბოლოოდ დაიშალა ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოებად და ერთმანეთთან დაპირისპირებულ სამთავრო-სათავადოებად. რღვევის გზაზე დამდგარი ქვეყანა ახლადჩამოყალიბებული ოსმალთა იმპერიის და ირანის სახელმწიფოს აგრესიის წინაშე აღმოჩნდა. ამავე პერიოდში რუსეთის სამთავროები მოსკოვის დიდი სამთავროს ირგვლივ გაერთიანდნენ და ივანე III-ის თაოსნობით საბოლოოდ დაძლიეს მონღოლთა ბატონობა.

გაძლიერებულ რუსეთთან დაახლოება შეიძლება ერთადერთ იმედის მომცემ საშუალებას წარმოადგენდა ქრისტიანულ სამყაროს მოწყვეტილი და მაჰმადიანურ გარემოცვაში მომწყვდეული დანაწევრებული საქართველოს გადასარჩენად. პირველი ნაბიჯი მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მიზნით კახეთის მეფე ალექსანდრე I-მა გადადგა. 1483 წელს და 1491 წელს მან მოსკოვის დიდი მთავრის ივანე III-ის კარზე ელჩები გაგზავნა[3], რითაც საფუძველი ჩაუყარა საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის ახალ მნიშვნელოვან ეტაპს.

---

[1] იქვე, გვ.116_123

[2] ცინცაძე ი., ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X_XVI სს.), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1973, გვ.224

[3] იქვე, გვ.223_237

XV-XVI საუკუნეებში მოსკოვის სახელმწიფოსა და საქართველოს ურთიერთობა ფაქტობრივად მოსკოვ-კახეთის ურთიერთობით შემოიფარგლებოდა. კახეთის მეფეებიდან პირველად ლევანი იყო რუსეთის მფარველობაში მიღებული ივანე IV-ის (მრისხანის) დროს, თუმცა ფიცის წიგნი შემონახული არ არის. კახეთის მეფემ რუსეთისგან დახმარების მიღების მიზნით 1563 წელს ელჩები გაგზავნა მოსკოვში ივანე IV-სთან, რის შედეგად კახეთში ციხეების დასაცავად რუსთა რაზმი ჩამოვიდა[1].

უაღრესად რთული საერთაშორისო ვითარებით გამოწვეული დაბრკოლებების გამო, 50-60-იან წლებში განახლებული პოლიტიკური ურთიერთობა ისევ შეწყდა და მხოლოდ 1585 წელს რუსეთის მეფის თედორეს ელჩის დანილოვის ხელით ალექსანდრე II კახთა მეფეს (ლევან მეფის ძეს) პოლიტიკური კავშირი და მფარველობა შესთავაზეს, როდესაც მოსკოვისათვის კავკასიის საქმეებში უშუალო ჩარევა სავსებით მომწიფებული ჩანდა, რაც საბოლოოდ «ფიცის წიგნით» და «წყალობის სიგელით» გაფორმდა 1587 წელს[2].

მომდევნო წლებში განვითარებულ მოვლენებში კულტურული ურთიერთობის ტენდენცია შეინიშნება. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს 1590 წელს ალექსანდრე მეფის მიერ შამხლის წინააღმდეგ სამხედრო დახმარების მიღების მიზნით თედორე მეფესთან, მოსკოვის პატრიარქთან და ბორის გოდუნოვთან ელჩებისთვის გატანებული წერილები (წიგნები) და საპასუხო «წყალობა». პატრიარქთან გაგზავნილ მოხსენებაში გატარებულია მაჰმადიანური მოძალების დასაძლევად ქრისტიან სახელმწიფოთა კულტურული თანამშრომლობის საჭიროების იდეა[3]. თედორე მეფისადმი გზავნილების «ცალკე სათხოვარს შეადგენდა მხატვრები, სონღულები ბაზიერებით და ზარბაზნის ჩამოსხმისა და სროლის ოსტატები...» ქართველი მეფის მოთხოვნის პირველი სამი პუნქტი დაკმაყოფილებული იქნა 1591 წელს[4]. ეს «აჯა-წყალობის» აქტი ფორმალური დიპლომატიური სვლაც რომ ყოფილიყო, იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ორივე მხარე კულტურული ურთიერთკავშირების შენარჩუნებას

---

[1] ცინცაძე ი., ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X_XVI სს.), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1973, გვ.283

[2] ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IV, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე, «მეცნიერება», თბ., 1967, გვ. 153-159

[3] ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IV, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე, «მეცნიერება», თბ., 1967, გვ.46

[4] იქვე, გვ.47

სათანადო მნიშვნელობას ანიჭებდა იმ შემთხვევაშიც კი, თუ დღის წესრიგის უმთავრესი ამოცანები ვერ განხორციელდებოდა.

XVII ს-ის დასაწყისში «გაყიზილბაშების» საფრთხის წინაშე აღმოჩენილი კახეთის მესვეურები ქეთევან დედოფლის მეთაურობით აჯანყებისთვის სამზადისს შეუდგნენ და იმავდროულად რუსეთში ბაგრატ იესეს ძე, ალექსანდრეს ძმის შვილი გააგზავნეს დახმარების სათხოვნელად[1].

ამრიგად, 1587 წლიდან, კახეთის მეფე ალექსანდრედან მოყოლებული, საქართველო «ფიცის წიგნზე» ხელმომწერი ქვეყანა იყო და იურიდიულად რუსეთის მეფის ქვეშევრდომობას იღებდა[2].

მაგრამ რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ამიერკავკასიის საკითხი თითქმის მთელი XVII საუკუნის მანძილზე მეორე პლანზე იყო გადაწეული, რადგან მის მთავარ საზრუნავს ჩრდილოეთისა და დასავლეთის საზღვრების მოწესრიგება შეადგენდა. ამასვე მოითხოვდა იმხანად ირანთან სავაჭრო ურთიერთობის შენარჩუნებისა და თურქეთის საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკა[3].

ამიტომ იყო, რომ შაჰ-აბას I-ის შემოსევების დროს რუსეთის ორიენტაციის მომხრე კახეთის მეფე თეიმურაზ I-ის მიერ მოსკოვში დახმარების სათხოვნელად გაგზავნილმა არაერთმა ელჩობამ (1615, 1618, 1624, 1635, 1649) შედეგი ვერ გამოიღო. სამხედრო დახმარებას კი თეიმურაზმა 1658 წელს მოსკოვში პირადად ჩასვლითაც ვერ მიაღწია[4].

თეიმურაზ I რუსეთს ელჩების თანხლებით ჩასული პირველი ქართველი მეფე იყო, ხოლო მის მიერ მოკავშირეობის სადემონსტრაციოდ მოსკოვს 1653 წელს წარგზავნილი შვილიშვილი ერეკლე (ერეკლე I, რუსეთის სამეფო კარზე ნიკოლოზის სახელით ცნობილი) _ პირველი ქართველი უფლისწული, რომელიც რუსეთში ჯერ 1660 წლამდე, შემდეგში კი, კახეთში გამეფების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, 1665-1677 წწ. ცხოვრობდა და ზოგიერთი მკვლევარის მიერ მოსკოვის ქართული კოლონიის

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, საქართველო XVI ს-ის დასაწყისიდან XIX ს-ის 30-იან წლებამდე, «საბჭოთა საქართველო», თბ., 1973, გვ.251

[2] იქვე, გვ. 259

[3] ცინცაძე ი., ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1973. გვ. 312-314

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, საქართველო XVI ს-ის დასაწყისიდან XIX ს-ის 30-იან წლებამდე, «საბჭოთა საქართველო», თბ., 1973, გვ. 326-328

დამაარსებლად არის მიჩნეული[1]. ასეთი თვალსაზრისის დასაყრდენს, ვლ. ტატიშვილის თქმით, წარმოადგენს «რამდენადმე ცალმხრივი მასალები», მოძიებული ოფიციალურ საკამერფიურერო ჟურნალში «Дворцовые разряды». ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ერეკლე ბაგრატიონი მონაწილეობდა რუსეთის სახელმწიფო კარის ზეიმებში, ხელმწიფის ქალაქგარეთ გასვლებში და სამხედრო წვრთნებს ესწრებოდა[2]. მართალია, ერეკლე ბაგრატიონის ამალის ზოგიერთი წევრი მოსკოვში საცხოვრებლად დარჩა, მაგრამ, როგორც ფრ. სიხარულიძე აღნიშნავს, «ეს ხალხი ჯერ ახალშენს ვერ უდებს საფუძველს»[3].

1.2. მოსკოვის ქართული ახალშენი

მოსკოვში პირველი ქართული ახალშენის ჩამოყალიბება მეფე არჩილ II-ს უკავშირდება და XVII საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში პეტრე I-ის ხელშეწყობით იწყებს განმტკიცებას[4].

იმერეთში გამეფების ოთხგზის უშედეგო მცდელობის შემდეგ არჩილ მეფე 1699_1700 წწ. რუსეთში საბოლოოდ ოჯახით დასახლდა, ფაქტობრივად ჩამოსცილდა პოლიტიკურ ცხოვრებას და ფართო კულტურულ საქმიანობას მიჰყო ხელი[5].

XVII საუკუნის ბოლო ხანებში ქართული ახალშენის შექმნა რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებში შედიოდა და საქართველოსთან კავშირის განსამტკიცებლად იყო გათვალისწინებული[6]. რუსეთში ფეხის მოსაკიდებლად ქართველებს ხელსაყრელ პირობებს უქმნიდნენ და ფინანსურ დახმარებასთან ერთად უძრავი ქონებითაც უზრუნველყოფდნენ: პეტრე I-ის ბრძანებით ალექსანდრე და მამუკა ბატონიშვილებს

---

[1] მენაბდე ლ., ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერების ისტორიიდან (არჩილის კოლონია მოსკოვში), თსუ შრომები, ტ. 96, 1963, გვ. 188

[2] ტატიშვილი ვლ., ქართველები მოსკოვში, «საბჭოთა საქართველო», თბ., 1959, გვ. 8

[3] სიხარულიძე ფრ., მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, «მეცნიერება», თბ., 1991, გვ. 26,32

[4] სიხარულიძე ფრ., მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, «მეცნიერება», თბ., 1991, გვ.41

[5] იქვე, გვ. 42

[6] იქვე, გვ. 41, 57, 60

საკუთრებად ებოძათ ვ. გოლიცინის ყოფილი საზამთრო სასახლე ეკლესიით. მალე ქართველებმა სააგარაკოდ მიიღეს სასახლე სოფელ ვსეხსვიატსკოეში კარის საყდრით.

არჩილ მეფის ირგვლივ გაერთიანებულმა ქართველმა ახალშენმა შუამავლის როლი შეასრულა XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველო-რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ჩამოყალიბებაში. ამ კავშირის საფუძველზე გაემგზავრა რუსეთში ვახტანგ VI დიდი ამალით (1200 კაცი) 1724 წელს, მას შემდეგ, რაც პეტრე I-სა და ვახტანგ VI-ს შორის დამყარებული სამხედრო-პოლიტიკური კავშირით ირანის წინააღმდეგ გათვალისწინებული ერთობლივი ლაშქრობა ჩაიშალა და აღმოსავლეთ საქართველოს ოსმალები დაეპატრონენ[1].

მოსკოვში ქართველთა ახალი ნაკადის ჩასვლის შემდეგ, 1729 წელს ვახტანგ VI-მ მიიღო სასახლე ბაღით და მამულით პრესნიაზე, რომელიც თანდათან მჭიდროდ დასახლდა და უბანს მალე «გრუზინი» ეწოდა. მოგვიანებით აქ მთავარმორწმუნე წმ. გიორგის საყდარი აშენდა. ვახტანგ VI-მ ანდერძით განამტკიცა მოახალშენეთა ახალი ნაკადის გაერთიანება არჩილ მეფის მიერ დაფუძნებულ კოლონიასთან[2]. ახალშენის განმტკიცებას მრავალმხრივ შეუწყო ხელი დარეჯან ბატონიშვილმა, რომელიც ახალშენს 1713 წლიდან მეთაურობდა.

არსებულ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ურთიერთობათა ვითარებაში მოსკოვის ქართულ ახალშენში გაწეული ლიტერატურულ-მწიგნობრული საქმიანობის ასპარეზზე მკაფიოდაა გამოსახული ქართველ მეფეთა მაორგანიზებელი როლი და საგანმანათლებლო მიზანდასახულობა. მოახალშენეთა შემოქმედებაში, რომელსაც პატრიოტული სულისკვეთება ამოძრავებდა, აისახა რუსეთში მიღებული შთაბეჭდილებები და გარკვეული კულტურული ზეგავლენა.

არჩილის პატრიოტული ლირიკა, დიდაქტიკური იდეები და რუსეთის თემა მასაზრდოებელ წყაროდ გადაეცა მომდევნო ეპოქის ქართულ პოეზიას. რუსეთში მოღვაწე არჩილ მეფის მიმდევარ შემოქმედთა შორის გამოირჩევიან ვახტანგ VI, მამუკა ბარათაშვილი და, განსაკუთრებით, დავით გურამიშვილი[3].

---

[1] იქვე, გვ. 40

[2] სიხარულიძე ფრ., მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, «მეცნიერება», თბ., 1991, გვ. 66, 67

[3] იქვე, გვ. 119-130

რუსეთში აქტიური მოღვაწეობით არჩილ მეფე თავის ნაწარმოებებში გატარებული იდეების პრაქტიკულ ხორცშესხმას ემსახურებოდა. იგი დასაწყისიდანვე სათავეში ჩაუდგა მოსკოველ ქართველთა სწავლა-აღზრდის საქმეს და ზრუნავდა, რომ ქართველ ახალგაზრდებს კარგი განათლება მიეღოთ. რამდენადაც აღზრდა-განათლება სარწმუნოებრივ-ზნეობრივ საფუძველს ემყარებოდა, არჩილ II განსაკუთრებულ მნიშვნელობას წმინდა წერილის სწავლას ანიჭებდა. ამდენად, რუსული სასულიერო კანონიკური წიგნების ქართულად გადმოღება და შესწავლა ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა უპირველესი ამოცანა გახდა.

ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც XVII საუკუნის 80-იან წლებში ითარგმნა, სვინაქსარული კრებული _ «პროლოგი» იყო. 1699 წელს მოსკოვში მოღვაწე არქიმანდრიტმა ალ. გაბაშვილმა ქართულად გადმოიღო რუსული კანონიკური სახარება და სამოციქულო[1]. გადანუსხული პროლოგ-სვინაქსარი XVII საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში გამოიგზავნა. მოსკოველი ქართველების მუშაობას საქართველოში სასულიერო მწერლობის გამოცოცხლება მოჰყვა[2].

პირველი ქართული ბეჭდური სიტყვაც საღვთისმეტყველო იყო: ალექსანდრე ბატონიშვილმა სტოკჰოლმში დაბეჭდა ქართული ანბანი საკითხავი მასალით, არა მარტო მოსკოველ ქართველებს შორის, არამედ სამშობლოში გასავრცელებლად[3]. 1705 წლის მარტში არჩილ მეფის მიერ გამართულ სტამბაში დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი «დავითნი»[4]. არჩილის მიერ მოსკოვში დაწყებული ქართული წიგნების ბეჭდვა მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა, ხოლო მეფე ბაქარისა და იოსებ სამებელის გარდაცვალების შემდეგ პეტერბურგიდან მოსკოვის სინოდურ ტიპოგრაფიაში გადატანილ ქართულ სტამბაში სასულიერო წიგნების ბეჭდვა XIX საუკუნის 60-იან წლებამდე გრძელდებოდა[5].

1737 წელს ვსეხსვიატსკოეში ამუშავებულ ქართულ სტამბაში 1737_1744 წლებში 12 სქელტანიანი წიგნი დაიბეჭდა, მათ შორის _ «ბიბლია», რომელიც ჯერ კიდევ არჩილ

---

[1] სიხარულიძე ფრ., მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, «მეცნიერება», თბ., 1991, გვ.140_146
[2] იქვე, გვ. 152
[3] იქვე, გვ. 228
[4] მენაბდე ლ., ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერების ისტორიიდან (არჩილის კოლონია მოსკოვში), თსუ შრომები, ტ. 96, 1963, გვ. 200, 201
[5] Каландадзе Ц., Участие грузин в культурной и общественной жизни России в первой половине XIX века, часть I, "Мецниереба", Тб., 1979, გვ.190

მეფემ მოამზადა გამოსაცემად[1]. 1737 წელსვე გაკეთდა ქართული სასტამბო მოწყობილობა და მომზადდა ორი ოსტატი პეტერბურგში[2], სადაც 1786 წელს ეპისკოპოსმა გრიგოლ ხარჭაშნელმა გახსნა სტამბა, რომელშიც სახარება დაიბეჭდა[3].

ამ მხრივ აღსანიშნავია გაიოზ რექტორის მოღვაწეობაც. მან თავისი სახსრებით ჩამოაყალიბა ქართული სტამბა ქ. მოზდოკში. XVIII ს-ის მიწურულს სოლომონ II-ის დავალებით მოსკოვს გაგზავნილმა გიორგი პაიჭაძემ იმერეთში ჩამოიტანა სტამბისთვის საჭირო მოწყობილობა. სტამბა გაიხსნა ქუთაისში, «პალატსა სამეფოსა»[4].

აღნიშნულ პერიოდში, როდესაც საგამომცემლო საქმე ჯერ კიდევ არ იყო იმდენად განვითარებული, რომ წიგნებზე მზარდი მოთხოვნილება სრულად დაკმაყოფილებულიყო, კანონიკური საეკლესიო საკითხავების გარდა, პირველ რიგში დიდაქტიკური ხასიათის ლიტერატურა იბეჭდებოდა, რაც აუცილებელი იყო ახლებურ ნიადაგზე სწავლა-აღზრდის აღორძინებისთვის.

რუს და ევროპელ დიდაქტიკოს-მორალისტ მოაზროვნეთა აღიარებული ნაშრომების სტამბური გამრავლება გზას უხსნიდა მათ ჩაყენებას განათლების სამსახურში.

არჩილ მეფის და, განსაკუთრებით, ვახტანგ VI-ის გარემოცვაში მყოფი გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების სახით საქართველომ, სახელმწიფოებრიობის რღვევასთან ერთად, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებით ნასაზრდოები დიდი ინტელექტუალური ძალების გადინება განიცადა. ამიტომ ამ ძალთა მაქსიმალური მობილიზებით უნდა მომხდარიყო ვინაობის შენარჩუნებაც და ამჯერად რუსეთის წიაღიდან მიღებული ცოდნის და რუსეთის გზით შემოსული პროგრესული ევროპული გამოცდილების შეთვისება და საქართველოს საკეთილდღეოდ გამოყენება.

თეოლოგიურ და დიდაქტიკურ-მორალისტურ ლიტერატურასთან ერთად, იმ პერიოდში თარგმნილი ძეგლები, რომლებიც ჩვენამდე უმეტესწილად ხელნაწერების სახითაა მოღწეული, ისტორიის, ფილოსოფიის, სამართლის, გეოგრაფიის, საბუნებისმეტყველო-სამედიცინო, ფიზიკა-მათემატიკის, ფსიქოლოგიის,

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, საქართველო XVI ს-ის დასაწყისიდან XIX ს-ის 30-იან წლებამდე, «საბჭოთა საქართველო», თბ., 1973, გვ.512

[2] სიხარულიძე ფრ., მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, «მეცნიერება», თბ., 1991, გვ. 231

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, საქართველო XVI ს-ის დასაწყისიდან XIX ს-ის 30-იან წლებამდე, «საბჭოთა საქართველო», თბ., 1973, გვ.783

[4] იქვე, გვ. 789

დრამატურგიის სფეროებსაც მოიცავს. ითარგმნებოდა რუსული მწერლობის გამოჩენილი წარმომადგენლების _ კირილე ტუროვსკის, პეტრე მოგილას, ისაია კოპინსკის, სიმეონ პოლოცკის, თედორე პროკოპოვიჩის, მიხეილ ლომონოსოვის და სხვათა თხზულებები.

მოსკოვის ქართულმა კოლონიამ, გარდა იმისა, რომ ქართულ საზოგადოებრიობას გააცნო რუსული და ევროპული კულტურის ნიმუშები, ხელმისაწვდომი გახადა რუსი მკითხველისთვის ქართული კულტურის მიღწევებიც. რუსულად ითარგმნა არჩილ მეფის ლექსი (თხზულებიდან «მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი»), რომელშიც აღწერილი იყო პოლტავასთან რუსეთის ჯარის გამარჯვება 1708 წელს. რუსულად ითარგმნა ალექსანდრე ამილახვრიშვილის «გეორგიანული ისტორია» და პოემა «ასტრახანში»[1-3].

რუსეთში შეთვისებული წყაროების და შექმნილ შესაძლებლობათა გამოყენებით, იქ გახიზნულმა ქართველებმა სერიოზული წვლილი შეიტანეს ეროვნული მწერლობისა და მეცნიერების აღორძინების საქმეში. საქართველოში საზოგადოებრივი წინსვლის შეფერხებასთან ერთად შენელებული ისტორიული აზროვნების გამოცოცხლება არჩილსა და მის დასს უკავშირდება. არჩილ მეფის ისტორიული პოემა «გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა» მნიშვნელოვანი წყაროა XVII საუკუნის საქართველოს ისტორიის შესასწავლად[1]. არჩილ მეფის კარზე დაწყებული მუშაობა წარმატებით გააგრძელა ვახტანგ VI-ის სკოლამ.

უდიდესი მემკვიდრეობა დაუტოვა ქართველ ერს ვახუშტი ბაგრატიონმა, რომელმაც თავისი «საქართველოს ისტორია» მოსკოვში დაამთავრა 1745 წელს[2]. რუსეთშივე დაამთავრა «აღწერა სამეფოსა საქართველოისა», რომელიც ქართული გეოგრაფიული მეცნიერების საფუძვლად ითვლება; 1735 წელს მან პირველი ატლასი შეადგინა. 1745 წელს მეორე, გაფართოებული და გაუმჯობესებული ატლასის შედგენის შემდეგ, ვახუშტი რუსეთის არმიის შტაბში მიიწვიეს. იქ მან 9 რუკა შეადგინა _ 2

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, საქართველო XVI ს-ის დასაწყისიდან XIX ს-ს 30-იან წლებამდე, «საბჭოთა საქართველო», თბ., 1973, გვ. 513

[2] სიხარულიძე ფრ., მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, «მეცნიერება», თბ., 1991, გვ. 117,118

[3] მენაბდე ლ., ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერების ისტორიიდან (არჩილის კოლონია მოსკოვში), თსუ შრომები, ტ. 96, 1963, გვ. 204

[1] სიხარულიძე ფრ., მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, «მეცნიერება», თბ., 1991, გვ. 115

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, საქართველო XVI ს-ის დასაწყისიდან XIX ს-ის 30-იან წლებამდე, «საბჭოთა საქართველო», თბ., 1973, გვ. 503

კავკასიისა და 7 საქართველოსი, რომლებიც ითარგმნა ფრანგულ და რუსულ ენებზე. ვახუშტი ბაგრატიონის რუკებს ავტორის სიცოცხლეშივე მაღალი შეფასება მისცეს ევროპელმა კარტოგრაფებმა. ისინი გამოიყენებოდა XVIII ს-ში შედგენილი მთელი რიგი ევროპული რუკებისათვის. XIX ს-ის შუა წლებამდე ვახუშტის ნაწარმოებების საფუძველზე ეცნობოდნენ კავკასიის გეოგრაფიას. 1752 წელს ვახუშტი ბაგრატიონმა რუსულიდან ქართულად თარგმნა «მოკლე პოლიტიკური გეოგრაფია» 27-რუკიან მსოფლიო ატლასთან ერთად. ამ სახელმძღვანელოთი ასწავლიდნენ გეოგრაფიას თელავის სასულიერო სემინარიაში[1,2].

ქართველი მეცნიერები დიდი გულისყურით ეკიდებოდნენ მსოფლიო ისტორიის შესწავლას. XVIII ს-ის პირველ მეოთხედში რუსულიდან ქართულად ითარგმნა «ალექსანდრიანი» _ ძველბერძნული ლიტერატურული ძეგლი (საგმირო თხზულება, ალექსანდრე მაკედონელის ზღაპრულ-ფანტასტიკური თავგადასავალი). ეს ნაწარმოები 1700_1713 წწ. პროზად თარგმნა არჩილ მეფემ, ხოლო შემდეგ ამ თარგმანის საფუძველზე შეიქმნა ქართული «ალექსანდრიანის» გალექსილი და პროზაული რედაქცია (1713_1724). არჩილის თარგმანი გალექსა მდივან-მწიგნობარმა პეტრე ჩხატარაისძემ და მანვე ხელახლა პროზად გადაამუშავა[3]. მის მიერ შექმნილი «ალექსანდრიანის» ვერსიები ერთ-ერთ ყველაზე უფრო პოპულარულ ნაწარმოებად იქცა იმდროინდელ საქართველოში; ამას მოწმობს ამ წიგნის ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა დიდი რაოდენობა[4].

1701_1712 წლებში ბაგრატ სოლოღაშვილმა თარგმნა საისტორიო თხზულება «ქრონოგრაფი» (ბერძნ. ჟამთააღმწერლობა), რომელიც დაწერილია ანტიკური და ბიზანტიური წყაროების საფუძველზე და მსოფლიო ისტორიის მოკლე სახელმძღვანელოდ იყო მიჩნეული, როგორც საქრისტიანო მსოფლიოს საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიის მნიშვნელოვანი წყარო[5,6].

---

[1] იქვე, გვ.504

[2] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV, გვ. 339

[3] სიხარულიძე ფრ., მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, «მეცნიერება», თბ., 1991, გვ.163-188

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, საქართველო XVI ს-ის დასაწყისიდან XIX ს-ის 30-იან წლებამდე, «საბჭოთა საქართველო», თბ., 1973, გვ. 510

[5] სიხარულიძე ფრ., მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, «მეცნიერება», თბ., 1991, გვ. 188-212

[4] მენაბდე ლ., ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერების ისტორიიდან (არჩილის კოლონია მოსკოვში), თსუ შრომები, ტ. 96, 1963, გვ. 208, 215, 216

«ქრონოგრაფის» მეცნიერულ შესწავლას საფუძველი დაუდო თეიმურაზ ბატონიშვილმა პეტერბურგში. რუსეთში მოღვაწე მეცნიერ-ორიენტალისტმა მ.ბროსემ 1838 წელს ფრანგულად გამოსცა თეიმურაზ ბაგრატიონის ხელნაწერებისა და წიგნების აღწერილობა, რითაც ევროპელთათვის მისაწვდომი გახადა ქართველი სწავლულის მოსაზრებანი «ქრონოგრაფის» რაობასა და ამ ძეგლის ქართულად მთარგმნელებზე.

ამ თხზულებამ მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას. მის პოპულარობაზე მეტყველებს ჩვენამდე სხვადასხვა რედაქციით მოღწეული ამ ძეგლის მრავალი ხელნაწერი და ის ფაქტი, რომ ნაწყვეტები «ქრონოგრაფიდან» სასწავლო წიგნებშიც შეჰქონდათ[1].

სასწავლო სახელმძღვანელოების შედგენას და გამრავლებას მოსკოვის ქართულ ახალშენში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. XVIII ს-ის 50-იან წლებში თბილისსა და თელავში გახსნილი სასულიერო სემინარიებისათვის რუსულიდან ქართულად თარგმნილი იყო 1762 წელს «თეორიული ფიზიკა» და მომდევნო წლებში _ «მეტაფიზიკა», «ლოღიკა», «ეთიკა»[2]. ალექსანდრე არჩილის ძის მიერ შედგენილი «საარტილერიო წიგნი» ქართულ ახალშენში შექმნილი ერთ-ერთი პირველი სასწავლო წიგნია, რომელიც მოღწეულია რამდენიმე ხელნაწერის სახით[3].

რუსული და უცხოური წყაროების საფუძველზე შედგენილი ლეონ ბატონიშვილის «მსოფლიო ისტორია» იმდროინდელი საისტორიო მეცნიერების მიღწევებს ასახავს და ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობის შესანიშნავ ძეგლადაა მიჩნეული[4]. შეიქმნა მშობლიური ენის სასწავლო წიგნი («ქართული ანბანი»), რუსული ენის სასწავლო წიგნი, რომელიც 1737 წელს დაიბეჭდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში, და რუსულ-ქართული მოზრდილი ლექსიკონი.[5] დიმიტრი ციციშვილმა (15 წლის ასაკში) გერმანულიდან თარგმნა არითმეტიკის სახელმძღვანელო, ხოლო მის მიერ უფრო გვიან რუსულ ენაზე შექმნილმა გეოდეზიის პირველმა ორიგინალურმა სახელმძღვანელომ, რომელიც 1757 წელს გამოიცა, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რუსეთში პრაქტიკული გეოდეზიის განვითარებას[6].

---

[1] სიხარულიძე ფრ., მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, «მეცნიერება», თბ., 1991, გვ.193_212

[2] დედაბრიშვილი გ., ქართულ-რუსული ფილოსოფიური ურთიერთობის ისტორიიდან, «მეცნიერება», თბ., 1984, გვ.46-55

3 სიხარულიძე ფრ., მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, «მეცნიერება», თბ., 1991, გვ.235-238

[4] იქვე, გვ.213, 214

[5] იქვე, გვ.260

[6] იქვე, გვ.249_252

მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ნაყოფიერება თავიდანვე განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ქართველი მეფეები და ბატონიშვილები ახლოს იყვნენ რუსეთის სამეფო კართან, მეგობრობდნენ და თანამშრომლობდნენ რუსეთის გამოჩენილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებთან.

ქართული კოლონიის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის სულიერ და ინტელექტუალურ ცხოვრებაში. აღსანიშნავია მათი წვლილი მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში, რასაც ადასტურებს 1756 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის დამფუძნებელთა სიები, სადაც ქართველები არიან მოხსენიებული. მოიხსენიება აგრეთვე უნივერსიტეტისთვის ქართველთა მიერ გაღებული შეწირულობები[1,2].

მოსკოვის ქართული ახალშენის განშტოებები არსებობდა სანქტ-პეტერბურგში, ნოვგოროდში, ასტრახანში, ყიზლარში, მოზდოკში, სადაც ქართველი სახელმწიფო სასულიერო და სამხედრო მოღვაწეები, დიპლომატები ჩართული იყვნენ საქართველო-რუსეთის მრავალმხრივ კულტურულ-პოლიტიკურ ურთიერთობაში. განათლების მესვეურნი თანამშრომლობდნენ მეცნიერებათა აკადემიის რუს და უცხოელ სწავლულებთან[3].

ვახტანგ VI-ის ამალის რუსეთში დამკვიდრებით თანდათან გახშირდა ქართველი ყმაწვილების რუსულ სასწავლებლებში შეყვანა, მოსკოვსა და პეტერბურგში მყოფ უცხოელ მასწავლებლებთან მიბარება და სასწავლებლად ევროპაში გაგზავნაც. უაღრესად მიმზიდველი გახდა რუსეთის ახალი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრი _ სანქტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემია. ამ აკადემიის გიმნაზიაში უსწავლიათ ძმებს ივანე და იოთამ ბაგრატიონებს (1739-1743), კადეტთა კორპუსის კურსის წარმატებით დამთავრების შემდეგ ამავე აკადემიის გიმნაზიაში შესულა დ. ციციშვილი და, 1742 წლის დოკუმენტის მიხედვით, იქვე სწავლობდა გ. მაჩაბელი[3]. ვახტანგ VI-ის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართველ ემიგრანტთა პოლიტიკური მისია ამოწურულად მიიჩნიეს. დაიწყო ქართველი

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, საქართველო XVI ს-ის დასაწყისიდან XIX ს-ის 30-იან წლებამდე, «საბჭოთა საქართველო», თბ., 1973, გვ. 513

[2] Каландадзе Ц., Участие грузин в культурной и общественной жизни России в первой половине XIX века, часть I, «Мецниереба», Тб., 1979, გვ. 21

[3] ფრ. სიხარულიძე, მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, «მეცნიერება», თბ., 1991, გვ. 82-85

[3] ფრ. სიხარულიძე, მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, «მეცნიერება», თბ., 1991, გვ.231-234

ემიგრანტების რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომებად გადაქცევის პროცესი: სამხედრო სამსახური, მამულებით უზრუნველყოფა, დასახლება რუსეთის და უკრაინის სხვადასხვა ოლქებში[1].

თავისი მოწოდებით ქართული კოლონია XVIII ს-ის 20-40-იან წლებში წარმოადგენდა ემიგრანტი პატრიოტების პოლიტიკურ ცენტრს, რომელიც საქართველოში რუსეთის სამხედრო დახმარების საშუალებით მტრული გარემოცვის გარღვევისთვის იბრძოდა. XVIII ს-ის მეორე ნახევარში, როდესაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველთა კოლონიის ემიგრანტული პოლიტიკური ფუნქცია ოფიციალურად ამოწურულად ჩაითვალა, ამავდროს, კოლონიის, როგორც ქართველი და რუსი ხალხების შემაკავშირებელი რგოლის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართული ჩვენი თანამემამულეების მოღვაწეობით რუსული და ქართული კულტურული მიღწევების ურთიერთგაზიარების მთელი ახალი ეპოქა შეიქმნა[2,3].

მართალია, რუსეთზე ორიენტაციას არაერთგზის მძიმე შედეგები მოჰყოლია, მაგრამ მტრული ძალებით გარშემორტყმული ქვეყნისთვის ეს ყველაზე საიმედო გზად ჩანდა.

როდესაც ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII მძიმე არჩევანის წინაშე აღმოჩნდა _ ან ირანის მორჩილება უნდა ეღიარებინა, ან რუსეთთან კავშირი განემტკიცებინა, მან ისევ რუსეთს მიმართა: ჯერ 1783 წლის ტრაქტატის გასაახლებლად იღვწოდა, შემდეგ კი, უკიდურესობაში ჩავარდნილი, იძულებული გახდა ეთხოვა რუსეთის იმპერიის გამგებლობაში მიღება მეფობის შენარჩუნების პირობით. 1800 წლის 28 დეკემბერს გიორგი XII გარდაიცვალა, ხოლო 1801 წლის 18 იანვარს რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა გამოსცა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების მანიფესტი, რომელიც საბოლოოდ იმპერატორ ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით გაფორმდა[4].

---

[1] იქვე, გვ. 69,70,97-104

[2] იქვე, გვ. 113,114

[3] Ц. Каландадзе, Участие грузин в культурной и общественной жизни России в первой половине XIX века, часть I, «Мецниереба», Тб., 1979, გვ.6

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, საქართველო XVI ს-ის დასაწყისიდან XIX ს-ის 30-იან წლებამდე, «საბჭოთა საქართველო», თბ., 1973, გვ.815-817

XVIII ს-ის 90-იანი წლების ურთიერთობის მთელი ისტორია იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთი მხოლოდ საკუთარი ინტერესებით განიხილავდა საქართველოს «დახმარებას», რაც საბოლოო ანგარიშით იქ იმპერიის სრული გაბატონებით უნდა დასრულებულიყო[1].

რუსეთთან გაერთიანებული საქართველო აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის ომებში თურქეთის წინააღმდეგ, რაც ქართველი ხალხისთვის საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენის იდეას უკავშირდებოდა. 1828-1829 წლების ომში ქართველებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ძველი ქართული ქალაქების _ ფოთის, ახალციხის და ახალქალაქის აღებაში, რის შედეგად ეს ქალაქები 1829 წლის ანდრიანოპოლის ხელშეკრულებით რუსეთმა შეიერთა[2]. ყირიმის ომის დროს (1853-1856) მეფის რუსეთმა საქართველოს შენარჩუნება ქართველი ხალხის ენერგიული მხარდაჭერით შეძლო, რასაც თვით სამეფო ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლები აღნიშნავდნენ[3].

რუსეთ-საქართველოს კულტურულ ურთიერთთანამშრომლობაში მრავალი ქართველი მონაწილეობდა როგორც საქართველოში, ისე რუსეთში.

XIX საუკუნეში რუსეთში მცხოვრებ ქართველებს პირობითად ორ ჯგუფად ყოფენ. პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან ვახტანგ VI-სთან ერთად და უფრო ადრე მოსკოვში ემიგრირებულ ქართველთა შთამომავალნი _ დავიდოვები (დავითაშვილები), ბიბილურები (ლაშქარევები), გერსევანოვები (გარსევანიშვილები), სანდუნოვები (ზანდუკელები), გრუზინოვები (ნამჭევაძეები) და სხვ. ისინი უმეტესწილად რუსული მეცნიერების და კულტურის დარგში საქმიანობდნენ და რუსეთის საზოგადო და სამხედრო მოღვაწეები იყვნენ. ასე, მაგალითად, ნიკოლოზ სანდუნოვი _ მოსკოვის უნივერსიტეტის სამოქალაქო და სისხლის სამართლის კათედრის პროფესორი და ხელმძღვანელი 1811 წლიდან, მეტად საყურადღებო შრომების ავტორი სამართალ-მცოდნეობაში[4]; ილია გრუზინოვი _ ადრეული რუსული სამედიცინო მეცნიერების ერთ-ერთი უნიჭიერესი მოღვაწე, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი. მისი შრომები

---

[1] იქვე, გვ.772

[2] იქვე, გვ.882-885

3 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, საქართველო XIX საუკუნის 30_90-იან წლებში, «საბჭოთა საქართველო», თბ., 1970, გვ.191-215

[4] Каландадзе Ц., Участие грузин в культурной и общественной жизни России в первой половине XIX века, часть I, «Мецниереба», Тб., 1979, გვ. 22-33

ანატომიის, ფიზიოლოგიისა და სასამართლო მედიცინის სფეროში ახალი სიტყვა იყო თავისი დროის რუსეთის მეცნიერებაში[1]; ნიკოლოზ წერეთელევი _ გამოჩენილი ეთნოგრაფი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსული ფოლკლორის შესწავლის საქმეში[2]; სერგეი დავიდოვი _ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე განათლების დარგში, 1844 წლიდან _ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, 1852-1863 წწ. _ ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი[3]; მიხეილ გერსევანოვიU_ ღვაწლმოსილი მეცნიერი, თეორეტიკოსი საპორტო ჰიდროტექნიკის დარგში. მისმა შრომებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. 1868 წელს მან თბილისში ჩამოაყალიბა თბილისის ტექნიკური სარკინიგზო სასწავლებელი და თბილისის საქალაქო სახელოსნო სასწავლებელი; დავით ჩუბინოვი _ პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის პროფესორი და უცვლელი ხელმძღვანელი 1855 წლიდან.

მეორე ჯგუფს ძირითადად შეადგენენ XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოდან იძულებით გადასახლებული გაუქმებული მონარქიის მემკვიდრენი და სამეფო კართან დაახლოებული ოჯახის შვილები. ისინიც ჩართული იყვნენ რუსეთის სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებაში, მაგრამ მათი შემოქმედებითი მოღვაწეობა უპირატესად ქართველოლოგიის დარგთან იყო დაკავშირებული[4]. პეტერბურგში ცხოვრობდნენ გიორგი XII-ის შვილები _ თეიმურაზ, დავით და იოანე ბაგრატიონები და ერეკლე II-ის შვილები _ იულონი და ფარნაოზი, ხოლო მოსკოვში _ გიორგი XII-ის შვილები _ ილია, მიხეილი და ოქროპირი[5]. ამავე ჯგუფს განეკუთვნებიან: მწერალი და მთარგმნელი გ. ავალიშვილი, მწერალი ი. გედევანიშვილი, მხატვარი გ.მაისურაძე _ პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული და კ.ბრიულოვის მოწაფე, პოეტი და მთარგმნელი ს.რაზმაძე, მეცნიერი ს.დოდაშვილი და მრავალი სხვა[6].

---

[1] იქვე, გვ. 34-44

[2] Каландадзе Ц., Участие грузин в культурной и общественной жизни России, «Мецниереба», Тб., 1984, გვ. 153-165

[3] Каландадзе Ц., Участие грузин в культурной и общественной жизни России в первой половине XIX века, часть I, «Мецниереба», Тб., 1979, გვ. 164-170

[4] Каландадзе Ц., Участие грузин в культурной и общественной жизни России, «Мецниереба», Тб., 1984, გვ. 28

[5] Каландадзе Ц., Участие грузин в культурной и общественной жизни России в первой половине XIX века, часть I, «Мецниереба», Тб., 1979, გვ. 188

[6] იქვე, გვ. 171

XIX ს-ის 70-იანი წლებიდან რუსეთისა და საქართველოს საზოგადოებრივ არენაზე გამოდიან ქართველთა ახალი ტალღის წარმომადგენლები, რომლებიც უმაღლესი განათლების მისაღებად საქართველოდან რუსეთში და ევროპაში მიდიოდნენ, რაც განპირობებული იყო იმით, რომ XIX ს-ის შუახანებში საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობა გაიზარდა, რასაც მოჰყვა მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელების მსურველი ქართველი ახალგაზრდების რიცხვის მკვეთრად ზრდა.

გარდა ყოველწლიურად ოფიციალურად დაწესებული 160 სტიპენდიისა, უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთში ჩადიოდნენ ხელმოკლე ოჯახებიდან გამოსული გამორჩეულად ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებსაც სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართვისა და უცხო გარემოში ადაპტაციისათვის სჭირდებოდათ როგორც მატერიალური, ასევე სოციალური დახმარება.

საქართველოსათვის სხვადასხვა დარგის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების მნიშვნელობიდან გმომდინარე ეს მოვალეობა იკისრეს მოსკოვის ქართული დიასპორის ფაქტიურად ყველა თაობის წარმომადგენლებმა. მათი ძალისხმევით მოსკოვში XIX ს-ის 70-იან წლებში შეიქმნა პირველი საზოგადოებრივი გაერთიანება მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტთან არსებული «ქართველ სტუდენტთა სათვისტომო», მოგვიანებით, 1907 წელს კი, სათვისტომოს საქმიანობის ჩარჩოების გაფართოებასთან დაკავშირებით, მეორე _ «ქართველთა საზოგადოება მოსკოვში», ხოლო 1908 წელს _ მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტთან არსებული «ი. ჭავჭავაძის სახ. ქართული კულტურის მოყვარულთა სტუდენტური წრე».

საქართველო-რუსეთის ურთიერთობების მკვლევართა ნაშრომებში აქა-იქ გვხვდება ინფორმაცია XIX ს-ის დასასრულისა და XX ს-ის დასაწყისის მოსკოვში სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების ჩამოყალიბების მცდელობის შესახებ, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიიღო ოფიციალური ორგანიზაციის სახე და ცნობები მათი საქმიანობის შესახებ ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში ვერ მოვიპოვეთ.

XIX საუკუნეში რუსეთსა და საქართველოში მოღვაწე მკვლევართა ერთობლივი მუშაობის შედეგად საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე ქართულ მეცნიერებას. აღსანიშნავია პლატონ იოსელიანის, დიმიტრი ყიფიანის, მოსე ჯანაშვილის ღვაწლი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებაში. 90-იან წლებში გამოქვეყნდა ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, თედო სახოკიას პირველი სამეცნიერო ნაშრომები[1]. რჩეულთა შორის არიან საბუნებისმეტყველო მეცნიერების წარმომადგენლები _ პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ფიზიოლოგი ივანე თარხნიშვილი, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი, აგროქიმიკოსი ვასილ პეტრიაშვილი და ოდესის უნივერსიტეტის ქიმიის კათედრის პროფესორი პეტრე მელიქიშვილი _ შემდეგში თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი რექტორი[2].

ამრიგად, XIX საუკუნეში მთელი ქართული კულტურულ-შემოქმედებითი სპექტრი რუსეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში ვითარდებოდა. ქართველი მოაზროვნეები თვითონაც ითვისებდნენ რუსულ მიღწევებს და თავიანთი ინტელექტით რუსეთის პროგრესსაც ემსახურებოდნენ. საქართველოში რუსეთიდან სამეცნიერო მოღვაწეობის მიზნით ჩამოსულ მეცნიერებს ფასდაუდებელ დახმარებას უწევდნენ ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, სწავლულები, მწერლები, ფართო განათლების მქონე ადამიანები.

თავი II

ქართველთა საზოგადოებრივი გაერთიანებები მოსკოვში XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გასული საუკუნის შუახანებში არაერთი ცნობილი მეცნიერის კვლევა მიეძღვნა საქართველო – რუსეთის ურთიერთობების პრობლემებს. ზოგადი ხასიათის ფუნდამენტურ ნაშრომებში დიდი ადგილი დაეთმო XVII-XVIII სს-ში ჩამოყალიბებული მოსკოვის ახალშენებისა და მათი განშტოებების მოღვაწეობას[1-3], XIX ს-ში საქართველო-რუსეთის ურთიერთობების განვითარების რთულ და არაერთმნიშვნელოვან პროცესებს. ამასთანავე, იმ საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობა, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს საქართველოს

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.V, საქართველო XIX საუკუნის 30-90-იან წლებში, «საბჭოთა საქართველო», თბ., 1970, გვ. 820, 821

[2] იქვე, გვ. 821, 822

[1] Паичадзе Г.И. К истории грузинской колонии в Москве в XVII–XVIII вв., Тб., "Мецниереба", 1982

[2] სიხარულიძე ფრ., მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, თბ., “მეცნიერება”, 1991

[3] მენაბდე ლ., თსუ შრომები. სერ.ფილოლოგია, ტ.96, 1963

სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ჩამოყალიბებაში, სპეციალურად არაა შესწავლილი. გამონაკლისია მხოლოდ მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტთან არსებული «ი. ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა სტუდენტური წრე», რომელიც შესწავლილია ლ. გოდერიძის საკვალიფიკაციო ნაშრომში _ «ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებების ისტორია. «ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება».[4]

ჩვენი დაინტერესება ამ თემატიკით უპირველეს ყოვლისა აიხსნება იმით, რომ ისევე როგორც XVIII-XIX საუკუნეებში, XX საუკუნის ბოლოს საქართველოში განვითარებული მოვლენების შედეგად ქართული დიასპორის რიცხოვნობა რუსეთში, კერძოდ მოსკოვში, მკვეთრად გაიზარდა. როგორც მათი შორეული წინამორბედები, ისინიც აღმოჩნდნენ მრავალი პრობლემის წინაშე. მათაც ბუნებრივად გაუჩნდათ ურთიერთკავშირების აღდგენა-დამყარების, თანადგომის, საქართველოს კეთილდღეობაში თავისი წვლილის შეტანის მოთხოვნილება, რამაც ნათელი გამოვლინება ჰპოვა მთელი რიგი სხვადასხვა დონის ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანებების ჩამოყალიბებაში. მათი მოღვაწეობის გულდასმით გაანალიზებისას აშკარად შეიმჩნევა ზოგიერთი მათგანის ამორფული სტრუქტურა, სუსტი ორგანიზაცია, დასახული მიზნების ხშირად გაუმართლებელი პარალელიზმი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ (წინამდებარე ნაშრომის ავტორი ერთ-ერთი ასეთი საზოგადოების აქტიური წევრია), კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ წინა საუკუნეებში მოსკოვში წარმატებულად მოქმედი ქართველთა საზოგადოებრივი გაერთიანებების მოღვაწეობას, გავეცნოთ მათ სტრუქტურას, ორგანიზაციის წესებს, შევისწავლოთ დასახული მიზნების განხორციელების გზები და საშუალებები, მათი გამოცდილება, რაც, ეჭვგარეშეა, გარკვეულწილად დაეხმარება დღეს მოსკოვში მოქმედ (ან ჩამოყალიბების პროცესში მყოფ) ქართველთა საზოგადოებებს.

XVIII საუკუნის ბოლოს წარმომავლობითა და სოციალური მდგომარეობით სრულიად განსხვავებულ ქართველ კოლონისტებს აერთიანებდა შორეული სამშობლოს სამსახურის სურვილი. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ახალშენების

[4] გოდერიძე ლ., ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებების ისტორია, "ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება". დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1971.

დაარსებისთანავე ჩაეყარა საფუძველი ნებაყოფლობით გაერთიანებებს ინტერესთა მიხედვით. ეს იყო იმ ემიგრანტთა ჯგუფები, რომლებმაც თავისი ნიჭი, მონდომება და შრომა მიუძღვნეს მთარგმნელობით, ლიტერატურულ და საგანმანათლებლო საქმიანობას, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლას, ქართული ეკლესიის განმტკიცებას, საქველმოქმედო მოღვაწეობას და სხვ. ბევრი მათგანი გახდა რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილე[1,2].

დროთა მსვლელობა და საქართველოში ვითარების კარდინალური ცვლილებები ახალ, განსხვავებულ ამოცანებს აყენებდა მოსკოვში მუდმივად ან დროებით მცხოვრები ქართველების წინაშე. XIX ს-ის დამდეგიდან ქართულმა ახალშენმა, როგორც ემიგრანტთა ოფიციალურმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ, დაკარგა თავისი მნიშვნელობა. რუსეთში მუდმივად მცხოვრები ან განათლების მისაღებად ჩასული ქართველების წინაშე დადგა ახალი პრობლემები: რუსეთში მცხოვრები ქართველების ეროვნული კუთვნილების შეგრძნებისა და თვითშეგნების შენარჩუნება, ეროვნული კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარება, საქართველოსა და რუსეთს შორის კულტურული კავშირების განმტკიცება, ქართველი ხალხის ისტორიის, ეკონომიკის, კულტურის და ეთნოგრაფიის მიმართ რუსეთის საზოგადოების ინტერესის გაღვივება, საქართველოს მოსახლეობის სწავლა-განათლებაზე ზრუნვა, მოსკოვში უმაღლესი განათლების მისაღებად ჩასული ქართველი ახალგაზრდების ხელშეწყობა, სხვადასხვა დარგის მაღალ-კვალიფიციური ნაციონალური კადრების მომზადება. ასეთი მნიშვნელოვანი და რთული პრობლემების გადაჭრა შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით. ამის გამო, რუსეთში მცხოვრები ქართველების წინაშე დადგა საკითხი სხვადასხვა საზოგადოებრივ გაერთიანებათა ჩამოყალიბებისა.

XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში რუსეთში შეიქმნა რამდენიმე კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ორგანიზაცია, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. მოსკოვში საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნა ძირითადად დაკავშირებული იყო მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტთან, სადაც სწავლობდა

---

[1] Каландадзе Ц.П., Участие грузин в культурной и общественной жизни России, Тб., "Мецниереба", 1984

[2] ტატიშვილი ვ., ქართველები მოსკოვში. თბ. «საბჭოთა საქართველო», 1959.

და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა მოსკოვში მცხოვრებ ქართველთა დიდი უმრავლესობა.

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ ზემოაღნიშნულ პერიოდში შექმნილ ყველაზე მნიშვნელოვან სამ საზოგადოებრივ გაერთიანებას, ესენია: მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტთან არსებული «ქართველ სტუდენტთა სათვისტომო», «ქართველთა საზოგადოება მოსკოვში» და მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტთან არსებული «ი. ჭავჭავაძის სახ. ქართული კულტურის მოყვარულთა სტუდენტური წრე».

2.1. მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტთან არსებული «ქართველ სტუდენტთა სათვისტომო»

«სათვისტომოები» რუსეთში, როგორც წესი, ყალიბდებოდა უმაღლეს სასწავლებლებთან და მათი შექმნა შეეძლო ნებისმიერი ეროვნებისა და კუთხის სტუდენტებს. XIX საუკუნეში რუსეთის ყოველ უმაღლეს სასწავლებელში ერთდროულად თანაარსებობდა რამდენიმე სათვისტომო. მაგალითად, «ციმბირელთა სათვისტომო», «უკრაინელთა სათვისტომო», «ქართველთა სათვისტომო» და სხვ.

XIX ს-ის 60_70-იან წლებში «ქართველ სტუდენტთა სათვისტომოები» შეიქმნა პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში, სადაც ქართველ სტუდენტთა რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო. მოგვიანებით «სათვისტომოები» შეიქმნა ყაზანის, კიევის, ხარკოვის, ნოვოროსიისკის, ოდესის და რუსეთის სხვა უნივერსიტეტებსა და სასწავლებლებში.

მოსკოვის უნივერსიტეტის «ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს» შექმნის მიზანი იყო ღარიბი ქართველი სტუდენტებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა, რისთვისაც ყალიბდებოდა «შემოწირულობების სალაროები» (ფონდები), თამაშდებოდა ლატარიები, ეწყობოდა საქველმოქმედო საღამოები და შეგროვებული ფული ხმარდებოდა ხელმოკლე სტუდენტებს.

თანდათანობით «სათვისტომოს» ამოცანები გაფართოვდა. XX საუკუნის დასაწყისისათვის, გარდა მატერიალური შემწეობისა, «სათვისტომოს» მესვეურები ცდილობდნენ სტუდენტთა სულიერ დაახლოებას, რისთვისაც ატარებდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს.

«სათვისტომოს» წესდების მიხედვით, საზოგადოების წევრთა რიცხვი არ იყო შეზღუდული. მასში გაერთიანება შეეძლო ყველას, დამოუკიდებლად წოდებისა, პარტიულობისა და ქონებრივი ცენზისა. აუცილებელი იყო მხოლოდ საზოგადოების მიზნებისადმი ერთგულება, დავალებათა პირნათლად შესრულება, საზოგადოების წევრთა პატივისცემა[1].

«სათვისტომოს» მართვის ორგანო იყო გამგეობა _ თავმჯდომარე, მდივანი, 3_4 წევრი, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო ხაზინადარი. გამგეობას, როგორც წესი, ირჩევდნენ სასწავლო წლის დასაწყისში. «სათვისტომო» განუხრელად იცავდა წესდებას, ამიტომ მისი საქმიანობის ორგანიზაციული მხარე ყოველთვის სათანადო სიმაღლეზე იდგა.

ხელმოკლე სტუდენტებისათვის დიდი ნუგეში იყო «სათვისტომოს» სალარო. წესდება, უწინარეს ყოვლისა, ითვალისწინებდა მათ შორის უღარიბესის (თუ საკმარისი თანხა გროვდებოდა, მათ სტიპენდიაც ენიშნებოდა), შემდგომ ღარიბის და, ბოლოს, საშუალო შეძლების მქონე სტუდენტების დახმარებას.

რასაკვირველია, თანხა, რომელიც სალაროში იყრიდა თავს, მეტად მცირე იყო და ყველას ვერ გასწვდებოდა. ის ძლივს ყოფნიდა უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ სტუდენტებს და მათ ოჯახებს.

«სათვისტომოს» სალაროს შევსების რამდენიმე წყარო არსებობდა: საწევრო შესატანი (წელიწადში ერთხელ იხდიდა ყველა, უღარიბესი სტუდენტების გამოკლებით); შემოწირულობა კერძო პირებიდან და ორგანიზაციებიდან («სათვისტომოს» ხშირად უგზავნიდნენ ფულს ქართველი მრეწველები, შეძლებული ადამიანები, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები); რუსეთის ქალაქებში გამართული ეროვნული კონცერტი-საღამოები, სადაც, გარდა შესასვლელი ბილეთებისა, იყიდებოდა ქართული წიგნები, სურათები და ა.შ. «ქართულ საღამოებში» მონაწილეობდნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც, მათ შორის, რუსეთის გამოჩენილი მსახიობები და მომღერლები _ ლ. სობინოვი, თ. შალიაპინი, ვ. კაჩალოვი, ი. მოსკვინი და სხვ. ეს «საღამოები» განსაკუთრებით საინტერესო გახდა ქართული ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწის ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის მოსკოვში ჩამოსვლის შემდეგ.

---

[1] ტატიშვილი ირ., დეკანოსიძე თ., მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა. თბ., «მეცნიერება». 1960

ასე, მაგალითად, 1901 წლის 5 ნოემბერს გამართული საღამოს პროგრამა, რომელშიც ალ. სუმბათაშვილ-იუჟინმა ჩართო თავისი მეგობარი ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო (ცნობილია, რომ ეს ორი დიდი მოღვაწე ერთად სწავლობდა თბილისის I ვაჟთა გიმნაზიაში და ბავშვობის მეგობრები იყვნენ), შედგებოდა სამი განყოფილებისგან. პირველ _ ლიტერატურულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, მეორეს _ ვოკალურს _ ცნობილი მომღერალი კლემენტიევა-მურომცევა, მესამეს _ მუსიკალურს _ ქართველების დიდი მეგობარი პროფ. კოროშჩენკო. საღამოში მონაწილეობდნენ მოსკოვის თეატრების საუკეთესო ძალები, ოპერის თეატრის გუნდი. საღამომ ბრწყინვალედ ჩაიარა და რუსული საზოგადოებრიობის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ «ქართული საღამოები» ჩვეულებრივ იმართებოდა მოსკოვის კეთილშობილთა დარბაზში (ამჟამად მოსკოვის სვეტებიანი დარბაზი).

«სათვისტომო» ატარებდა კონფერენციებს, სადაც სტუდენტები კითხულობდნენ სამეცნიერო მოხსენებებს, რეფერატებს საქართველოს ისტორიისა და კულტურის აქტუალურ საკითხებზე. მართალია, ასეთ ღონისძიებებს სისტემატური ხასიათი არ ჰქონდა, მაგრამ სხდომებზე წაკითხული მოხსენებები და დასმული საკითხების ირგვლივ გაშლილი პაექრობა, უდაოდ, ხელს უწყობდა ქართული კულტურის ისტორიის სიღრმისეულ შესწავლას. გარდა ამისა, «სათვისტომოს» მიერ ჩატარებული სხდომები და კრებები, რომლებსაც ესწრებოდნენ, ზოგჯერ კი მონაწილეობასაც იღებდნენ, რუსული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, ხელს უწყობდა რუს და ქართველ ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას[1].

სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების ჩამოყალიბებამდე «სათვისტომო» იყო ერთადერთი ორგანიზაცია, სადაც თავს იყრიდნენ თანამემამულეები, რომლებიც უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ დარდსა და სიხარულს, ეხმარებოდნენ რჩევებით, კეთილი სიტყვით. გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი სერგი დანელია იგონებდა:

[1] ტატიშვილი ირ., დეკანოსიძე თ., მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა, თბ., «მეცნიერება», 1960

«ძნელია გადმოსცე, როგორი მაღალი და კეთილშობილური სულისკვეთება სუფევდა მოსკოვის უნივერსიტეტში, ჩვენს «სათვისტომოში»[1].

«სათვისტომოს» წევრები ერთსულოვნები იყვნენ თავიანთ წამოწყებებსა და საქმიანობაში. ეს იყო დიდი ოჯახი, სადაც ერთმანეთზე ზრუნავდნენ როგორც ნამდვილი ოჯახის წევრები და ნათესავები. განსაკუთრებით თბილად და გულისხმიერებით ეპყრობოდნენ ახალ შემატებულებს: უძებნიდნენ საცხოვრებელ ბინას, ეხმარებოდნენ უნივერსიტეტთან შეთვისებაში, აცნობდნენ მოსკოვში მცხოვრებ ქართველ და სხვა ეროვნების სტუდენტებს.

ამგვარად, მოსკოვის «ქართველ სტუდენტთა სათვისტომო» შეძლებისდაგვარად ცდილობდა თავისი თანამემამულეებისათვის შეემსუბუქებინა ყოფა-ცხოვრება. მაგრამ, სამწუხაროდ, «სათვისტომოს» მიერ მოგროვებული თანხა ყველას არ ყოფნიდა და ბევრი სტუდენტი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა.

სწორედ ამ კეთილშობილური მიზნით _ დახმარებოდნენ მოსკოვის უნივერსიტეტისა და სხვა სასწავლო დაწესებულებების ქართველ სტუდენტებს _ მოსკოვის ქართული ინტელიგენციის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბეს «ქართველთა საზოგადოება მოსკოვში».

2.2. ქართველთა საზოგადოება მოსკოვში

XX საუკუნის დასაწყისში საგრძნობლად გაიზარდა მოსკოვში მცხოვრები ქართველების რაოდენობა, მათ შორის, უკვე უმაღლესდამთავრებულებისა, რომლებიც ქალაქის სხვადასხვა დაწესებულებებში ეწეოდნენ შრომით საქმიანობას. ეს იყო ქართველ ინტელიგენტთა საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომელთაც აფიქრებდათ სტუდენტთა მორალური და მატერიალური მდგომარეობა. მათ ის გარემოებაც აწუხებ-დათ, რომ სიდუხჭირის გამო ბევრ სტუდენტს შეეძლო უარი ეთქვა უმაღლეს განათლებაზე და სამშობლოში დაბრუნებულიყო.

ამიტომ მოსკოვის ქართული ინტელიგენციის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა _ ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინმა, გამოჩენილმა მეცნიერებმა _ ალექსანდრე ხახანაშვილმა და ალექსანდრე ჯავახიშვილმა, სამხედრო ტოპოგრაფმა, ინჟინერ-პოლკოვნიკმა ივანე თულაშვილმა, ექიმებმა _ მიხეილ ზანდუკელმა, მიხეილ ასათიანმა,

[1] Саитидзе Г.Г., Грузины в Московском государственном университете, Изд-во Тбилисского университета, Тб., 2003

მაქსიმე გამბარაშვილმა, ნიკოლოზ ბორაკამ, მრეწველმა და ქველმოქმედმა ლევან ზუბალაშვილმა, ორლოვის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის ი. სუხოდოლსკის მეუღლემ ელენე ჭავჭავაძემ და სხვებმა _ ქართველი ხელმოკლე სტუდენტების დახმარების მიზნით გადაწყვიტეს ჩამოეყალიბებინათ «ქართველთა საზოგადოება მოსკოვში».

1907 წლის 17 აპრილს «საზოგადოებების საქმეთა შესახებ» მოსკოვის საგანგებო საქალაქო გამგეობის სხდომამ განიხილა «საზოგადოების» წესდება, რომელიც შედგენილი იყო 1906 წლის 4 მარტს «საზოგადოებებისა და კავშირების შესახებ» უზენაესად დამტკიცებული დროებითი წესების 23-ე მუხლის საფუძველზე და რომლის დედანზე ხელს აწერდა მოსკოვის ქალაქის თავი, გენერალ-მაიორი რეინბოტი. იმავე წლის 3 მაისს «საზოგადოებამ» გაიარა რეგისტრაცია[1].

«საზოგადოების» საქმიანობას წარმართავდა საერთო კრება და გამგეობა. საერთო კრებებს, როგორც ჩვეულებრივს, ასევე საგანგებოს, იწვევდა გამგეობა.

ჩვეულებრივი საერთო კრება ტარდებოდა წელიწადში სამჯერ მაინც, საგანგებო კი შეიძლებოდა მოეწვიათ გამგეობის, სარევიზიო კომისიის ან მოსკოვში მცხოვრები წევრების ერთი მეხუთედის წერილობითი მოთხოვნით. უკანასკნელ ორ შემთხვევაში საერთო კრება უნდა მოწვეულიყო არა უგვიანეს 7 დღისა წერილობითი მიმართვის შემდეგ.

საერთო კრებებზე ძირითადად იხილავდნენ და ამტკიცებდნენ წლიურ ანგარიშს, მომავალი წლის ბიუჯეტს, ინსტრუქციებს, ირჩევდნენ გამგეობას, საზღვრავდნენ წლიური საწევრო ანარიცხების რაოდენობას, შეჰქონდათ ცვლილებები წესდებაში, იხილავდნენ ცალკეული წევრების მიერ წამოჭრილ საკითხებს და ა.შ.

საერთო კრება ითვლებოდა უფლებამოსილად, თუ მასში მონაწილეობდა მოსკოვში მცხოვრებ წევრთა ნახევარზე მეტი. თუ კრებას უნდა განეხილა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც იყო წესდებაში ცვლილებების შეტანა, უძრავი ქონების შეძენა და სხვა, მაშინ კრების მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიეღო მოსკოვში მცხოვრებ წევრთა ორ მესამედს.

[1] Устав Общества грузин в Москве. Типография штаба Московского Военного округа, Москва, 1907

საერთო კრებაზე არც ერთ წევრს არ ჰქონდა უფლება სხვისთვის გადაეცა თავისი ხმა მინდობილობით, ან გაეპროტესტებინა იმ საერთო კრების დადგენილება, რომელსაც არ ესწრებოდა.

გამგეობა განთავსებული იყო მოსკოვში. იგი შედგებოდა არა ნაკლებ ხუთი წევრისგან, რომელსაც ირჩევდა საერთო კრება (ხმათა უმრავლესობით) 3 წლის ვადით. გამგეობის ყველა წევრი ერთნაირი უფლებებით სარგებლობდა. ყოველი წლის დასაწყისში ირჩევდნენ თავმჯდომარეს, მოადგილეს და ხაზინადარს (რომელიც განაგებდა «საზოგადოების» ქონებას), ბიბლიოთეკარს, საგანგებო კომისიის წევრს. გამგეობის მოვალეობანი განსაზღვრული იყო საერთო კრების ინსტრუქციით.

სიმბოლურია, რომ «საზოგადოების» პირველი საერთო კრება[1] ჩატარდა 1907 წლის 26 მაისს, სადაც აირჩიეს გამგეობა, სარევიზიო კომისია და დაადგინეს საწევრო შესატანის ოდენობა. გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ალ. სუმბათაშვილ-იუჟინი, მაგრამ ვინაიდან იგი იმ პერიოდში დაკავებული იყო, «საზოგადოების» მიმდინარე საკითხებს უძღვებოდა ი. თულაშვილი. «საზოგადოების» გამგეობაში შედიოდნენ: ალ. სუმბათაშვილ-იუჟინი, მ. ზანდუკელი, ი. თულაშვილი, ა. ხახანაშვილი, ნ. ხორავა, მ. გამბარაშვილი, ალ. ჯავახიშვილი. ეს უკანასკნელი აირჩიეს «საზოგადოების» გამგედ. სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს ა. პორაკოვი, გ. ლომაური, ზ. ჩიკოიძე.

«საზოგადოების» მიზანი იყო თავისი წევრების სულიერ განვითარებასა და მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა, მათი თავისუფალი დროის სასარგებლოდ და სასიამოვნოდ გამოყენების უზრუნველყოფა, ხელმოკლე ქართველებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა, ქართული კულტურის ისტორიის შესწავლა და მისი გაცნობა რუსეთის მოწინავე საზოგადოებისათვის.

ამ მიზნების განსახორციელებლად საჭირო თანხების მოსაძიებლად «საზოგადოება», წესდების შესაბამისად, გასცემდა პროცენტიან და უპროცენტო სესხებს, ერთჯერადად, პერიოდულ და მუდმივ დახმარებებს; მსურველთათვის ეძებდა სამუშაო ადგილებს; ზრუნავდა, რომ ქართველებს დაბალ ფასებში შეეძინათ საქონელი აფთიაქებში, სავაჭრო წერტებში და სახელოსნოებში; უფასოდ ან შედარებით დაბალ ფასებში მიეღოთ სამედიცინო ან იურიდიული რჩევები; ზრუნავდა ქართველთა ბავშვების, მათ შორის ობლების, აღზრდასა და განათლებაზე და ა.შ.

---

[1] Отчет о деятельности "Общества Грузин в Москве" за 1907 г., 20 сентября 1908 г., Москва

სესხების დაბრუნება წარმოებდა «საზოგადოების» მიერ შემუშავებული პირობების შესაბამისად. სესხებისა და სხვა დახმარების გაცემის წესი განსაზღვრული იყო საერთო კრების საგანგებო ინსტრუქციით.

«საზოგადოებამ» გახსნა ბიბლიოთეკა და სამკითხველო, იგი ბეჭდავდა წიგნებს, ბროშურებსა და პერიოდულ გამოცემებს; აწყობდა ლექციებს, საქველმოქმედო კონცერტებს, მეჯლისებს, ბაზრობებს, ლატარიის გათამაშებას, ექსკურსიებს; აგროვებდა შეწირულობებს; «საზოგადოების» წევრებისთვის ატარებდა გასართობ თამაშობებს (ჭადრაკი, შაში, ბილიარდი და სხვ.); მატერიალურად ეხმარებოდა საქართველოდან მოსკოვში განათლების მისაღებად ჩასულ ქართველებს.

კანონით გათვალისწინებული საგანგებო დასტურის საფუძველზე «საზოგადოებას», საჭიროებისა და შესაძლებლობის ფარგლებში, უფლება ჰქონდა გაეხსნა ამბულატორიები, თავშესაფრები, სკოლები და საბავშვო ბაღები, საზაფხულო ბანაკები და სანატორიუმები, სასადილოები და ბუფეტები, გამსესხებელ-შემნახველი სალაროები. «საზოგადოების» ყოველ ასეთ დაწესებულებას მართავდა საგანგებო კომისია.

წესდების თანახმად, «საზოგადოების» წევრი შეიძლება გამხდარიყო ყველა სრულუფლებიანი მოქალაქე. განასხვავებდნენ ნამდვილ, საპატიო და «მიმბაძველ» წევრებს.

«საზოგადოების» ნამდვილი წევრი შეიძლება გამხდარიყო მხოლოდ ქართველი (ორივე სქესის), რომელიც გადაიხდიდა შესასვლელ თანხას _ 5 მანეთს და რომელსაც რეკომენდაციას გაუწევდა «საზოგადოების» ორი წევრი. ნამდვილი წევრები ყოველწლიურად იხდიდნენ საერთო კრების მიერ დადგენილ საწევრო შესატანს (6 მან. და მეტი), ხოლო ის, ვინც ერთდროულად შეიტანდა 100 მანეთს, თავისუფლდებოდა ყოველწლიური გადასახადისაგან და სიცოცხლის ბოლომდე რჩებოდა «საზოგადოების» წევრად.

საპატიო წევრები შეიძლება ყოფილიყვნენ პირები, რომლებიც იმსახურებდნენ «საზოგადოების» განსაკუთრებულ მადლიერებას. მათ კანდიდატურებს წარადგენდა გამგეობა და ხმათა უმრავლესობით (2/3) ირჩევდა საერთო კრება.

«მიმბაძველ» წევრებად შეიძლებოდა ისეთი პირების არჩევა, რომლებიც ხელს უწყობდნენ საზოგადოების საქმიანობას პირადი შრომით ან საზოგადოების

კონკრეტული მიზნებისათვის განკუთვნილი გარკვეული ფინანსური შენატანებით. მათ არავითარი თანამდებობის დაკავება არ შეეძლოთ «საზოგადოებაში», ასევე არ ჰქონდათ ხმის უფლება საერთო კრებაზე.

წევრები, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ზიანს აყენებდნენ «საზოგადოებას», საერთო კრების გადაწყვეტილებით (ხმების სამი მეოთხედით) ირიცხებოდნენ დროებით ან მუდმივად.

«საზოგადოების» წევრებს გამგეობის მიერ დაწესებული გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ უფლება ჰქონდათ საზოგადოების კუთვნილ შენობაში დაეპატიჟებინათ უცხო პირები.

საერთო კრების გადაწყვეტილებით მოსკოვში მცხოვრებ ქართველ სტუდენტებს შეეძლოთ შესულიყვნენ «საზოგადოების შენობაში» და ესარგებლათ ბიბლიოთეკით, ამბულატორიით, სასადილოთი და სხვ.

«საზოგადოების» სახსრების წყაროებს შეადგენდა:

- ერთჯერადი და ყოველწლიური საწევრო შესატანები;
- წევრებისა და გარეშე პირთა შემოწირულობები;
- «საზოგადოების» კაპიტალისა და სესხების პროცენტები;
- შესასვლელი გადასახადები;
- სხვა თანხები.

«საზოგადოების» კაპიტალი იყოფოდა ძირითად, სათადარიგო, საბრუნავ და სპეციალურ თანხებად. ეს უკანასკნელი ხმარდებოდა მხოლოდ იმ მიზანს, რომლისთვისაც გაღებული იყო შემოწირულობა.

«საზოგადოების» წესდების მოკლე მიმოხილვის შემდეგ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ «საზოგადოების» დამფუძნებლების წინდახედულობა, სიფრთხილე, მათი სწრაფვა, რომ ყოველი საფინანსო, თუნდაც მცირე მოცულობის ოპერაცია ყოფილიყო გამჭვირვალე; მათი მონდომება, გულისხმიერება და პასუხისმგებლობის გრძნობა, თითოეული პიროვნების ღვაწლი იმსახურებს სპეციალურ კვლევას, რათა მათი სახელები არ მიეცეს დავიწყებას.

ათი წლის განმავლობაში «საზოგადოება» კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. იგი ლიკვიდირებული იყო 1917 წელს.

მოგვიანებით მოსკოვში მცხოვრები ქართველი სტუდენტები მადლიერებით იგონებდნენ «საზოგადოების» მოღვაწეობას. ცნობილი ექიმი სიმონ ქიქოძე წერდა: «საზოგადოება მატერიალურ მხარდაჭერას უწევდა ქართველ სტუდენტებს, უადვილებდა ცხოვრებას მხუთავი რეაქციის ატმოსფეროში, საშუალებას აძლევდა ესწავლათ. ბევრ მათგანს უხდიდა სტიპენდიას და თუ ასეთმა სტუდენტებმა მიიღეს უმაღლესი განათლება, ეს მხოლოდ და მხოლოდ ორგანიზაციის «ქართველთა საზოგადოება მოსკოვში» დამსახურებაა»[1].

2.3. მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტთან არსებული «ი. ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა სტუდენტური წრე»

1908 წელს მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტთან შეიქმნა «ი. ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა სტუდენტური წრე», რომლის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის თ. ჟორდანიას ვაჟი _ მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გ. ჟორდანია, ფრიად განსწავლული ადამიანი, ჭეშმარიტი პატრიოტი, რომელიც თავისი ქმედებით პატივს მიაგებდა «ერის მამის», დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ნათელ ხსოვნას[2].

სხვადასხვა წლებში «სტუდენტური წრის» მოღვაწეობაში მონაწილეობას იღებდნენ ქართული და რუსული კულტურისა და მეცნიერების ისეთი მოწინავე წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ: თ. ოსტროგრადსკი, ვს. მილერი, დ. გორდეევი, ალ. სუმბათაშვილ-იუჟინი, თ. შალიაპინი, ლ. სობინოვი, ვ. კაჩალოვი, ა. ნეჟდანოვა, ე. ერმოლოვა, ე. გოგოლევა, ა. ხახანაშვილი, ე. თაყაიშვილი, მ. ჯანაშვილი, თ. ჟორდანია, კ. აბაშიძე, შ. დადიანი, ვ. ბარნოვი, დ. კლდიაშვილი, ნ. ნაკაშიძე, ე. გაბაშვილი, ზ. ფალიაშვილი, დიმ. არაყიშვილი, კ. მარჯანიშვილი, ვ. გუნია, ი. გრიშაშვილი და მრავალი სხვა.

---

[1] ტატიშვილი ირ., დეკანოსიძე თ., მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა, «მეცნიერება», თბ., 1960

[2] გოდერიძე ლ., ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებების ისტორია. «ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება». დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1971

მსგავსი ხასიათის საზოგადოებები არსებობდნენ რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში (ქართველი სტუდენტების პირველი სამეცნიერო წრე შეიქმნა XIX საუკუნის 70-იან წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტთან).

მოსკოვის უნივერსიტეტთან ქართველი სტუდენტების მიერ ამ წრის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ აქ უკვე არსებობდა «ქართველ სტუდენტთა სათვისტომო», რომლის ძირითადი მიზანი იყო სტუდენტებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა.

მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტთან არსებული «ი. ჭავჭავაძის სახ. ქართული კულტურის მოყვარულთა სტუდენტური წრის» საქმიანობა, რომლის მიზანი იყო ქართული კულტურის სხვადასხვა დარგის _ ისტორიის, ეთნოგრაფიის, ლიტერატურის, ფოლკლორის, ხალხური მუსიკისა და ა.შ. _ მეცნიერული შესწავლა, სამშობლოს მოწყვეტილ ქართველ ახალგაზრდობას, ერთი მხრივ, უღვივებდა სიყვარულს მშობლიური კულტურისადმი და ინტერესს ეროვნული კულტურის მეცნიერული კვლევისადმი, მეორე მხრივ კი _ აცნობდა რუსეთის საზოგადოებას საქართველოს ისტორიასა და კულტურას.

1908 წლის დასაწყისში გ. ჟორდანიამ შეადგინა «წრის» წესდება და მასში გაერთიანების მსურველთა სია, რომელშიც შევიდა ორი ცნობილი ქართველი პედაგოგი _ ალექსანდრე ხახანაშვილი და ალექსანდრე ჯავახიშვილი. იმავე წლის 6 მარტს წესდების პროექტი განსახილველად გადაეცა უნივერსიტეტის საბჭოს, რომელმაც იგი დაამტკიცა 1908 წლის 26 მარტს.

წესდების თანახმად, «სტუდენტურ წრეში» შეიძლებოდა გაერთიანებულიყვნენ დამფუძნებლები და საპატიო წევრები. დამფუძნებელი წევრი შეიძლება გამხდარიყო მხოლოდ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი. საპატიო წევრად შეიძლება მიეღოთ პირი, რომელიც «წრის» განსაკუთრებულ მადლიერებას იმსახურებდა. მათ წარადგენდა ბიურო. წევრებს ამტკიცებდა საერთო კრება (დამსწრეთა ხმების 2/3-ით).

«წრის» სახსრების წყაროებს შეადგენდა: შესასვლელი და თვიური ანარიცხები, რომელთა ოდენობას განსაზღვრავდა საერთო კრება; შემოსავალი საჯარო ლექციებიდან, ძირითადად არდადეგების დროს ჩატარებული საღამოებიდან და კერძო შემოწირულობები.

«წრის» უმაღლესი ორგანო იყო საერთო კრება, რომელიც იყოფოდა განმკარგულებელ და აღმასრულებელ კრებებად. კრება შეიძლება ყოფილიყო საჯარო ან დახურული.

«წრის» უმაღლესი მმართველი ორგანო იყო ბიურო, რომელსაც ირჩევდა საერთო კრება ერთი წლით (იანვარში) 5 კაცის შემადგენლობით. ბიუროს მოვალეობებში შედიოდა საერთო კრების მოწვევა, ლექციების ორგანიზება, მიმდინარე საქმიანობა.

«წრის» ოფიციალური სამუშაო ენა იყო ქართული. ამ ენაზე უნდა შეედგინათ ოქმები და სხვა დოკუმენტები, წაეკითხათ მოხსენებები, ლექციები. გამონაკლისი შეიძლება დაეშვათ იმ შემთხვევაში, თუ «წრის» სხდომას ესწრებოდა არაქართველი.

1908 წლის 2 აპრილს შედგა «სტუდენტური წრის» პირველი სხდომა, რომელზეც შეიქმნა ბიურო. მის თავმჯდომარედ აირჩიეს გ. ჟორდანია, წევრებად _ ალ. სუმბათაშვილ-იუჟინი. წრის აქტიური წევრები იყვნენ შემდგომში ცნობილი მეცნიერები: ს. გაბუნია, ს. გამბარაშვილი, ვლ. ჯაფარიძე, გ. ჯაფარიძე, აკ. ფაღავა, კ. ფანიაშვილი, მ. ზანდუკელი, ნ. ჭეიშვილი და სხვ. გარდა ქართველი სტუდენტებისა, წრის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ სხვა ეროვნების სტუდენტებიც _ ვ. ბაშკოვსკი, ნ. ჩახორუკოვი, მ. სემეიგოფი, ი. მიხაილოვი, ვ. ხალიმოვი, პ. პახდუკოვსკი, ა. პეტროპავლოვსკი და სხვები.

ქართველ სტუდენტთა თხოვნით უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ «წრის» ხელმძღვანელად და თავმჯდომარედ დანიშნა უნივერსიტეტის თანამშრომელი ალ. ჯავახიშვილი, რომელიც იმავდროულად იყო მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტში შექმნილი «ა. წერეთლის სახელობის სამეცნიერო წრის» თავმჯდომარე. შემდგომში ის იგონებდა: «1909 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის საბჭოსა და ქართველ სტუდენტთა მოთხოვნით დამავალეს მეხელმძღვანელა ი. ჭავჭავაძის და ა. წერეთლის სახელობის წრეებისათვის. მოთხოვნა იყო უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგზე, ამიტომ მიმიწვიეს... მომიხდა პასუხისმგებლობის აღება ორივე წრის საქმიანობაზე»[1].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამეცნიერო წრის მუშაობაში მონაწილეობდა მოსკოვის უნივერსიტეტის მეორე პედაგოგიც _ პროფ. ა. ხახანაშვილი; აგრეთვე აქტიურად მუშაობდნენ სტუდენტებთან ა. ფაღავა, მ. ზანდუკელი, ს. გაბუნია და სხვ. «სტუდენტური წრის» წევრები ამზადებდნენ მოხსენებებს საქართველოს ისტორიის

[1] ყიფიანი შ., ალ. ჯავახიშვილი (ცხოვრება და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა). თბ., «მეცნიერება», 1957, გვ.24-26

საკითხებზე, სწავლობდნენ ქართველი კლასიკოსების _ ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, მაგრამ მათი მუშაობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ მორიგი შეკრებებით. უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ტარდებოდა გაფართოებული საჯარო სხდომებიც, რომლებზეც, როგორც წესი, იწვევდნენ მოსკოვის სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლებს. ამ სხდომებზე მოხსენებებით გამოდიოდნენ თვით უნივერსიტეტის პროფესორებიც: პ. საკულინი, ვ. ფრიჩე, ა. ვორმსი, ა. ჯავახიშვილი, ა. ხახანაშვილი და სხვ.

ი. ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა სტუდენტურმა წრემ მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოსთან და ქართველების საზოგადოებასთან მოსკოვში თანამშრომლობით ბევრი გააკეთა როგორც სტუდენტებისთვის, ასევე რუსეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის, რუსი და ქართველი ხალხების დაახლოებისათვის. «სტუდენტურ წრეს» მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე მოწინავე რუსულ სამეცნიერო საზოგადოებებთან, კერძოდ, «მოსკოვის ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის სამეცნიერო საზოგადოებასთან», რომელიც ეხმარებოდა წრის წევრებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მივლინებების ორგანიზაციაში. ასეთი მივლინებების წყალობით «სტუდენტური წრის» წევრების მიერ ქართლში, კახეთში, ხევსურეთში გროვდებოდა ფასდაუდებელი ეთნოგრაფიული მასალა. შემდგომში, უკვე მოსკოვში, ხდებოდა შეგროვებული მასალის დახარისხება, სათანადოდ გაანალიზება და ამ მასალის საფუძველზე იწერებოდა სტატიები, რეფერატები, მზადდებოდა მოხსენებები, რომ-ლებსაც კითხულობდნენ როგორც უშუალოდ «წრის», ასევე მოსკოვის ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის სამეცნიერო საზოგადოების სხდომებზე. განსაკუთრებულად გამორჩეულ მოხსენებებს კითხულობდნენ მოსკოვის სხვა სამეცნიერო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში (მაგ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მოსკოვის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში და სხვ.).

რუსული საზოგადოებისათვის ქართული კულტურის გაცნობის მიზნით «სტუდენტური წრე» მოსკოვის სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებებში მართავდა ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების შემოქმედებისადმი მიძღვნილ საღამოებს.

მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ «სტუდენტური წრის» წევრების უმრავლესობა დაბრუნდა სამშობლოში და 1912 წელს თბილისში ჩამოაყალიბა «ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება», რომელმაც საქართველოში გააგრძელა მოსკოვის «სტუდენტური წრის» მოღვაწეობა.

ქართული კულტურის მოყვარულთა სტუდენტურმა წრემ ისევე, როგორც მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომომ და ქართველების საზოგადოებამ მოსკოვში, დიდი წვლილი შეიტანა როგორც ქართული სამეცნიერო კადრების მომზადების, ასევე რუსეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში.

მოსკოვის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ქართველი სტუდენტების უმრავლესობა დაბრუნდა სამშობლოში და თავისი ცოდნა და უნარი უკლებლივ მოახმარა ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოსკოვში ქართველთა საზოგადოებებმა შეწყვიტეს არსებობა.

თავი III

ქართველთა საზოგადოებრივი გაერთიანებები მოსკოვში
XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში

XX საუკუნის 80-იანი წლების შუახანებში თავად საბჭოთა კავშირის მთავრობისთვისაც აშკარა გახდა დემოკრატიული გარდაქმნების აუცილებლობა და გარდუვალობა. დღის წესრიგში დადგა ეროვნულ-კულტურული ფასეულობების აღორძინების პრობლემა, რადგან ტოტალიტარულმა სისტემამ, რომელიც თავისი გავლენის გაფართოების მიზნით ცდილობდა რა სსრ კავშირში გაერთიანებული ხალხების წეს-ჩვეულებების, ტრადიციების ნიველირების ხარჯზე დაემკვიდრებინა «სოციალისტური» მორალური და სოციალური ნორმები, უცხო კულტურული და სულიერი ფასეულობები, უდიდესი ზიანი მიაყენა, უპირველეს ყოვლისა, ამ ხალხების ეროვნული კულტურის ბუნებრივი განვითარების პროცესს. ამიტომ, დემოკრატიული გარდაქმნების დაწყებისთანავე თავი იჩინა საბჭოეთის უკიდეგანო სივრცეში მცხოვრები

სხვადასხვა ერებისა და ეთნიკური ჯგუფების სულიერი თვითმყოფადობის გამოვლინებებმა, წარსულისა და აწმყოს ახალმა ხედვამ, მიმდინარე პროცესებში თავისი ადგილის პოვნის _ თვითიდენტიფიკაციის ტენდენციამ. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდნენ ახლებურად მოაზროვნე ადამიანები, რომლებმაც მიზნად დაისახეს სსრ კავშირში მცხოვრები ხალხების ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება და მათი აქტიური ჩაბმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გარდაქმნებში. დღის წესრიგში დადგა მრავალეროვანი სახელმწიფოს მკაცრი დიქტატურის პირობებში ჩახშობილი მრავალი ეკონომიკური თუ ეთნოსოციალური პრობლემის უმალ და ნებისმიერი საშუალებით გადაწყვეტის აუცილებლობა.

ჯერ კიდევ რომანოვების იმპერიის და შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩადებული ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირების ნაღმების «გამოცოცხლება» ხელს უწყობდა სსრ კავშირის ნგრევის ფაქტიურად უმართავ პროცესს. ზოგან (ფერღანა, ყარაბაღი, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) ეთნიკურმა კონფლიქტებმა საომარი მოქმედების ხასიათი მიიღო, დაიღვარა სისხლი, გაჩნდა მსხვერპლი, ასიათასობით ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა მშობლიური მიწა-წყალი და თავშესაფარი მეზობელ თუ შორეულ ქვეყანაში ეძებნა.

განსაკუთრებით მძიმე სიტუაციაში საქართველო აღმოჩნდა[1]. აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ლტოლვილი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაკადები რუსეთისაკენ, უმთავრესად, მოსკოვისაკენ დაიძრა. რუსეთის ფედერაციის ოფიციალური მონაცემებით ლტოლვილების რაოდენობამ 20 ათასს გადააჭარბა, ხოლო მოსკოვში 1994 წელს შექმნილი «ლტოლვილთა კომიტეტის» საორგანიზაციო ჯგუფის მიერ მოპოვებული მონაცემების თანახმად, რუსეთის დედაქალაქში დაფიქსირებულია 60 ათასამდე ლტოლვილი აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან.

ათასწლეულების მიჯნაზე რუსეთში მიმდინარე რადიკალური გარდაქმნების პირობებში საქართველოდან ლტოლვილი ან სხვადასხვა მიზეზებით (უმუშევრობა, მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან შეუთავსებლობა და სხვ.) იქ ჩასახლებული ქართველების წინაშე დადგა სოციალური, პოლიტიკური თუ სამართლებრივი პრობლემების გადაჭრის აუცილებლობა, რამაც განაპირობა XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან მოსკოვში ქართველთა გაერთიანება სხვადასხვა მიზნობრივ

[1] კეშელავა ვ. სახელმწიფო და ეთნოკონფლიქტები. ჟურნ. «ეთნოპოლიტიკა», [1]1, 2000, გვ.3-7

ჯგუფებში. ამ გაერთიანებების მიზნები და საქმიანობის ხასიათი ჩვეულ ნიადაგს მოწყვეტილი ადამიანების საჭირბოროტო პრობლემების, მათი ფსიქოლოგიური განწყობის და პოლიტიკური პოზიციის, ამასთანავე, საქართველოში მიმდინარე პროცესების ხედვის და მათდამი დამოკიდებულების საკმარისად ზუსტი ინდიკატორებია. ამ საზოგადოებრივი გაერთიანებებისათვის დამახასიათებელია, ძირითადად, მიუსაფარი ლტოლვილი ქართველების მოკლევადიანი ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, მათ ფიზიკურ გადარჩენაზე ზრუნვა. მაგრამ 90-იანი წლების შუახანებში, რუსეთსა და საქართველოში განვითარებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების ფონზე, აშკარად შეიმჩნევა საზოგადოებრივი გაერთიანებების მიზნებისა და სამოქმედო მეთოდების ტრანსფორმაცია.

XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს და XXI საუკუნის დამდეგს ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი გაერთიანებების მოღვაწეობის არეალი გაცილებით ფართო და მრავალფეროვანი გახდა და მოსკოვში მცხოვრები ქართველების სხვადასხვა სოციალური ფენები და ინტერესთა ჯგუფები მოიცვა. მათი სამოქმედო გეგმები, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ხასიათისა და ძალთა თანაფარდობის გათვალისწინებით, უფრო პრაგმატულია. მეტი ყურადღება ეთმობა დესტრუქციული პოლიტიკური და ეთნოსოციალური ენერგიის პოზიტიურ მოღვაწეობაში გადაყვანას. წინა პლანზე გამოდის ისეთი პრობლემები, როგორიცაა: ნაციონალური კულტურის შენარჩუნება და განვითარება, განათლების სფეროს ხელშეწყობა, ეროვნული თვითშეგნების გაღრმავება და, იმავდროულად, სხვა ეროვნებებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ტრადიციების, ურთიერთგაგებისა და შემწყნარებლობის განმტკიცება. განსაკუთრებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის საქართველოს შესახებ ობიექტური ინფორმაციის დროულად მიწოდების პრობლემას, რასაც, ეჭვგარეშეა, ზოგიერთი ქვეყნის მასმედიის ანტიქართული გამოხდომების ფონზე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს პრესტიჟის განმტკიცებისათვის.

დღეს მოსკოვში შექმნილ რთულ, დაძაბულ და, სამწუხაროდ, ხშირად უმართავ ეთნოკონტაქტურ სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს სულ ახალი და ახალი

მასშტაბური მიგრაციული ტალღები მსხვილი დიასპორების შექმნით, დომინირებული რუსი მოსახლეობის და ცალკეული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს შორის სოციალური და კულტურული «განსხვავებულობების» გაძლიერებით (ზოგიერთი მონაცემით მოსკოვში არარუსი მოსახლეობის რაოდენობამ 30%-ს გადააჭარბა).

მოსკოვის ეთნოდემოგრაფიული ბალანსის დარღვევა ჩამოსახლებულების არაკონტროლირებადი ნაკადის მომძლავრების ხარჯზე დღეს უკვე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალაქის სოციალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატზე, შემდგომში კი, მოსალოდნელია, უარყოფითად აისახოს სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობის დონეზე და, შესაბამისად, თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებაზე. ქალაქის რუსი ეროვნების მოსახლეობაში იზრდება ქსენოფობური განწყობა. ამ გამოწვევის საპასუხოდ მოსკოვის მთავრობის მიერ შემუშავებულია მიზნობრივი პროგრამა «მოსკოვი მსოფლიო კულტურის გზაზე; ტოლერანტული განწყობის ფორმირება, ექსტრემიზმის პროფილაქტიკა, მსოფლიო კულტურის აღზრდა», რომლის პრაქტიკული განხორციელების რეალური პერსპექტივები ჯერჯერობით არ იკვეთება. ასეთ ვითარებაში მოსკოვის ქართული (და არა მხოლოდ ქართული) დიასპორა აღმოჩნდა ექსტრემალური გამოხდომების პირისპირ, რაც ეჭვქვეშ აყენებს არა მარტო ამ დიასპორის წარმომადგენელთა საარსებო წყაროების შენარჩუნების შესაძლებლობას, არამედ უსაფრთხო არსებობასაც. ასეთ ვითარებაში მრავალმილიონიან ქალაქში გაფანტული ქართული დიასპორის მაორგანიზებელი ძალის _ საზოგადოებრივი გაერთიანებების მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა მკვეთრად მატულობს და უბიძგებს მათ მოქმედების ახალი, უფრო ეფექტური გზებისა და საშუალებების ძიებისაკენ, თავისი შესაძლებლობების და მოსკოვის მეგაპოლისის მთლიანი მსოფლიოკულტურული პოტენციალის სრულად გამოყენებისაკენ.

ქვემოთ განხილულია დღეს მოსკოვში მოქმედი ქართველთა საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობა. «საზოგადოებები» წარმოდგენილია ქრონოლოგიურად _ მათი დაარსების თარიღის მიხედვით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვლევა ძირითადად ეყრდნობა ამ გაერთიანებათა ხელმძღვანელებთან და წევრებთან პირადი კონტაქტების შედეგად მოძიებულ მასალებს, აგრეთვე, ამ საზოგადოებების დებულებებს, წესდებებს,სამოქმედო გეგმებს, ანგარიშებს, ოფიციალურ მიმოწერას და სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტებს.

3.1. რუსეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოება „ძალისა”

1987 წლის ნოემბერში სრულიად რუსეთის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მოსკოვის განყოფილებასთან დაფუძნდა პირველი ეროვნული ქართული საზოგადოება _ «რუსეთისა და საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მოყვარულთა გაერთიანება «ძალისა», რომელიც 1992 წელს, რეორგა-ნიზაციის შედეგად გარდაიქმნა «რუსეთ_საქართველოს მეგობრობის საზოგადოება «ძალისად». სახელწოდებას საფუძვლად დაედო მცხეთის მახლობლად, მუხრანის ველზე არსებული უნიკალური არქეოლოგიური ძეგლის _ გვიანანტიკური ხანის ნაქალაქარის «ძალისას» სახელი.

ეს იყო პირველი ქართული საზოგადოებრივი გაერთიანება რუსეთში. საზოგადოების წესდებაში აღნიშნული იყო, რომ «მოყვარულთა გაერთიანება «ძალისა» წარმოადგენს სსრ კავშირის იმ მოქალაქეთა თვითმოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომლებიც ნებაყოფლობით გაერთიანდნენ რუსეთისა და საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში სახელმწიფო ორგანოებისათვის ხელშეწყობის მიზნით»[1].

იმ პერიოდში არ არსებობდა ეროვნული საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნის არავითარი კონსტიტუციური საფუძველი. მხოლოდ ასეთი შეფარვითი გზით თუ იყო შესაძლებელი ქართული ან ნებისმიერი ნაციონალური გაერთიანების დაარსება.

«გაერთიანების» დამფუძნებლად ითვლებოდნენ სრულიად რუსეთის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მოსკოვის განყოფილება და კერძო პირები, ქართული დიასპორის წარმომადგენლები: გ. აბულაძე, ზ. ბერიძე, ქ. ღლონტი, რ. ლობჟანიძე, მ. მირიანაშვილი, ა. ბირიუკოვი, მ. ნადირაშვილი, ნ. ციციშვილი.

„ძალისას” შემწირველები იყვნენ: ნ. აკოფოვი, თ. ბერიკაშვილი, ვ. ვინოგრადოვი, მ. თავდიშვილი, ი. ტერტერაშვილი, რ. ჯანიაშვილი, ვ. ფროლოვი, ს. ცაგარეიშვილი, ა. ძასოხოვი, გ. ხარჩილაძე, ბ. ხვინთელიანი, იღუმენი კირილე (სახაროვი).

1988 წლის 5 იანვარს გაერთიანება «ძალისას» საერთო კრებამ აირჩია საბჭო _ გ. ბეშიტაიშვილის, ლ. გაფრინდაშვილის, თ. გვარიშვილის, ს. ევლახიშვილის, ი.

---

[1] Устав Любительского объединения "Дзалиса" по охране памятников истории и культуры России и Грузии. 18 февр. 1988, Москва

კეცხოველის, ლ. სამადბეგიშვილი-სურამელის, რ.ჯანიაშვილის შემადგენლობით, და საბჭოს თავმჯდომარე _ თ. ჯანდიერი, ლინგვისტი, პოეტი, კომპოზიტორი, მომღერალი.

«საზოგადოების» კოლექტიური მართვის ორგანოს წარმოადგენს საერთო კრება, რომელიც ირჩევს საბჭოს, იხილავს სამუშაო გეგმებს, პროექტებს, ხარჯთაღრიცხვის ნუსხას, ისმენს საბჭოს ანგარიშებს, საზღვრავს ინდივიდუალურ წევრთა საწევროს ოდენობას, ხმის უმრავლესობით იღებს წესდებას, ირჩევს სარევიზიო კომისიას, ხაზინადარს, საზღვრავს გაერთიანების ფონდში გადასახდელი თანხის ოდენობას.

«ძალისაში» გაწევრიანება შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც დაიცავს წესდებას, გადაიხდის საწევროს, კეთილსინდისიერად შეასრულებს თავის მოვალეობას, დაემორჩილება საერთო კრების გადაწყვეტილებებს.

ამჟამად საზოგადოება «ძალისაში» ათასზე მეტი წევრია. მათ შორის არიან მეცნიერები, ინჟინრები, ეკონომისტები, იურისტები, ექიმები, პედაგოგები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, სტუდენტები. «ძალისას» წევრები არიან სხვადასხვა ეროვნების გამოჩენილი ადამიანები, ის ადამიანები, რომლებიც წლების მანძილზე მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული საქართველოსთან და ისინიც, რომლებსაც უბრალოდ, აინტერესებთ საქართველოს ისტორია, კულტურა და დღევანდელი დღე. მათი მიზანია რუსი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ისტორიისა და, კერძოდ, XV-XIX საუკუნეებში რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური, რელიგიური და კულტურული კავშირების ამსახველი ძეგლების გამოვლენა და შესწავლა, მათ რესტავრაციასა და დაცვაში სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ხელის შეწყობა და მომავალი თაობებისათვის ამ ძეგლთა შენახვა.

«ძალისას» საქმიანობა აგებულია თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპზე, რისთვისაც იგი იყენებს: საწევრო შესატანებს, დადგენილი წესის მიხედვით ნებაყოფლობით შემოწირულ ფულად ანარიცხებს, მათ შორის, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაციებიდან, წევრთა მიერ შესრულებული ნაკეთობების რეალიზაციიდან, ჩატარებული ფასიანი ღონისძიებებიდან (საქველმოქმედო კონცერტები, გამოფენები) შემოსულ თანხებს.

ანგარიშსწორების ყველა ოპერაცია ხორციელდება დადგენილი წესით. ხარჯების ნუსხაში ჩართულია თავმჯდომარის, წრეების ხელმძღვანელების, ხელშეკრულებით

გაფორმებული წევრების შრომის ანაზღაურება, აგრეთვე, შენობის არენდის, მისი რემონტის, გათბობის და ა.შ. ხარჯები. საერთო კრების გადაწყვეტილებით საზოგადოების სახსრების ნაწილი შეიძლება გამოეყოს შესაბამის ორგანიზაციებს კონკრეტულ ძეგლზე სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად.

«ძალისა» სამუშაო გეგმას ყოველწლიურად წარუდგენს დამფუძნებელ ორგანიზაციას _ სრულიად რუსეთის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მოსკოვის განყოფილებას, აწარმოებს ჩატარებული ღონისძიებების აღრიცხვას, ქმნის საზოგადოების «მატიანეს» _ ფოტოებით, სურათებით, გაზეთებიდან და ჟურნალებიდან ამონაბეჭდებით. კინო- და ფოტოფირებზე აღბეჭდავს თავისი საქმიანობის ამსახველ დოკუმენტურ მასალას.

1990 წელს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მისი უწმინდესობის ალექსი II და უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით დაარსდა წმინდა მოწამე ძლევამოსილი გიორგის სახელობის ტაძრის პირველი მართლმადიდებლური რელიგიური საზოგადოება, რომლის წევრებმა 1991 წელს შექმნეს წმინდა მოწამე ძლევამოსილი გიორგისა და მოციქულთსწორის, განმანათლებლის, წმინდა ნინოს სახელობის ქართველ მართლმადიდებელთა საძმო.

1990 წელს „ძალისას" ძალისხმევით წმინდა გიორგის ტაძარი ჩართულ იქნა „ისტორიისა და კულტურის ხელახლა გამოვლენილ ძეგლთა სიაში", ამავე წელს იგი ოფიციალურად გადაეცა ქართველ მართლმადიდებელთა საძმოს და ნებადართულ იქნა აღნიშნულ ტაძარში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე ჩატარება. მრევლის საბჭომ თავმჯდომარედ აირჩია თ.ჯანდიერი.

1993 წლის 22 ივნისს ქართველ მართლმადიდებელთა საძმომ დააფუძნა არასახელმწიფო საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებელი _ ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური გიმნაზია, რომლის საბჭოში აირჩიეს: დეკანოზი მ. დრონოვი, მ. ახალაია, ნ. მამფორია, ვ. ნიკიტინი, ლ. რონდელი, ზ. ღოღობერიძე, მ. ჩუბინიძე, თ. ჯანდიერი, ნ. ჯანჯღავა. საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს თ. ჯანდიერი[1].

1993 წელს მოსკოვის ოლქის კაშირსკის რაიონის დაბა სტაროდუბში საზოგადოების ინიციატივით შეიქმნა უფლის ფერისცვალების ეკლესიის რელიგიური

[1] Протокол №1 заседания Совета Братства св. вмч. Георгия и св. рап. Нины. 22 июня 1993 г. г.Москва

საზოგადოება, რომელმაც მიიღო მიტროპოლიტ კრუტიცკისა და იუვენალია კოლომენსკის ლოცვა-კურთხევა ლოცვების რუსულ და ქართულ ენებზე ჩასატარებლად.

1994 წლის 14 ოქტომბერს ამ ეკლესიის აღსადგენად და წმინდა ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებელი გიმნაზიის I კლასის გახსნასთან დაკავშირებით საჭირო თანხების შესაგროვებლად მოსკოვის სახელმწიფო ესტრადის თეატრში გაიმართა თ. ჯანდიერის პირველი საქველმოქმედო კონცერტი და ქართველი და რუსი მხატვრების სურათების საქველმოქმედო აუქციონი. კონცერტში მონაწილეობდა ქორეოგრაფიული სტუდია „ივერია" (სამხატვრო ხელმძღვანელი – რუსეთისა და საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რ. ჯანიაშვილი), დამდგმელი რეჟისორი _ რუსეთისა და საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. ევლახიშვილი.

ამავე მიზანს ემსახურებოდა 1996 წელს სასტუმრო „კოსმოსის" საკონცერტო დარბაზში ჩატარებული კონცერტი და მხატვართა ცენტრალური სახლის ფერწერულ ნამუშევართა გამოფენა-გაყიდვა, 1997 წელს – კონცერტი „ავტომობილისტის" კულტურის სახლში.

1998 წლის 6 მაისს, გიორგობის დღესასწაულის აღსანიშნავად «ძალისამ» ჩაატარა საქველმოქმედო კონცერტი, რომელშიც მონაწილე-ობდნენ თ. ჯანდიერი, ქორეოგრაფიული სტუდია «ივერია» და ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი «კოლხიდა» (სამხატვრო ხელმძღვანელი _ რუსეთისა და საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რ. ჯანიაშვილი), ვოკალური ტრიო «რეტრო» (თ. თეზელა-შვილი, გ. გაბუნია, დ. მჭედლიძე), ძველი რუსული მუსიკის ანსამბლი «სვეტილენ», სასულიერო მუსიკის ვოკალური ტრიო. კონცერტის დამდგმელი რეჟისორი _ რუსეთისა და საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. ევლახიშვილი. შემოსული თანხა ჩაირიცხა მოსკოვის ოლქის კაშირსკის რაიონის დაბა სტაროდუბის უფლის ფერისცვალების ეკლესიის აღდგენის ფონდში.

გაერთიანება „ძალისას" ხელშეწყობით 1998 წლის ოქტომბერსა და 1999 წლის ნოემბერში ჩატარდა მართლმადიდებლური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, მისი უწმინდე-სობის ალექსი II, უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით საზოგადოება „ძალისამ" და ქართველ მართლმადიდებელთა

საძმომ ჩაატარეს დიდების სიარული ჯვრით: 2000 წელს მარშრუტით – მოსკოვი-ვლადიკავკაზი-ყაზბეგი-თბილისი, რომელიც მიეძღვნა ქრისტეშობის 2000 წლის იუბილეს, და 2002 წელს მარშრუტით _ მოსკოვი-თბილისი- მოსკოვი _ საქართველოს მფარველის, წმინდა მოწამე ძლევამოსილი გიორგის პატივსაცემად.

2001 წლის 3 ივნისს გაიმართა საზოგადოება „ძალისას" მე-15 და ქართველ მართლმადიდებელთა საძმოს მე-10 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

2001 წელს აფხაზეთში მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის საზოგადოება „ძალისაში" შეიქმნა სახალხო დიპლომატიის პარლამენტი, რომლის ძირითადი მიზანია აფხაზეთში მშვიდობიანი გზით კონფლიქტების მოგვარება, ლტოლვილთა დაბრუნება აფხაზეთში, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა მარშრუტით მოსკოვი-სოხუმი-თბილისი, რუსეთსა და საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობის აღდგენა.

2001 წელს საზოგადოებამ დააფუძნა „საზოგადოება „ძალისას" საპატიო წევრის" წოდება, რომელიც მიენიჭა: საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს რუსეთში ზ.აბაშიძეს, ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის პრეზიდენტს ა.ძასოხოვს, რუსეთისა და საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს რ.ჯანიაშვილს.

2002 წელს „საზოგადოების" საპატიო წევრებად აირჩიეს ე. პრიმაკოვი და ვ. ვინოგრადოვი.

საზოგადოება „ძალისას" მჭიდრო კავშირი აქვს მოსკოვისა და საქართველოს საპატრიარქოსთან, მოსკოვის მერიასთან, რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების აპარატებთან, ყველა ქართულ საზოგადოებრივ გაერთიანებასთან, სრულიად რუსეთის საზოგადოებრივ მოძრაობასთან _ „მართლმადიდებელი რუსეთი", საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან „ნაროდ", რუსეთის კაზაკთა კავშირთან.

3.2. ნებაყოფლობითი საზოგადოება «მოსკოვის ქართული სათვისტომო»

1989 წლის 24 ივნისს დაფუძნდა რეგიონალური საზოგადოებრივი ორგანიზაცია ნებაყოფლობითი საზოგადოება «მოსკოვის ქართული სათვისტომო». «სათვისტომოს»

დაფუძნებას ბიძგი მისცა 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარმა ტრაგედიამ[1]. ოფიციალურად დაფუძნებამდე «სათვისტომოს» საქმიანობას წარმართავდა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც აწყობდა 9 აპრილს გადაღებული ვიდეო მასალების ჩვენებას, შეხვედრებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ქართველ დეპუტატებთან და რუსული ინტელიგენციის პროგრესული ნაწილის წარმომადგენლებთან; იყო სხვადასხვა საპროტესტო აქციების (მიტინგები, პიკეტები, შიმშილობა და სხვ.) ორგანიზატორი.

თავდაპირველად «სათვისტომოს» დამფუძნებელი საინიციატივო ჯგუფი 20 წევრისაგან შედგებოდა. მოსკოვის კანონმდებლობის მიხედვით მათ მოქალაქეობასა და საცხოვრებელ ადგილს მნიშვნელობა არ ჰქონდა. პირველ კრებას ესწრებოდა 850 ქართველი. აირჩიეს «სათვისტომოს» მმართველი ორგანო _ დარბაზი 15 კაცის შემადგენლობით. დარბაზის თავმჯდომარედ აირჩიეს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დავით თაბაგარი, მდივნად _ თამარ რევაზიშვილი. დარბაზი ატარებდა დახურულ და გაფართოებულ სხდომებს. მოღვაწეობის საწყის ეტაპზე დარბაზის გაფართოებული სხდომები ძირითადად ტარდებოდა საქართველოს კულტურის ცენტრ «მზიურში». 1990 წლიდან მოსკოვში საქართველოს წარმომადგენლობის მოთხოვნით «სათვისტომოს» გამოეყო ცალკე შენობა (არბატის ქ. [1]42). ამავე წელს შემოღებულ იქნა პრეზიდენტის თანამდებობა და პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა ქიმ. მეცნ. დოქტ. ა. ქორიძე. ამჟამად სათვისტომოს პრეზიდენტია თ. სტურუა, ვიცე-პრეზიდენტები _ ბიოლ. მეცნ. კანდ. დ. ბერიტაშვილი და ფილოლ. მეცნ. კანდ. რ. კონჯარია.

1994 წლის 26 თებერვალს მოსკოვის ქართულმა სათვისტომომ მე-4 საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე წესდებაში შეიტანა შესწორებები და დამატებები, ხოლო ამავე წლის 6 ივნისს მოსკოვის იუსტიციის მთავარ სამმართველოში ხელმეორედ გაიარა რეგისტრაცია. 1999 წლის 7 აპრილს მე-5 საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე წეს-დებაში კვლავ შეტანილ იქნა შესწორებები და დამატებები და 1999 წლის 5 აგვისტოს «სათვისტომომ» გაიარა ხელახალი რეგისტრაცია.

---

[1] Полянский В.С. Историческая память в этническом самосознании народов. Журн. «Социологические исследования», № 3, 1999, с.11–20

«სათვისტომოს» საქმიანობის მიზანია[1] ორგანიზაციის წევრების ძალთა გაერთიანება საქართველოდან იძულებით წამოსული მოქალაქეების კულტურული, სოციალური და რელიგიური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მათი ნაციონალური თვითიდენტიფიკაციის შესანარჩუნებლად და, აგრეთვე, ქართული კულტურის, ენის, წეს-ჩვეულებების პროპაგანდა და სხვა ხალხებთან მეგობრობის განმტკიცება.

ამ მიზნების განსახორციელებლად, წესდების თანახმად, «სათვისტომო» წყვეტს შემდეგ ამოცანებს: მონაწილეობს და ხელს უწყობს საქართველოსა და რუსეთის ისტორიული და კულტურული კავშირების შესწავლას; ახორციელებს ღონისძიებებს რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვან ურთიერთობათა ისტორიისა და კულტურის ამსახველი ძეგლების შესანარჩუნებლად აღდგენითი, სარემონტო და სარესტავრაციო სამუშაოების ჩასატარებლად; ხელს უწყობს ცალკეული მოქალაქეებისა და კოლექტიური ჯგუფების თვითშემოქმედებითი კლუბების, ქართული მუსიკის, ცეკვის, მხატვრული ლიტერატურული წრეების, სტუდიების შექმნას, ქართული სკოლების, ბაგების, ბაღების და ქართული ენის შემსწავლელი კურსების გახსნას. მატერიალურად ეხმარება «სათვისტომოს» წევრებს, მათ ოჯახებს და სხვა გაჭირვებულ მოქალაქეებს; თავისი კომპეტენციის ფარგლებში იცავს თავისი წევრებისა და თანამემამულეების ინტერესებს ადმინისტრაციულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში; ატარებს საქველმოქმედო ღონისძიებებს, გამოფენებს, კონკურსებს, კონცერტებს, თეატრალურ-სანახაობით გამოსვლებს, ფესტივალებს, აუქციონებს; ახორციელებს საგამომცემლო საქმიანობას; ავრცელებს საქართველოს ცხოვრებისა და კულტურის ამსახველ წიგნებს, გაზეთებს, ჟურნალებს.

«სათვისტომოს» დაფინანსების წყაროა საწევროები, ნებაყოფლობითი შესატანები და შემოწირულობები; წესდების შესაბამისად, ლექციების, გამოფენების, სპორტული და სხვა სახის ღონისძიებების ჩატარებიდან, აგრეთვე საწარმოო და საგამომცემლო საქმიანობიდან შემოსული თანხები.

«სათვისტომოს» უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, მმართველი ორგანო _ დარბაზი, რომელსაც კრება ირჩევს 2 წლით. დარბაზის საქმიანობას ხელმძღვანელობს «სათვისტომოს» პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევენ 5 წლის ვადით. სარევიზიო კომისიას ირჩევს საერთო კრება 2 წლით.

---

[1] Устав Московского грузинского землячества, 1999, г.Москва

1989 წელს «სათვისტომოში» შეიქმნა დემოგრაფიული სექცია, რომლის მიზანი იყო ხელი შეეწყო ქართველების სამშობლოში დაბრუნებისათვის. იმ დროისათვის საქართველოში მცხოვრებ რუსებსაც ჰქონდათ სამშობლოში დაბრუნების სურვილი. ამიტომ დემოგრაფიულმა სექციამ საქართველოს ქალაქებშიც გახსნა ფილიალები, რომლებიც მსურველებს უსასყიდლოდ ეხმარებოდნენ ბინების გაცვლაში.

«სათვისტომოს» დაარსებისთანავე შეიქმნა ვაჟთა ვოკალური ფოლკლორული ანსამბლი «ლომისი», რომლის ხელმძღვანელი იყო კომპოზიტორი რ. ჩირინაშვილი, წევრები _ თ. ვასაძე, გ. კაჭარავა, რ. კონჯარია, კ. ლომაია, ა. ფოჩხუა, ლ. შენგელია, გ. ჭელიძე. ანსამბლის დებიუტი შედგა 1989 წლის 26 მაისს ქართული კულტურის ცენტრ «მზიურში». ანსამბლის შემადგენლობა არაერთხელ შეიცვალა. სხვადასხვა დროს მასში მონაწილეობდნენ: ს. გაბიჩვაძე, დ. კალანდია, გ. მარტინენკო, ბ. მახარაძე, რ. პაპავა, დ. ქაფიაშვილი, ო. ხატელიშვილი, ა. ჩხაიძე. ამ უკანასკნელმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ანსამბლის რეპერტუარის გაფართოებაში. ანსამბლის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის დირიჟორ გ. ყურაშვილს.

1990 წლიდან «სათვისტომოსთან» ჩამოყალიბდა მოყვარულთა ქართული დრამატული თეატრი, რომლის ხელმძღვანელი იყო ნ. ბერიძე. დაიდგა «მკაცრი ქალიშვილები», «რომეო და ჯულიეტა», «ათვინიერებენ მიმინოს», «მე, ბებია, ილიკო და ილარიონი». ეს უკანასკნელი სპექტაკლი საქართველოს მაყურებელმაც ნახა. ბოლო წლებში თეატრი გადაკეთდა კომედიისა და დრამის ქართულ თეატრად. ხანგრძლივი დროის მანძილზე მას ხელმძღვანელობდა აწ განსვენებული ე. იმნაძე. ამჟამად თეატრის ხელმძღვანელია გ. ნიკოლეიშვილი.

ოთხიოდე წელი იარსება ქართული ცეკვის ბავშვთა ქორეოგრაფიულმა სტუდიამ «დავლური», რომელსაც თავდაპირველად ხელმძღვანელობდა გ. ბაღდადიშვილი, შემდგომში _ შ. ბეჟანიშვილი და ს. ბეგიაშვილი. «სათვისტომოს» განზრახული აქვს მისი აღდგენა.

1994 წელს ჩამოყალიბდა ბავშვთა თეატრალური სტუდია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ე. იმნაძე. დღეისათვის სტუდიაში მუშაობს უმცროსი და უფროსი ასაკის ბავშვთა ორი ჯგუფი.

«სათვისტომო» სისტემატურად ატარებს ლიტერატურულ და მუსიკალურ საღამოებს, აწყობს გამოფენებს, შეხვედრებს გამოჩენილ ადამიანებთან. ასე მაგალითად,

1990 წელს არბატზე, ღია ცის ქვეშ შედგა ერთდროული თამაშის სეანსი ჭადრაკში მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მ. ჩიბურდანიძესთან, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ქართველები, ასევე რუსები. არბატის ქ. [1]46 სახლის ეზოში, ღია ცის ქვეშ გაიხსნა ვერნისაჟი _ «ფიროსმანი», სადაც მოეწყო ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

«სათვისტომო» დიდ ყურადღებას უთმობს საგამომცემლო საქმიანობას. 1990 წელს ერთდროულად დაიწყო ორი გაზეთის გამოცემა _ «ქართული სიტყვა» და «Грузинское слово».@1993 წელს გამოვიდა ლიტერატურული ალმანახის «Золотое руно»-ს პირველი ნომერი, რამაც დასაბამი მისცა «სათვისტომოში» გამომცემლობის დაარსებას. ამ დროის მანძილზე გამოიცა მოსკოვში მცხოვრებ ქართველთა ლექსების 4 კრებული და ერთი რომანი. «სათვისტომოს» პრესსამსახური ყოველთვიურად უშვებს ბიულეტენს «Грузинская тема в СМИ России».

«სათვისტომო» ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას. 1993 წელს მოსკოვში დაარსდა პირველი ქართული ლიცეუმი, რომლის დაფუძნებაში «სათვისტომომ» გარკვეული წვლილი შეიტანა. 1998 წელს «სათვისტომოში» შეიქმნა მოსკოვში ერთადერთი ქართული ბიბლიოთეკა (ბიბლიოთეკარი ნ. მგელაძე). ამავე წელს გაიხსნა ქართული ენის შემსწავლელი კურსები (ხელმძღვანელი ფილოლ. მეცნ. კანდ. რ. კონ-ჯარია), რომელიც ორასზე მეტმა უცხოელმა დაამთავრა.

თავდაპირველად «სათვისტომო» ჩაფიქრებული იყო როგორც პოლიტიკური მიმართულების ორგანიზაცია, მაგრამ საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა მათ წინაშე სხვა ამოცანებიც დააყენა და მისი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ქველმოქმედება გახდა. ასე მაგალითად, 1991 წელს საქართველოში მომხდარი მიწისძვრის დროს «სათვისტომომ» მატერიალური დახმარება გაუწია ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფ 10 ოჯახს. აფხაზეთში სამხედრო კონფლიქტის დროს «სათვისტომოს» ეგიდით სოხუმში გაიგზავნა კვების პროდუქტებით, ტანსაცმლითა და სხვა ჰუმანიტარული დახმარებით დატვირთული თერთმეტი თვითმფრინავი. 1993-1995 წლებში ჩატარდა რამდენიმე ჰუმანიტარული აქცია აფხაზე-თიდან ლტოლვილთა დასახმარებლად. «სათვისტომო» გასცემდა ლტოლვილის საბუთს (რომელიც იმ წლებში პირადობის დამადასტურებელი ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტი იყო სამშობლოდან დევნილისათვის), ზრუნავდა ლტოლვილთა სამუშაო

ადგილებით უზრუნველყოფაზე, მათი შვილების საბავშვო ბაღებსა და სკოლებში მოწყობაზე და ა.შ.

უკვე 5 წელია, რაც «სათვისტომო» იღვწის «ბოლშაია გრუზინსკაიაზე» წმინდა გიორგის ქართული ეკლესიის აღსადგენად. შესრულებულია სამუშაოების ძირითადი ნაწილი. მღვდელთმსახურება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. საეკლესიო დღესასწაულებზე მთელი ქართველობა აქ იყრის თავს. ეკლესიასთან ფუნქციონირებს საკვირაო სკოლა, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს. სკოლაში შეისწავლიან ქართულ ენას, ლიტერატურას, საქართველოსა და ქართული კულტურის ისტორიას.

«სათვისტომოს» ჰქონდა და დღესაც აქვს მრავალი საინტერესო და ქართული საქმისათვის სასარგებლო პროექტი, რომელთაც, სამწუხაროდ, უკვალოდ გაქრობა ემუქრება. მიზეზი ის გახლავთ, რომ დღეს «ქართული სათვისტომო», ფაქტიურად, ქუჩაშია დარჩენილი. შენობა, რომელშიც ის იყო განთავსებული, გაიყიდა (იყიდეს ისევ ქართველებმა) და მთელი ქართული ბიბლიოთეკა, ყუთებში ჩაწყობილი, ნახევრად უპატრონო საწყობშია მიმოფანტული და, რაც მთავარია, თვით ხალხი, «სათვისტომოს» კოლექტივი, რომელმაც ქართულ საქმეს ორი ათეული წელი შეალია, თავშესაფრის გარეშეა დარჩენილი.

3.3. თანამემამულეთა რეგიონალური საზოგადოება «აჭარა»

1990 წლის 3 ივლისს დაფუძნდა თანამემამულეთა რეგიონალური საზოგადოება «აჭარა». მისი დამფუძნებლები იყვნენ: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ტ. ჩხეიძე, ინჟინრები _ რ. სალაძე, შ. კობალაძე, ბიზნესმენები _ ჯ. ანანიძე, ო. დიასამიძე, დ. ბერიძე და ეკონომისტი ჰ. ხალვაში. საზოგადოების პრეზიდენტად არჩეულ იქნა რ. სალაძე, ვიცე-პრეზიდენტად _ ო. დიასამიძე.

«საზოგადოებაში» გაერთიანებულია 250-ზე მეტი წევრი, რომელთაგან 80 აქტივისტია. მისი მმართველობის ორგანოა საბჭო 21 წევრის შემადგენლობით; დაფინანსების წყაროა საწევრო ანარიცხები და შემოწირულობები.

«საზოგადოების» მიზანია ქართული ენის, კულტურის, ნაციონა-ლური ტრადიციების პროპაგანდა, მოსკოვში ეროვნებათშორისი ურთიერთობების გაუმჯობესება და განვითარება, რუსეთსა და საქართველოს შორის კულტურული,

ეკონომიკური, სამეცნირო-ტექნიკური კავშირების აღდგენისა და განმტკიცებისათვის ხელის შეწყობა.

საზოგადოება «აჭარა» შეძლებისდაგვარად ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას: 1991-1992 წლებში მან მოსკოვის ქართულ სათვისტომოსთან ერთად საჩხერეში მიწისძვრით დაზარალებულებს გაუწია ჰუმანიტარული დახმარება; 1993 წელს აფხაზეთიდან სვანეთის გზით გადმოსულ ლტოლვილებს დაეხმარა ფინანსურად, პროდუქტებითა და წამლებით.

«საზოგადოების» საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებას საქართველოსა და, კერძოდ, აჭარის ისტორიის საკითხებზე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, რუსეთ-საქართველოს კულტურულ კავშირებზე და სხვ. ასე მაგალითად, 1998 წელს ჩატარდა კონფერენცია თემაზე _ «სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის აჯანყება _ რუსეთის როლი აჭარის განთავისუფლებაში»; 1999 წელს მოსკოვის ნ. ნეკრასოვის სახ. ბიბლიოთეკაში ჩატარდა კონფერენცია თემაზე _ «საქართველო და პუშკინი» და სხვ.

საზოგადოება «აჭარას» მჭიდრო კავშირი აქვს მოსკოვში საქართველოს საელჩოსთან, მოსკოვის მერიასთან, ყველა ქართულ საზოგადოებრივ გაერთიანებასთან, მოსკოვის მეგობრობის სახლთან, მოსკოვის ეროვნებათა სახლთან, საზოგადოება «ჩვენებურებთან» და სხვ.

3.4. ნებაყოფლობითი თვითმართვადი საგანმანათლებლო საზოგადოებრივი გაერთიანება «ქართველთა საზოგადოება რუსეთში»

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთში მცხოვრები ქართველები, რომლებიც მთელი თავისი საქმიანობით, შრომით, ყოველდღიური მოღვაწეობით დაკავშირებული იყვნენ საბჭოთა ქვეყანასთან, აღმოჩნდნენ საქართველოს ფარგლებს გარეთ. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ისინი გაერთიანდნენ და შექმნეს ნებაყოფლობითი, თვითმართვადი, საგანმანათლებლო საზოგადოებრივი გაერთიანება «ქართველთა საზოგადოება რუსეთში», რომელიც არ ისახავდა პოლიტიკურ მიზნებსა და ამოცანებს და რომლის საქმიანობის ამოსავალი პრინციპი იყო ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა

აღიარება, რუსეთსა, საქართველოსა და სხვა სახელმწიფოებს შორის მეგობრობის პროპაგანდა[1,2].

1992 წლის 25 სექტემბერს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა ორგანიზაციის «ქართველთა საზოგადოება რუსეთში» წესდება, ხოლო 1993 წლის 28 მაისს «საზოგადოებამ» გაიარა რეგისტრაცია რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროში.

ამჟამად, რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა რეგიონში საზოგადოების წესდების შესაბამისად ფუნქციონირებს 35 განყოფილება, რომელშიც გაერთიანებულია 500 ათასზე მეტი ქართველი _ რუსეთის ფედერაციის მოქალაქე.

საზოგადოება თანადამფუძნებელია მთელი რიგი საერთაშორისო და რეგი-ონალური ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანებების. სახელდობრ: სამოქალაქო დიპლომატიის საერთაშორისო კომიტეტი; სამოქალაქო დიპლომატიის საერთაშორისო მისია აფხაზეთის კონფლიქტების საკითხებზე; საქართველოსთან მეგობრობის, კულტურული და საქმიანი თანამშრომლობის საერთაშორისო ასოციაცია; რუსეთის ეროვნული გაერთიანებების კონგრესი (რომლის მიზანია რუსეთში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური უფლებებისა და ღირსების დაცვა); მოსკოვის ქართველი ახალგაზრდობის კავშირი; «მსჯავრდადებულთა დახმარების ცენტრი» რუსეთის ფედერაციაში; ქართული ეროვნული კულტურის ავტონომია რუსეთის ფედერაციაში. «საზოგადოება», აგრეთვე, მოსკოვში სამოქალაქო (სახალხო) ყოველწლიური საერთაშორისო ფორუმების ჩატარების აქტიური თანაორგანიზატორია.

თავის საქმიანობას «საზოგადოება» ახორციელებს რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში შექმნილი განყოფილებების მეშვეობით (მოსკოვი, სანქტ-პეტერბურგი, იაროსლავლი, ივანოვო, ვოლოგდა, ვოლგოგრადი, ტიუმენი, ნოვოროსიისკი, სოჭი, ობნინსკი, პოდოლსკი, ლუბერცი, ვლადიმირი, ჩელიაბინსკი, სარატოვი და სხვ.). ამჟამად ახალი განყოფილებები იქმნება რუსეთის ფედერაციის სხვა ქალაქებშიც.

1994 წელს პირველმა საანგარიშო-საარჩევნო კრებამ აირჩია «საზოგადოების» პრეზიდენტი – აწ განსვენებული ივერი ფრანგიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა

---

[1] Асманов А.Г. Формирование установок толерантного сознания как теоретическая и практическая задача. Альманах "Этносфера-Этнодиалоги", №2(20), 2003, с. 4-9

[2] Общество грузин в России. "Вестник Международного Комитета гражданской дипломатии", №2, 2001

აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მართვის პრობლემების ინსტიტუტის დირექტორი; პირველი ვიცე-პრეზიდენტი _ სევერიან ცაგარეიშვილი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოსთან მეგობრობის, კულტურული და საქმიანი თანამშრომლობის საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი; ვიცე-პრეზიდენტები _ ელიზბარ ანანიაშვილი, ილია ვარდანიძე; პასუხისმგებელი მდივანი _ ნონა მატუა და პრეზიდიუმი 28 კაცის შემადგენლობით.

ამავე სხდომაზე პრეზიდიუმმა დაამტკიცა «საზოგადოების» სტრუქტურა, რომელიც შედგება საორგანიზაციო-საკოორდინაციო, კულტურისა და ხელოვნების, სამედიცინო-გამაჯანსაღებელი, სოციალური დაცვის, მეცნიერებისა და განათლების, ახალგაზრდობის და სპორტის, სარედაქციო-საგამომცემლო, ეკონომიკური სექტორებისა და პრესცენტრისაგან.

«საზოგადოების» ინიციატივითა და დახმარებით საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ წარმომადგენლობასთან შეიქმნა სამეცნიერო-საექსპერტო საბჭო, რომელშიც გაერთიანდნენ ცნობილი რუსი და ქართველი მეცნიერები და სპეციალისტები. საბჭო მიზნად ისახავდა საქართველოს მრეწველობის კრიზისიდან გამოყვანის ღონისძიებების შემუშავებას და პრაქტიკული დახმარების აღმოჩენას.

«საზოგადოების» მიზნებს შეადგენს[1]:

რუსეთში მცხოვრები ქართველების ეროვნული ტრადიციებისა და ენის შენარჩუნება; ქართველი ხალხის ისტორიისა და კულტურის შესწავლა; მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების დარგში ქართველი ხალხისა და სხვა ქვეყნების ხალხთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა; ქართული კულტურისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნა; საგამომცემლო საქმიანობა და ქველმოქმედება.

«საზოგადოების» დამფუძნებელთა პოზიცია და მათი სულისკვეთება კარგად ჩანს ერთ-ერთი წლიური ანგარიშიდან[2], რომელშიც ნათქვამია, რომ რუსეთში მცხოვრები ქართველები, რომლებიც, ერთი მხრივ, იყვნენ თავიანთი ისტორიული სამშობლოს შვილები, მეორე მხრივ კი _ რუსეთის მოქალაქეები, ისე, როგორც არავინ, დაინტე-რესებული იყვნენ ამ ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობების დამყარებასა და განმტკიცებაში. მათ თავად ცხოვრება კარნახობდა პოლიტიკური ცენტრიზმის

[1] Устав Общества грузин в России, 25 сентября, 1992 г., Москва
[2] Отчетный доклад Президиума "Общества грузин в России" за 1995–1996 гг.

პოზიციებზე დგომას, რაც, თავის მხრივ, არბილებდა და აახლოებდა უკიდურეს წერტილებში წარმოშობილ წინააღმდეგობებს. რუსეთში მცხოვრები ქართველები თითქოსდა ბედისწერით იყვნენ მოწოდებულნი, შეეთანხმებინათ საქართველოსა და რუსეთის ინტერესები, შეესრულებინათ შემაკავშირებელი ხიდის ფუნქცია ყოფა-ცხოვრებასა, ეკონომიკასა და კულტურაში[1].

თავისი საქმიანობის საწყის ეტაპზევე «საზოგადოების» წინაშე წამოიჭრა ასეთი გაერთიანებისათვის არადამახასიათებელი პრობლემები: აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის დახმარების აღმოჩენა, რომელთაც სჭირდებოდათ ტანსაცმელი, საკვები, მკურნალობა, საცხოვრებელი ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ «საზოგადოება» არ ისახავდა პოლიტიკურ მიზნებს, აფხაზეთში განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა და მასმედიის საშუალებებში ამ მოვლენების არაობიექტურად, ხშირად კი დამახინჯებულად გაშუქებამ, აიძულა იგი გადაესინჯა თავისი საქმიანობის პრინციპული მიდგომები.

«საზოგადოება» იყო აფხაზეთის კონფლიქტისადმი მიძღვნილი «მრგვალი მაგიდის» სხდომების მოთავე ან აქტიური მონაწილე, რუსეთის ფედერაციის პარლამენტისა და მთავრობის, თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების შენობებთან საპროტესტო პიკეტების ორგანიზატორი; იგი აწყობდა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის შენობის პიკეტირებას ვ. არძინბას სეპარატისტული რეჟიმის აშკარად მხარდამჭერი ზოგიერთი დეპუტატის წინააღმდეგ; მონაწილეობდა გამოსვლებში, რომლებიც იმართებოდა რუსეთის დემოკრატიის დასაცავად. ამ მიმართულებით „საზოგადოების“ საქმიანობის ეფექტიანობა აღნიშნა თავად რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, რომლის ბრძანებულებითაც „საზოგადოების“ პრეზიდიუმის წევრს გ. კოკაიას გადაეცა სახელმწიფო ჯილდო _ «თავისუფალი რუსეთის დამცველის» მედალი.

მტკიცე ცენტრისტული პოზიციის მიუხედავად, „საზოგადოების“ წევრები, ბუნებრივია, ვერ დარჩებოდნენ გულგრილი მაყურებლის როლში, მით უფრო მაშინ, როდესაც გაზეთ «იზვესტიას» ფურცლებზე ბუნდოვანი და მიკერძოებული ინფორმაციების ფონზე გამოქვეყნდა აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა

[1] Отчетный доклад Президиума " Общества грузин в России" за 1995–1996 гг.

სია, რომელშიც იყო 81 აფხაზის და 886 ქართველის გვარი, ხოლო მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპულთა არასრულ სიაში _ 1104 ქართველის გვარი.

«საზოგადოების» წევრები ხმამაღლა აღიარებდნენ აფხაზეთის ომის მსხვერპლის აბსოლუტურ უაზრობას და თვლიდნენ, რომ არა მარტო ქართველებსა და აფხაზებს, არამედ ბრძოლაში ჩათრეულ რუს და სხვა ხალხებს პოლიტიკური პროვოკატორები იყენებდნენ თავისი მზაკვრული მიზნებისათვის მხოლოდ და მხოლოდ როგორც უსუსურ მარიონეტებს.

ანტიქართული განწყობის ფონზე, რომელსაც ენერგიულად და მიზანდასახულად ამკვიდრებდა ოფიციალური რუსული მასმედია რუსეთში, საბოლოო ჯამში კი _ მსოფლიოს ფართო საზოგადოებაში, ობიექტური ინფორმაციის გავრცელების მცდელობა გმირობის ტოლფასი იყო. მიუხედავად ამისა, „საზოგადოებამ“ ხმა აიმაღლა საინფორმაციო საშუალებებში რუსეთის სახელმწიფო და სამხედრო ელიტის ზოგიერთი მოღვაწის მიერ აფხაზეთში განვითარებული მოვლენების ცილისმწამებლური და მიკერძოებული შეფასებების წინააღმდეგ.

ქართველთა საზოგადოება რუსეთში მის ხელთ არსებული ყველა საშუალების (მასმედია, პირადი კონტაქტები, შეხვედრები) გამოყენებით რუსეთისა და მსოფლიოს საღად მოაზროვნე საზოგადოებას მოუწოდებდა ობიექტურად შეეფასებინა აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობა, გაეერთიანებინა ძალისხმევა და ყველა ზომა მიეღო სისხლისღვრის შესაწყვეტად, გაეყვანა ე.წ. «მოხალისეები» აფხაზეთიდან და ლტოლვი-ლებისთვის მიეცა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების საშუალება.

«საზოგადოება» აუწყებდა მთელ მსოფლიოს, რომ ქართველთა და აფხაზთა სახლებში ანთებული ხანძარი შეიძლებოდა მოსდებოდა მთელ კავკასიას და შთაენთქა მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული ღირებულებები, რაც მოხდა კიდეც ჩეჩნეთში.

ამავე დროს, «საზოგადოების» წევრები, ბუნებრივია, ფიქრობდნენ იმაზე, თუ ქართველების რა შეცდომებმა, ეროვნული მენტალიტეტის რომელმა თვისებებმა განაპირობა მოვლენების ასეთი განვითარება. «საზოგადოების» პოზიციას ნათლად ასახავს 1995-96 წწ. ანგარიშში მოტანილი შემდეგი ანალიზი: «ჩამოვთვლით მხოლოდ განსაკუთრებით თვალშისაცემ მიზეზებს: პირველ რიგში ესაა ჩვენი გათიშულობა, რამაც განხეთქილებამდე მიგვიყვანა; შემდეგ, სურვილის უქონლობა და უუნარობა დავრაზმულიყავით, განგვესაზღვრა პრიორიტეტები და მათკენ მიგვემართა საერთო

ძალისხმევა... მაგრამ ჩვენ არ გვაქვს იმედის დაკარგვის უფლება! ჩვენი ხალხის 25-საუკუნოვანი ისტორია გვასწავლის გამძლეობას. საბედნიეროდ, ეროვნულ ორგანიზმში მოიძებნება ძალები, რომელთაც ხელეწიფებათ წინააღმდეგობა გაუწიონ დაკნინებასა და დეგრადაციას. სწორედ ასეთ ძალად აქ, საქართველოს ფარგლებს გარეთ, გვესახება «ქართველთა საზოგადოების» ორგანიზებულობა და მოღვაწეობა»[1].

«საზოგადოების» მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯებიდან გამოვყოფთ ზოგიერთს: მოსკოვის ჟურნალისტთა სახლში ჩატარებული პრეს-კონფერენციები თემებზე: «აფხაზეთის გადაუჭრელი კონფლიქტი _ კავკასიის ახალი ომის კერა» (27 სექტემბერი, 1996), „ე.წ. «აფხაზეთის პარლამენტის» არაკანონიერი არჩევნები და რუსეთის პოზიცია“ (21 ნოემბერი, 1996), «აფხაზეთი _ თანამეგობრობის მადესტა-ბილიზებელი ფაქტორი» (26 მარტი, 1997) და სხვ.

«საზოგადოება» მიმართავდა რუსეთისა და მსოფლიო საზოგადოებრიობას ოფიციალური საპროტესტო განცხადებებით საქართველოს გამთლიანებისა და მისი დემოკრატიული გზით განვითარების წინააღმდეგ მიმართული აქციების გამო. სახელდობრ, რუსეთის დუმაში ვ. არძინბას მიერ ჩატარებულ პრეს-კონფერენციასთან დაკავშირებით (8 თებერვალი, 1996 წ.), მდინარე ფსოუზე სასაზღვრო რეჟიმის შესუს-ტების გამო (27 სექტემბერი, 1996 წ.), აფხაზეთისა და გალის ტერიტორიიდან ქართული მოსახლეობის დეპორტაციის მე-3 წლისთავთან დაკავშირებით და სხვ.

1996 და 1997 წლების 9 აპრილს «საზოგადოებამ» რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დეპუტატებთან და დემოკრატიულ პარტია»ვიბორ როსიისთან» ერთად მოსკოვში, «მზიურის» შენობასთან მოაწყო სამგლოვიარო მიტინგები თბილისის 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით. 1956 წლის 9 მარტისა და 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიებთან დაკავშირებით «საზოგადოებამ» რუსეთის რადიომაუწყებლობით _ «სვობოდა», «ეხო მოსკვი», «რადიო როსია» _ მოაწყო გადაცემები, რომლებმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

ქართველთა საზოგადოება რუსეთში მუდმივად ადევნებს თვალს იმას, თუ როგორ აშუქებს რუსეთის მასმედია საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და შეძლებისდაგვარად ცდილობს მიიღოს ადეკვატური ზომები. მაგალითისათვის

[1] Отчетный доклад Президиума "Общества грузин в России" за 1995–1996 гг.

მოვიყვანთ «საზოგადოების» მიერ ამ მიმართულებით გატარებული ზოგიერთი ღონისძიების წარმატებულ შედეგს:

- რუსეთის ტელევიზიის ყველა პროგრამა აჩვენებდა საქართველოს რუკას აფხაზეთის გარეშე. «საზოგადოების» კატეგორიული პროტესტისა და ორმაგ სტანდარტებზე უარის თქმის მოთხოვნის შედეგად საკითხი დადებითად გადაიჭრა;
- აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის ჯარის უფროსი გენერალი იაკუშევი არაერთხელ გამოვიდა ტელევიზიით საქართველოს წინააღმდეგ. «საზოგადოების» კატეგორიული პროტესტი დააკმაყოფილეს, იაკუშევს აუკრძალეს კორესპონ-დენტებისთვის ინტერვიუს მიცემა, ოდნავ მოგვიანებით კი დააკმაყოფილეს «საზოგადოების» მეორე მოთხოვნაც _ იაკუშევს დაატოვებინეს თანამდებობა;
- ასევე დადებითი შედეგი გამოიღო «საზოგადოების» პროტესტმა რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარების უფროსის ნიკოლაევის სახელზე, სადაც აღნიშნული იყო, რომ არ სრულდებოდა დსთ-ის დადგენილება _ საზღვრებზე გამშვები რეჟიმისა და სანაოსნო გემების შემოწმების გაძლიერების შესახებ;
- რუსეთის ეროვნული მუშათა პარტიის მიერ გავრცელებული 250000 ეგზემპლარი სააგიტაციო ფურცელი «ინტერნაციონალიზმი? დიახ, ეს იდიოტის სავანეა», მოუწოდებდა რუსეთის მოქალაქეებს «შავების» წინააააღმდეგ «მესამე მსოფლიო ომის» არა გაჩაღებისაკენ, არამედ გაღრმავებისაკენ. «საზოგადოებამ» წერილობით მიმართა რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურორს მიეღო კანონით გათვალისწინებული ზომები შესაძლო სამართალსაწინააღმდეგო აქციების თავიდან ასაცილებლად, დაესაჯა პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ აღნიშნული დოკუმენტის შედგენასა და გავრცელებაში. პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება. შემდგომში მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია;
- 1995_1996 წლებში განსაკუთრებით გახშირდა აფხაზეთში «მოღვაწე» რუსი სამხედროების ანტიქართული ხასიათის გადაცემები. «საზოგადოებამ» თავდაცვის მინისტრის _ ი. როდიონოვის სახელზე გაგზავნა პროტესტი ანტიქართული გამოხდომების აღკვეთის მოთხოვნით, რომელიც დაკმაყოფილებულ იქნა;
- «საზოგადოება» სისტემატურად მიმართავდა თხოვნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, საერთაშორისო წითელ ჯვარს, რუსეთის ფედერაციის მთავრობას

აფხაზი სეპარატისტების ხელში ტყვედჩავარდნილი თანამემამულეების სიცოცხლის გადასარჩენად და მათ გასათავისუფლებლად. სწორედ «საზოგადოების» ძალის-ხმევით და საზოგადოებრიობის მხარდაჭერით ტყვეობიდან გაათავისუფლეს ჟურნალისტი ი. გავა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის პროფესორი ზ. პაპასკირი;

- ტელეპროგრამების ყველა ხელმძღვანელს დაეგზავნა წერილი თხოვნით _ შეეწყვიტათ ტენდენციური ანტიქართული გადაცემები, რამაც შედეგი გამოიღო _ გადაცემები შერბილდა.

«საზოგადოების» საქმიანობის მნიშვნელოვან და ეფექტურ მიმართულებას წარმოადგენს ქველმოქმედება. იგი მატერიალურად ეხმარებოდა და დღესაც ეხმარება «საზოგადოების» გაჭირვებულ წევრებს, ხელმოკლე პენსიონერებს, მრავალშვილიან ოჯახებს _ შეძლებისდაგვარად უძებნის სამუშაო ადგილებს, ამარაგებს ტანსაცმლით, ყურადღებას არ აკლებს ავადმყოფებს, რომლებიც სტაციონარულ მკურნალობას საჭიროებენ.

«საზოგადოებასთან» შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უშუალოდ დაევალა ლტოლვილთა მეურვეობა. კომისიის შემადგენლობაში შედიან: გ. კოკაია (თავმჯდომარე), ა. აფრიდონიძე და ნ. მატუა. კომისია სისტემატურად ეხმარება ლტოლვილებს მატერიალურად; უზრუნველყოფს მათთვის უფასო სამედიცინო კონსულტაციებისა და მკურნალობის ჩატარებას, ბავშვების გამაჯანსაღებელ სანატორიუმებში გაგზავნას, ჰუმანიტარული დახმარების განაწილება-დარიგებას, ტანსაცმლის, წამლების, საკვები პროდუქტების შეგროვებასა და დარიგებას (ამ აქციაში მონაწილეობას იღებენ არა მხოლოდ «საზოგადოების» წევრები, არამედ საქართველოსადმი კეთილად განწყობილი რუსი მეგობრებიც), რკინიგზითა და თვითმფრინავით ლტოლვილების უფასო გამგზავრებას სოხუმში, ბათუმში, თბილისში («საზოგადოების» ინიციატივით ორგანიზებული იყო სპეციალური უფასო რეისები თბილისში).

საზოგადოებასთან შექმნილია:

- **«ექიმთა ასოციაცია»**, რომლის მიზანია თანამემამულეებისათვის დახმარების აღმოჩენა (ხელმძღვანელი _ ზ. ფირცხალაიშვილი). მასში გაერთიანებულია მედიცინის მუშაკები _ ძირძველი მოსკოველი და მოსკოვში ახლად ჩასახლებული

ქართველები: რუსეთის სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსები _ ლ. ბოკერია და ა. ხუბუტია, პროფესორები _ ვ. გიგაური, ჯ. ჯიბლაძე და ნ. ტოგონიძე;

- **საქართველოს მოქალაქეების** (დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა და სარწმუნოებისა) **სამართლებრივი დახმარებისა და დაცვის ცენტრი**, რომლის მიზანია სამართალშეფარდებითი ორგანოების მიერ იმ კანონების, წესებისა და ა.შ. შესრულების მონიტორინგი, რომლებიც აწესრიგებენ ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის დევნისა და დანაშაულის მოხდის პროცესის ნორმებს და რეგლამენტს (ცენტრის ხელმძღვანელი _ თამაზ მექვაბიშვილი, «საზოგადოების» ვიცე-პრეზიდენტი). ცენტრის წარმატებული საქმიანობა არაერთხელ აღინიშნა როგორც რუსეთის, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ორგანიზაციების მიერ;
- **ქართული ენის შემსწავლელი კურსები**, სადაც, ქართული ენის შესწავლასთან ერთად, კითხულობენ ლექციებს საქართველოსა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის საკითხებზე.

«საზოგადოება» ძალისხმევას არ იშურებს საქართველოსა და რუსეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების გაღრმავებისა და განმტკიცებისათვის. იგი ცდილობს რუსეთის საზოგადოებას მიაწოდოს მრავალმხრივი ინფორმაცია ქართველი ხალხის ისტორიის, კულტურისა და წეს-ჩვეულებების შესახებ. სწორედ ამ მიზნებს ემსახურება «საზოგადოების» მიერ გამართული შემოქმედებითი საღამოები, შეხვედ-რები, კონცერტები, გამოფენები, სპორტული შეჯიბრებები და ა.შ.

«საზოგადოება» დიდ ყურადღებას უთმობს საგამომცემლო და საგანმანათლებლო საქმიანობას. მან დააფუძნა გაზეთები _ «საქართველო. მოვლენები. ადამიანები» (რედაქტორი ი. გავა) და "Мзиури-Солнечный" (რედაქტორი ქ. აბულაძე); იგი ერთ-ერთი ორგანიზატორია გაზეთ «დემოკრატიული აფხაზეთის» გამოცემისა. მისი და მოსკოვის ქართველთა სათვისტომოს ერთობლივი ძალისხმევით გამოიცა ქართველი მწერლის ა. ებანოიძის წიგნი «მომიყევი საქართველოზე», რომელმაც რუსეთის მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია. «საზოგადოების» ეგიდით იბეჭდება წიგნები, ბროშურები, ბუკლეტები. «საზოგადოება» ხელს უწყობს მოსკოვში ქართული სკოლების მუშაობას და ქმედით დახმარებას უწევს მათ.

2001 წლის მაისში «საზოგადოებისა» და ა. რუბლიოვის სახელობის ძველი რუსული ხელოვნების მუზეუმის ძალისხმევით საზეიმო ვითარებაში გაიხსნა

მუზეუმის დამაარსებლის და პირველი დირექტორის დავით არსენიშვილის მემორიალური დაფა.

«საზოგადოება» იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი მოსკოვში ჩატარებული ცნობილი კინორეჟისორის რ. ჩხეიძის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოსი. იგი მონაწილეობდა კინორეჟისორების თ. აბულაძისა და ო. იოსელიანის საიუბილეო საღამოებში, გამოჩენილი თანამემამულეების, საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-ლეიტენანტ გ. ალფაიძის დაბადებიდან 80 და გენერალ პ. შიოშვილის დაბადებიდან 90 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოებში; ყოველწლიურად აწყობს შეხვედრებს მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ქართველ ვეტერანებთან.

«საზოგადოება» უყურადღებოდ არ ტოვებს საქართველოს სპორტულ ორგანიზაციებს. მისი ძალისხმევით შეიქმნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ფონდი მოსკოვში (პრეზიდენტი ა. დარასელია). უნგრეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ქართველი კალათბურთელები ნაწილობრივ «საზოგადოებამ» დააფინანსა; მოაწყო შეხვედრა თბილისის «დინამოს» კოლექტივთან.

«საზოგადოება» მუდმივად ზრუნავს მისი წევრებისა და მათი ოჯახების კულტურულ დასვენებაზე: სისტემატურად უზრუნველყოფს მათთვის კონცერტებზე, საღამოებზე, სპექტაკლებზე დასწრებას. ყოველწლიურად იანვარში ატარებს მოსკოვში მცხოვრებ ქართველთა ტრადიციულ ოჯახურ შეხვედრებს და საქართველოს დამოუკიდებლობის დღის _ 26 მაისისადმი მიძღვნილ საზეიმო კონცერტებს პ. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში; ლტოლვილთა ბავშვებისათვის აწყობს საახალწლო ნაძვის ხესა და საჩუქრებს გადასცემს მათ; ატარებს რუსეთ-საქართველოს მეგობრობის საღამოებს, რუსი და ქართველი მწერლებისა და პოეტების შემოქმედებით საღამოებს და სხვ.

3.5. საქართველოსთან მეგობრული, კულტურული და საქმიანი თანამშრომლობის საერთაშორისო ასოციაცია

1994 წლის 4 ოქტომბერს მოსკოვში შეიქმნა «საქართველოსთან მეგობრული, კულტურული და საქმიანი თანამშრომლობის ასოციაცია» (1996 წლის 17 ივლისს იგი გარდაიქმნა საერთაშორისო ასოციაციად). «ასოციაციის» დამფუძნებლები იყვნენ: სამოქალაქო დიპლომატიის საერთაშორისო კომიტეტი, ჰუმანიტარული ინიციატივების

საერთაშორისო ფონდი, ქართველთა საზოგადოება რუსეთში და ფიზიკური პირები _ ი. გოლემბიოვსკი, ნ. დიკო, ს. ცაგარეიშვილი, ო. ჩერქეზია. «ასოციაციის» დამფუძნებელმა კრებამ[1] მიიღო წესდება, აირჩია ასოციაციის პრეზიდენტი _ იგორ გოლემბიოვსკი, გაზეთ «იზვესტიას» ყოფილი მთავარი რედაქტორი; ვიცე-პრეზიდენტები: ნ. დიკო _ სამოქალაქო დიპლომატიის საერთაშორისო კომიტეტის კოორდინატორი, ჰუმანიტარული ინიციატივების საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი; გ. გიგინეიშვილი _ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ს. ცაგარეიშვილი _ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ზ. წერეთელი _ რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი; ვ. შუმაკოვი _ აკადემიკოსი, რუსეთის ტრანსპლანტოლოგიისა და ხელოვნური ორგანოების ინსტიტუტის დირექტორი; ბ. ფირსოვი _ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. კრებამ აირჩია აგრეთვე სარევიზიო კომისია.

«ასოციაციის» შექმნისა და მისი საქმიანობის ძირითადი მიზანია რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს ხალხთა შორის მშვიდობის, თანხმობის და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარება მათი ეროვნული ინტერესებისა და მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ[1].

თავისი მიზნის განსახორციელებლად «ასოციაცია» ისახავს შემდეგ ამოცანებს: ამ ორი ქვეყნის ხალხებს შორის კულტურული, სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, ეკოლოგიური და სპორტული თანამშრომლობისათვის ყოველგვარი ხელის შეწყობა; ამ ხალხებისათ-ვის ერთმანეთის ისტორიის, კულტურის, ტრადიციების, ყოველდღიური ცხოვრების გაცნობა; სტიქიის შედეგად დაზარალებულებისათვის, რეპრესიების მსხვერპლთათვის, ლტოლვილებისა და იძულებით გადა-სახლებულებისთვის დახმარების გაწევა და ა.შ.

«ასოციაცია» წესდების შესაბამისად რუსეთში ქართველთა საზოგადოების საინიციატივო ჯგუფთან ერთად ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე ქმნის ფილიალებსა და განყოფილებებს (მაგალითად, თბილისში, სანქტ-პეტერბურგში, მოსკოვში, ელეცკში და სხვ.).

«ასოციაციის» წევრი შეიძლება გახდეს როგორც რუსეთისა და საქართველოს, ასევე სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, რუსეთის ფედერაციასა ან საქართველოში მუდმივად

---

[1] Протокол учредительного собрания Международной ассоциации дружбы, культурного и делового сотрудничества с Грузией, 17 июля 1996 г., г.Москва

[1] Устав Международной общественной организации " Международная ассоциация дружбы, культурного и делового сотрудничества с Грузией". 17 июля 1996 г., г.Москва

მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი და, აგრეთვე, რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის თანამშრომლობის განვითარებით დაინტერესებული საზოგადოებრივი გაერთიანება.

«ასოციაციის» მმართველი ორგანოებია:

- უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანო _ კონფერენცია, რომელსაც იწვევს გამგეობა 5 წელიწადში ერთხელ (შეიძლება რიგგარეშე მოწვევაც წესდების გათვალისწინებით). კონფერენცია განსაზღვრავს «ასოციაციის» ძირითად მიმართულებებს, შეაქვს წესდებაში ცვლილებები, ირჩევს გამგეობასა და სარევიზიო კომისიას (5 წლის ვადით); იხილავს და ამტკიცებს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს;
- გამგეობა _ იწვევს კონფერენციებს, საზღვრავს კონფერენციის გადაწყვეტილებების რეალიზაციის გზებს, ამტკიცებს «ასოციაციის» წლიურ ბიუჯეტს, პროგრამებს, პროექტებს და ა.შ.;
- გამგეობის სამდივნო _ ოპერატიულად წყვეტს «ასოციაციის» საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს ახალ წევრებს, ამტკიცებს ახალ ბუღალტერს, ისმენს და ამტკიცებს მის ფინანსურ ანგარიშს და ა.შ.;
- სარევიზიო კომისია _ აკონტროლებს კონფერენციის, გამგეობისა და სამდივნოს გადაწყვეტილებების შესრულებას, ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობას, ამოწმებს ბიუჯეტის შესრულების სისწორეს და ა.შ.

«ასოციაციის» ფულადი სახსრების წყაროებია: გაწევრიანებიდან, შემოწირულობებიდან, ჩატარებული ღონისძიებებიდან (გამოფენა, ლატარია, გასტროლები, კონცერტები, სპორტული შეჯიბრებები და სხვ.), აგრეთვე, სამეწარმეო და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსული თანხები.

«ასოციაცია» მოღვაწეობს რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს კონსტიტუციებისა და სხვა კანონების, აგრეთვე, თავისი წესდების შესაბამისად.

«ასოციაცია» მიზნად ისახავს სსრ კავშირის დაშლითა და ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული რუსეთისა და საქართველოს ხალხებს შორის შერყეული მეგობრული ურთიერთობის აღდგენას და მათი კულტურების ურთიერთგამდიდრებას.

«ასოციაცია» იყო სამოქალაქო (სახალხო) დიპლომატიის VI-XII ყოველწლიური საერთაშორისო ფორუმების ჩატარების (ქ.მოსკოვი) თანაორგანიზატორი და ამ

შეხვედრებზე საქართველოსთან საზოგადოებრივი თანამშრომლობის საკითხების, განსკუთრებით _ აფხაზეთის კონფლიქტის განხილვის ინიციატორი.

«ასოციაციის» წარმომადგენლები შედიან აფხაზეთის კონფლიქტ-თან დაკავშირებით შექმნილი საერთაშორისო მუდმივმოქმედი მისიის შემადგენლობაში[1]. «ასოციაცია» აქტიურად მონაწილეობდა შემდეგ ღონისძიებებში: თბილისის საერთაშორისო ფორუმი «სოლიდარობისკენ, შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, კულტურების დიალოგისკენ» (1995); საერთაშორისო შეხვედრა «საზოგადოებრივი ძალების თანამოქმედება აფხაზეთში მშვიდობის დასამყარებლად» (თბილისი-ზუგდიდი, 1995, 2002); არასამთავრობო ორგანიზაციების «მრგვალი მაგიდა» თემაზე _ «მშვიდობიანი კავკასიისათვის», აფხაზეთისა და ჩეჩნეთის კრიზისების კონტექსტში (თბილისი, 1996); საერთაშორისო «მრგვალი მაგიდა» თემებზე: «საქართველო კულტურების დიალოგში» (ქუთაისი, 1997) და «საქართველო-რუსეთი: პასუხისმგებლობა დროის გამოწვევაზე» (თბილისი, 1997); კავკასიის ვითარებით შეშფოთებული არასამთავრობო ორგანიზაციების, სამეცნიერო და კულტურული ცენტრების ხელმძღვანელების შეხვედრა (მოსკოვი, 1998); «მრგვალი მაგიდა» თემაზე _ «რუსეთი _ საქართველო: ჩვენი ხალხების ტრადიციული მეგობრული კავშირების განმტკიცების შესახებ» (მოსკოვი, 2000).

«ასოციაცია» აქტიურად მონაწილეობდა საქართველოსა და რუსე-თის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად გა-მართული «მრგვალი მაგიდის» მუშაობაში თემებზე _ «საქართველოს რუსეთთან თანამშრომლობის პოტენციალი. არასამთავრობო ორგანიზაციების როლი მის რეალიზაციაში» (ქუთაისი, 2002); «არასამთავრობო ორგანიზაციების ამოცანები და შესაძლებლობები საქართველოსა და რუსეთს შორის ნდობის, თანამშრომლობისა და მეგობრობის აღსადგენად» (თბილისი, 2002).

«ასოციაცია» ყურადღებას იჩენს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მიმართ, კერძოდ, გამგეობის წევრის, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის კ.ლოსევის ინიციატივით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ეგზავნება

[1] За мир на Кавказе (редакционная статья). Журн. «Вестник Международного Комитета гражданской дипломатии». № 3-4, 2002, с.20-22

«ასოციაციის» წევრთა მიერ გამოცემული წიგნები. მოსკოვსა და რუსეთის ფედერაციის სხვა ქალაქებში ეწყობა ლიტერატურული საღამოები, გამოფენები, პრეზენტაციები და ა.შ.

«ასოციაცია» რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოსთან, ქართველთა საზოგადოებასთან რუსეთში და საერთაშორისო ასოციაციის _ «საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის» მოსკოვის განყოფილებასთან ერთად ყოველ-წლიურად ატარებს ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილ საღამოებს: ტიციან ტაბიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო (15 აპრილი, 1995), ი. ჭავჭავაძის დაბადებიდან 160 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო (13 დეკემბერი, 1997), აგრეთვე, «ცისფერყანწელთა» პოეზია რუსი პოეტების თარგმანებში» (25 თებერვალი, 1996), დიდი სამამულო ომის მონაწილეების _ რუსი და ქართველი ვეტერანების შეხვედრა (1998) და სხვ.

«ასოციაციამ», აგრეთვე, მოაწყო ქართველ მხატვართა გამოფენა მოსკოვის მეგობრობის სახლში (2001), საქართველოს კულტურის ფესტივალი რუსეთის ფედერაციაში, გალა კონცერტი დიდ თეატრში (2003), საქართველოს იუნესკოში შესვლისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ხელოვნების გამოჩენილი ქართველი და რუსი ოსტატები (2003).

3.6. დიასპორების ხელშემწყობი ფონდი «კრედო»

1995 წელს ქართული დიასპორის წარმომადგენელთა საინიციატივო ჯგუფის მიერ ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, მეცენატისა და საზოგადო მოღვაწის, სააქციო საზოგადოება «ასტრას» ხელმძღვანელის ბესარიონ ხვინთელიანის თაოსნობით მოსკოვში შეიქმნა «სამართლებრივი და სოციალური დახმარების ცენტრი» საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, რომელნიც სხვადასხვა მიზეზების გამო მუდმივად თუ დროებით ცხოვრობენ რუსეთში.

თითქმის ექვსი წლის განმავლობაში «ცენტრი» ქართულ დიასპორას უწევდა უფასო სამართლებრივ და სოციალურ დახმარებას, იცავდა ადამიანის უფლებებს. «ცხელი

ხაზის» საშუალებით საქართველოს მოქალაქეებს, პირველ რიგში ლტოლვილებს, ნებისმიერ დროს შეეძლოთ მიემართათ ცენტრისათვის ოპერატიული დახმარების მისაღებად.

«ცენტრის» საქმიანობამ დადებითი შეფასება დაიმსახურა და დიდი წარმატება მოიპოვა ისეთი საერთაშორისო სტრუქტურების კონკურსებში, როგორიცაა: დანიის ცენტრი, ინსტიტუტი «ღია საზოგადოება», «სასჯელის აღსრულების სისტემების საერთაშორისო რეფორმა» და სხვ.

2000 წელს, «ცენტრის» გამოცდილებაზე დაყრდნობით და მისი მოღვაწეობის მასშტაბების გაფართოების მიზნით შეიქმნა **დიასპორების ხელშემწყობი ფონდი «კრედო»**[1], რომელმაც, როგორც საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, რეგისტრაცია გაიარა მოსკოვში 2000 წლის 11 სექტემბერს.

«ფონდის» მიზანია ჰუმანიტარული, სოციალური და იურიდიული დახმარების აღმოჩენა, ადამიანის უფლებების დაცვა, დიასპორის წარმომადგენლების, მათ შორის იძულებითი მიგრანტების _ ლტოლვილების კანონიერი ინტერესების დაცვა.

თავისი მიზნებიდან გამომდინარე, «ფონდი» რუსეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს, პირველ რიგში ლტოლვილებს, ხელს უწყობს სოციალური საკითხების გადაწყვეტაში (შრომითი მოწყობა, პროფესიული გადამზადება, განათლება, პენსიების დანიშვნა, სამედიცინო მომსახურება და ა.შ.), მათი კანონიერი უფლებებისა და ნაციონალური ღირსების, კოლექტიური ინტერესების დაცვაში. იგი აფართოებს სოციალურ და კულტურულ კავშირებს ლტოლვილთა და მიგრანტთა შორის; ანვითარებს სოციალურ და კულტურულ კავშირებს სხვადასხვა დიასპორების წევრებს შორის როგორც რუსეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთ; ორგანიზაციას უწევს ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებას სხვადასხვა დიასპორებთან სხვა ქვეყნებში; ახორციელებს ნაციონალური განვითარების მიზნობრივ პროგრამებს კულტურის, ხელოვნების, განათლების სფეროში; დახმარებას უწევს განსაკუთრებულად ნიჭიერ ბავშვებს და შემოქმედებით ახალგაზრდობას; ხელს უწყობს ხალხთა შორის მშვიდობის, მეგობრობის, თანხმობის განმტკიცებას, ცდილობს თავიდან დროულად აიცილოს ეთნიკური, სოციალური და რელიგიური კონფლიქტების გაღრმავება.

---

[1] დიასპორების ხელშემწყობი ფონდი «კრედო» (ანგარიში), 2004 წ.

«ფონდში» საშტატო განრიგით მუშაობს 12 კაცი და მოხალისეთა განსაზღვრული რაოდენობა. F»ფონდთან» ფუნქციონირებს ქვედანაყოფები: სამართლებრივი და სოციალური დახმარების ცენტრი (საზოგადოებრივი მისაღები, იურიდიული კონსულტაცია, მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებული სამსახური, საგამომცემლო სამსახური, ახალგაზრდულ ნაციონალურ ორგანიზაციებთან მუშაობის სამსახური; მუშაობს ტელეფონი «ცხელი ხაზი»); ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ცენტრი (კავშირი სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებთან როგორც რუსეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთ; კულტურის, სპორტის განვითარება, საგანმანათლებლო სამსახური, მუდმივმოქმედი «მრგვალი მაგიდა» და სხვ.). თბილისში ფუნქციონირებს ფონდ «კრედოს» წარმომადგენლობა მისი წესდებისა და საქართველოს საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

«ფონდის» მიერ ჩატარებულ მრავალრიცხოვან ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია: მასშტაბური კონფერენცია «საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში» (მოსკოვი, «შერატონ პალას ოტელი», 2002 წლის აპრილი), სადაც რუსეთისა და საქართველოს საღად მოაზროვნე ცნობილი პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები მოუხმობდნენ სახელმწიფოების ხელმძღვანელობას და საზოგადოებას მშვიდობიანი დიალოგისკენ, ურთიერთობათა დარეგულირებისკენ; კონფერენცია თემაზე _ «ქართული დიასპორის როლი რუსეთში და რუსული დიასპორის როლი საქართველოში რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში» (2004 წ. თბილისი); «მრგვალი მაგიდა» თემაზე _ «საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში» (2004 წ. თბილისი); «ქართული დიასპორის ფორუმი რუსეთში» (2004 წ. მოსკოვი); გაზეთ «დიასპორას» დაარსების და გამოშვების ორგანიზაცია (2004 წ. მოსკოვი); «საქართველოს წელი რუსეთში»; «რუსული ენის შემსწავლელი ცენტრის» შექმნა საქართველოში.

«ფონდის» ინიციატივით და ხელშეწყობითF შეიქმნა «ქართველ სტუდენტთა ასოციაცია», რომელსაც «ფონდმა» მოსკოვში უსასყიდლოდ გამოუყო ფართობი ოფისისათვის. გარდა ამისა, «ფონდი» სისტემატურად ეხმარება და აფინანსებს «ასოციაციის» მიერ ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებს.

«ფონდმა» დააფინანსა ოჩამჩირის რაიონის სოფ. ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოების ნაწილი; ფინანსური შეწირულობა გაიღო

შავნაბადას წმინდა გიორგის მონასტრის, აგრეთვე, მცხეთის რაიონში არსებული დედათა რუსული მონასტრისათვის.

სოფ. ლატალში (სვანეთი) «ფონდის» პრეზიდენტმა ბ. ხვინთელიანმა დააფინანსა და პირადად მიიღო მონაწილეობა იოანე ნათლისმცემლის ტაძრის აღდგენით სამუშაოებში. «ფონდი» მატერიალურად დაეხმარა მიწისძვრის შედეგად დაზარალებულ თბილისის 113-ე საშუალო სკოლას აღდგენითი სამუშაოების ჩატარებაში.

«ფონდი» აქტიურადაა დაკავებული საგანმანათლებლო მოღვაწეო-ბით: აწყობს სემინარებს სხვადასხვა თემაზე, გამოსცემს წიგნებს, ბროშურებს, სხვადასხვა სახის ბიულეტენებს, რომლებიც დახმარებას უწევენ შრომით ემიგრანტებს, ლტოლვილებს, დიასპორის წარმომადგენლებს რუსეთის სამართლებრივ სივრცეში სწორად ორიენტირებაში. ლტოლვილთა დასახმარებლად მოსკოვში «ფონდმა» გამოსცა ნორმა-ტიული დოკუმენტებისა და სხვადასხვა სახელმძღვანელო აქტების კრებული «კომპასი-2», 2001 წელს კი «კომპასის» შევსებული და გადამუშავებული ვარიანტი (ავტორი ბ.ხვინთელიანი). გამოიცა წიგნი «Чужие не мы...» («უცხოელები ჩვენ კი არა ვართ...»).

ბ. ხვინთელიანის ინიციატივით დაარსდა დამოუკიდებელი ჟურნალის «Коммерческий вестник»-ის კორპუნქტი თბილისში, რომლის საქმიანობასაც თავად ხელმძღვანელობს.

«ფონდის» დახმარებით საელჩოს შენობაში გაიმართა მხატვარ ნანა გერასიმოვას პერსონალური გამოფენა, რომელმაც მოსკოვის საზოგადოებრიობის დიდი მოწონება დაიმსახურა.

«ფონდი» განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს არასრულწლოვანე-ბისა და მოსწავლე ახალგაზრდობის მიმართ. ტარდება შეხვედრები მოსკოვის ქართული ეროვნული სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან; ჩატარდა კონკურსი _ «ჩვენ ვეძებთ ტალანტებს». კონკურსის წესით გამოვლენილი ნიჭიერი ბავშვებისგან დაკომპლექტდა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი «დიასპორა».

«ფონდის» დახმარებით მოსკოვის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა მოაწყვეს სხვადასხვა ეროვნების სტუდენტებთან დამეგობრებისადმი მიძღვნილი საღამო.

ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მიზნით «ფონდმა» შეისყიდა და ლტოლვილებს დაურიგა 25 ტონა სასურსათო პროდუქტები. «ფონდმა», როგორც სპონსორმა, ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა ა. პუშკინის დაბადებიდან 205 წლისთავისადმი მიძღვნილ კონკურსში (თბილისი) გამარჯვებული 40-ზე მეტი მოზარდი.

«ფონდმა» პარტნიორული ურთიერთობა დაამყარა თბილისის 43-ე რუსულ საშუალო სკოლასთან და შეიმუშავა მასთან თანამშრომლობის გეგმა. აღსანიშნავია, რომ ამ სკოლის მოსკოვში მცხოვრებმა 300 კურსდამთავრებულმა, რომელთა შორის არიან ცნობილი საზოგადო, ხელოვნებისა და სპორტის მოღვაწეები, შექმნა კლუბი «კვ-43».

«ფონდი» მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც საქართველოს საელჩოსთან რუსეთში, ასევე რუსეთის საელჩოსთან საქართველოში, რომლებიც აქტიურად ეხმარებიან მას მოღვაწეობაში.

3.7. დიასპორებთან ურთიერთობისა და ეროვნული თანხმობის საზოგადოებრივი ცენტრი

1996 წლის 9 აპრილს მოსკოვში შეიქმნა დიასპორებთან ურთიერთობისა და ეროვნული თანხმობის საზოგადოებრივი ცენტრი (ხელმძღვანელი მ. ჟღენტი). მისი ფუნქციები და პერსპექტივები საზოგადოების ჩამოყალიბებისთანავე გამოკვეთილად განისაზღვრა და მიესადაგა საქართველოს, რუსეთის ფედერაციის, საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებს.

«საზოგადოებრივი ცენტრის» პრიორიტეტული მიმართულებებია: საქართველოსა და რუსეთში დემოკრატიული პროცესებისადმი ხელის შეწყობა; საქართველოს საელჩოსთან საქმიანი კონტაქტების დამყარება; ყველა ქართულ კულტურულ-საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა და ქართული დიასპორის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს შორის ურთიერთგაგების დამყარებისათვის ზრუნვა; ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა გარემოსთან ადაპტაციის პროცესის ხელის შეწყობა და ამ ფონზე მათი კონსოლიდაცია; ქართული სულიერების, კულტურის, მოქალაქეობრივი მრწამსის შენარჩუნება; პოლიტპატიმართა ინტერესების დაცვა; საქართველოს საპარლამენტო და საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიებში აქტიური მონაწილეობა; კულტურულ-საგანმანათლებლო და საგამომცემლო მოღვაწეობა;

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ეროვნული თანხმობის აღდგენისათვის საინფორმაციო კომუნიკაციებისა და კანონით ნებადართული სხვა საშუალებების გამოყენება; საქართველოსათვის საყურადღებო თემებზე მოწყობილ საერთაშორისო ფორუმებში, კონფერენციებში მონაწილეობა და სხვ.

დაარსებიდან დღემდე «ცენტრს» რუსეთის ფედერაციაში ჩატარებული აქვს ლტოლვილთა ორი ყრილობა, არაერთი მცირე მასშტაბის თავყრილობა და შეკრება, მასობრივი ღონისძიებები აფხაზეთში და სამაჩაბლოში მიმდინარე მოვლენების, საქართველოს ყოფილი ხელისუფლების მიერ პოლიტპატიმართა მიმართ უსულგულო დამოკიდებულების, სამართლიანობისა და დემოკრატიის დათრგუნვის, გასულ წლებში საქართველოში კორუფციის არნახულად აყვავების, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბების, რუსეთის მხრივ საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქციები და სხვ.

2000 წლიდან «ცენტრის» ბაზაზე გამოდის ორენოვანი ილუსტრირებული ალმანახი „ემიგრანტი XXI" (დამფუძნებლები და გამომცემლები გ. ხარჩილავა, მ. ჟღენტი, მთავარი რედაქტორი მ. ჟღენტი). ალმანახის ამოცანაა ემსახუროს საქართველოს – პროპაგანდა გაუწიოს ქართულ ენასა და კულტურას, ქრისტიანულ მართლმადიდებლურ რელიგიას; ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს ქართულ- და რუსულენოვან მკითხველს საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, ეკონომიკური და პოლიტიკური მიმართულებების, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რეალური ვითარების შესახებ; დაეხმაროს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ლტოლვილ ინტელიგენციას რუსეთის სოციალურ გარემოში შეინარჩუნოს და ოპტიმალურად გამოიყენოს თავისი ინტელექტი, შემოქმედებითი პოტენციალი და სხვა.

ალმანახი „ემიგრანტი" და «საზოგადოებრივი ცენტრი» მჭიდროდ თანამ-შრომლობენ მოსკოვსა და რეგიონებში მოქმედ ქართულ კულტურულ-საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

3.8. მოსკოვის ქართველი ახალგაზრდების კავშირი

მოსკოვის ქართველი ახალგაზრდების კავშირი შეიქმნა 1996 წელს რუსეთში ქართველთა საზოგადოების და საერთაშორისო ასოციაციის _ «საქართველოს ქალები

მშვიდობისა და სიცოცხლისათვის» მოსკოვის განყოფილების ინიციატივით[1]. «კავშირის» პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა ს. ხარაზი, ვიცე-პრეზიდენტად ირ. ბერიძე, 1999 წლიდან «კავშირის» პრეზიდენტია ი. კარბაია, ვიცე-პრეზიდენტი _ ქ. ჩალათაშვილი.

«კავშირის» მიზანია მოსკოვის მკვიდრი და ლტოლვილი ქართველი ახალგაზ-რდობის ერთმანეთთან დაკავშირება და დაახლოება. ამ მიზნის განსახორციელებლად «კავშირი» აქტიურად მონაწილეობს მთელ რიგ ღონისძიებებში მოსკოვში არსებულ სხვადასხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებთან ერთად. ესენი არიან: ქართველების საზოგადოება რუსეთში, საერთაშორისო საზოგადოების «საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის» მოსკოვის განყოფილება, საერთაშორისო ორგანიზაცია «მშვიდობისა და თანხმობის ფედერაცია», საზოგადოებრივი ორგანიზაცია «დედაქალაქის წრე», კინემატოგრაფისტთა კავშირის კონფედერაციასთან არსებული ქრისტიანული კინოასოციაცია და სხვ.

«კავშირმა» მისი ინიციატივითა და მონაწილეობით ჩაატარა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთაგან აღსანიშნავია მოსკოვის ერთაშორისი პროგრამის _ «მოსკოვს _ სიყვარულით. დროთა კავშირი _ ხალხთა კავშირი» _ შესაბამისად "Георгиевские чтения"-ს ჩარჩოებში მოწყობილი ღონისძიებები:

- 1997 წლის 17 მარტს _ «მრგვალი მაგიდა» თემაზე _ «საზოგადოების სულიერება. ახალგაზრდობის შეხედულება». «მრგვალი მაგიდა» მიეძღვნა მოსკოვის 850 წლისთავს. მასში მონაწილეობდნენ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია «მშვიდობისა და თანხმობის ასოციაცია» და მოსკოვში არსებული ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების კულტურული საზოგადოებები. «მრგვალი მაგიდის» მუშაობის რეგლამენტში შედიოდა, აგრეთვე, ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. ღონისძიება ჩატარდა «მშვიდობისა და თანხმობის ფედერაციის» შენობაში;
- 1998 წლის 9 აპრილს _ კონფერენცია თემაზე _ «ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიისათვის», რომელზეც მოსკოვის ქართველი ახალგაზრდების კავშირის წევრების მიერ წაკითხულ იქნა 10 მოხსენება. ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი «თეთრი ანგელოზის ძიებაში». რეჟისორები _ თ. დულარიძე, ე. ლიუბახი (რუსეთი-პოლონეთი);

[1] ცაგარელი ჟ. მოსკოვის ქართველების «ნატვრის ხე». გაზ. «მშვიდობა ყოველთა», 3_15 ნოემბერი, 2000

- 2001 წლის 18 აპრილს _ «მრგვალი მაგიდა» თემაზე: «სულიერი ერთობის სათავეებთან _ რუსეთი-საქართველო». მის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტები;
- 2002 წლის მაისში _ კონფერენცია თემაზე _ «კულტურათა ერთიანობიდან კავკასიის ერთობისაკენ». კონფერენციის მიზანი იყო კავკასიის თვითმყოფადი ხალხების კულტურულ-ისტორიული კონსოლიდაცია, რაც რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობის ფონზე მეტად აქტუალურია _ ჩვენს უშუალო მეზობლებთან, ჩრდილო კავკასიის ხალხებთან დიალოგის აღდგენა მეტად საჭიროა. კონფერენციაზე განიხილებოდა შემდეგი საკითხები: მრავალეროვანი კავკასია, რელიგიური კულტურა, ეთნიკური თვითშეგნება, საერთო _ მითოლოგიაში, საერთო _ საყოფაცხოვრებო კულტურაში (ტანსაცმელი, ნაციონალური სამზარეულო, საოჯახო მოხმარების საგნები), ოჯახისა და ბავშვის აღზრდის ტრადიციები, ხელოვნება და არქიტექტურა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ქართველმა, ასევე მოსკოვში მცხოვრებმა კავკასიელმა ახალგაზრდებმა.

მოსკოვის ქართველი ახალგაზრდების კავშირი, მოსკოვში ქართველთა საზოგადობასთან ერთად, ასევე აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ორგანიზაციაში. აღვნიშნავთ ზოგიერთს: თ. წერეთლის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო მოსკოვის მეგობრობის სახლში (18 იანვარი, 2001 წ.), ნ. ბრეგვაძის კონცერტი და ვარსკვლავის გახსნა საკონცერტო დარბაზ «როსიაში» (17 მაისი, 2001 წ.), თ. გვერდწითელის შემოქმედებითი საღამო საკონცერტო დარბაზ «როსიაში» (14 მაისი, 2001 წ.), აჭარის კულტურის დღეები (16_18 მაისი, 2001 წ.), ბ. მაისურაძის შემოქმედებითი საღამო (19 ნოემბერი, 2002 წ.), ვოლგოგრადის საზოგადოება «პარნასის» მუსიკალურ-პოეტური საღამო «სიყვარული და საქართველო» (15 მარტი, 2003 წ.), ქართული კულტურის საღამო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში (27 მაისი, 2003 წ.), ვ. კიკაბიძის შემოქმედებითი საღამო (24 აპრილი, 2004 წ.), ქართული იუმორის საქველმოქმედო საღამო (7 ივლისი, 2004 წ.) და სხვ. «კავშირი» ყოველწლიურად ატარებს ქართული ეროვნული და რელიგიური დღესასწაულების აღსანიშნავ საზეიმო საღამოებს, ლტოლვილი ბავშვებისათვის აწყობს საახალწლო ნაძვის ხის ზეიმს და სხვ.

3.9. ი. ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება

2003 წლის აპრილში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ს. არაბულის, გ. ნანიტაშვილის, გ. კიკვაძის ინიციატივით აღდგენილ იქნა XX ს-ის დასაწყისში მოქმედი «ი. ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა სტუდენტური წრე», რომელიც 2004 წლის მაისში იურიდიულად გაფორმდა როგორც «ი. ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება». მისი მიზნები ისევე, როგორც მისი წინამორბედისა, არის რუსეთში ქართული კულტურის პოპულარიზაცია, საქართველოსა და რუსეთს შორის კულტურული და მეცნიერული კავშირების გაღრმავება, პროგრესულად მოაზროვნე ქართველ სტუდენტთა გაერთიანება, სტუდენტებისა და ასპირანტების დახმარების ფონდის შექმნა და სხვ.

ახალი საზოგადოების წევრები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან დასახული მიზნების რეალიზაციას. თავისი არსებობის მოკლე პერიოდში «საზოგადოებამ» ჩაატარა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა, რომელთაგან აღსანიშნავია: 2003 წლის 27 მაისს მოსკოვში საქართველოს საელჩოსა და რუსეთში ქართველთა საზოგადოების მხარდაჭერით მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდ დარბაზში ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა და ქართული ხელოვნების მოღვაწეთა საქველმოქმედო კონცერტი; 2004 წლის 8 თებერვალს მოსკოვის ახალგაზრდობის კლუბში ჩატარებული «დავითობის» დღესასწაულისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო საღამო _ კონცერტი ახალგაზრდა ქართველ შემსრულებელთა მონაწილეობით, რომლის შემოსავალი გადაეცა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა ოჯახებს და სხვ.

3.10. საზოგადოებრივი მოძრაობა «დაბრუნება»

2003 წლის 1 დეკემბერს მოსკოვში დაფუძნდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია «დაბრუნება» (მოგვიანებით _ «საზოგადოებრივი მოძრაობა». თავმჯდომარე _ ალ. მიქაძე, მოადგილე _ ალ. ხუნწარია, მდივანი _ ი. სანაია).

«მოძრაობის» მიზანია დევნილთა დახმარება მათი სოციალური, პოლიტიკური და სხვა მოთხოვნების განხორციელებაში.

მოძრაობა «დაბრუნების» უმაღლეს მმართველ ორგანოს წარმოადგენს საერთო კრება, მუდმივმოქმედ მმართველ ორგანოს _ საერთო კრების მიერ არჩეული 5 წევრისგან შემდგარი კოლეგიალური ორგანო, რომელიც ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე.

«მოძრაობის» დაფინანსების წყაროა ნებაყოფლობითი შესატანები და შემოწირულობები, აგრეთვე, შემოსავალი წესდების შესაბამისად ჩატარებული ლექციებიდან, აუქციონებიდან, გამოფენებიდან, ლატარიებიდან და სხვ.

«დაბრუნება» აქტიურად მონაწილეობს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის პრობლემების მოგვარებაში: აწყობს საქმიან შეხვედრებს როგორც ქართველი, ასევე აფხაზი ეროვნების წარმომადგენლებთან, აფხაზ და ქართველ ბიზნესმენებთან; თანამშრომლობს რუსეთის მეწარმეებთან; არის მეწარმეთა კორპორაციის წევრი; თანამშრომლობს ყველა ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან.

2003 წელს «დაბრუნებამ» გამოსცა საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პუბლიცისტური ჟურნალის _ «საქართველოს მაცნეს» «ცნობის ფურცელი» (ოთხი ნომერი), რომლებიც მიეძღვნა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს (რედაქტორი _ ალ. მიქაძე, გამომცემელი _ ალ. ადამია).

«დაბრუნებამ» აქტიური მონაწილეობა მიიღო მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში განთავსებული მთაწმინდის საარჩევნო ოლქის უბნებში საქართველოს 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაში. მათ თითოეულ უბანზე ჰყავდათ თავიანთი დამკვირვებლები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ და აკონტროლებდნენ არჩევნების მიმდინარეობას.

საზოგადოებრივი მოძრაობა «დაბრუნება» აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციის დღის აღსანიშნავი საზეიმო ღონისძიებების მომზადებასა და ჩატარებაში.

3.11. საერთაშორისო საინიციატივო ჯგუფი „აფხაზეთი»

საერთაშორისო საინიციატივო ჯგუფი „აფხაზეთი» ჩამოყალიბდა 2004 წლის თებერვალში 2000 წელს შექმნილი საიტის Abkhazeti.ru-ს ბაზაზე. მისი დამფუძნებლები არიან ახალგაზრდა პუბლიცისტი და ბიზნესმენი დ. ჯაფარიძე და აფხაზეთიდან ლტოლვილი საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის

იდეების ერთგული ადამიანები. ამჟამად «აფხაზეთი» აერთიანებს საქართველოში, რუსეთში, ევროპაში, აშშ-ში და სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ასეულობით ადამიანს.

„აფხაზეთი" თავის მოღვაწეობას ახორციელებს მშვიდობიანი ფორმით და კრძალავს ნებისმიერ მოქმედებას, რომელიც საზიანოა სახელმწიფოსათვის. იგი უპირისპირდება რასობრივი თუ ეთნიკური სეგრეგაციის ნებისმიერ ფორმას; წინააღმდეგია ყოველგვარი ძალადობისა და ტერორის; ყველას აძლევს საშუალებას, გააკეთოს თავისუფალი არჩევანი და გამოხატოს თავისი ნება-სურვილი; პატივს სცემს რელიგიურ, ფილოსოფიურ და პოლიტიკურ შეხედულებათა მრავალფეროვნებას[1].

„აფხაზეთი" არაკომერციული ორგანიზაციაა. მისი წევრი შეიძლება გახდეს ყველა მსურველი დამოუკიდებლად მოქალაქეობისა, ეროვნებისა და რწმენისა. ჯგუფის ყველა წევრს უფლება აქვს მოიზიდოს ახალი წევრები, აგრეთვე, საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია «ჯგუფის» მოღვაწეობის შესახებ.

„აფხაზეთს", მისი კოდექსის თანახმად და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეუძლია მის მიერ მოზიდულ ქვეყნებში, როგორც ჯგუფის წევრებს, ასევე დაინტერესებულ პირთა შორის, გაავრცელოს ნებისმიერი ლიტერატურა, კინო-ვიდეო ქრონიკა, სუვენირული ნივთები AAbkhazeti.ru-ს ან საქართველოს სიმბოლიკით, CD-დისკები, ვიდეოკასეტები და სხვ.

საინიციატივო ჯგუფი „აფხაზეთი» სწრაფად რეაგირებს საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობათა დარეგულირების შესახებ ნებისმიერ ნეგატიურ გამოსვლაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საინიციატივო ჯგუფი „აფხაზეთი» ჩამოყალიბდა 2000 წლის თებერვალში დ. ჯაფარიძის მიერ შექმნილი პირველი ქართული საიტის Abkhazeti.ru-ს ბაზაზე. მისი მიზანი იყო საერთაშორისო საზოგადოებაზე ინტერნეტის საშუალებით აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ გავრცელებული დეზინფორმაციის უარყოფითი გავლენის ნეიტრალიზება და მისთვის აფხაზეთში არსებული რეალური მდგომარეობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდება. საიტზე განთავსებული ანალიტიკური სტატიები და კომენტარები დაინტერესებულ პირებს აცნობს ამ რეგიონის ისტორიას და, აგრეთვე, 1992-1993 წლების აფხაზეთის კონ-ფლიქტის ჭეშმარიტ მიზეზებს. ამჟამად Abkhazeti.ru დამთვალიერებლების

[1] Джапаридзе Д. Две россии – одна Грузия. Журн. «Новое время», № 1-2, 2000, с.36-38

რაოდენობის მიხედვით ყველაზე აქტიური საიტია. მას ჰყავს 2000 აქტივისტი, 12600-მდე ხელმომწერი და 200-კაციანი ძირითადი ბირთვი.

საიტს აქვს სხვადასხვა განყოფილებები: დოკუმენტები და პუბლიკაციები, აფხაზეთი დღეს, ინტერნეტ-გამოკითხვა, საქართველოსა და აფხაზეთის ისტორია, ომი აფხაზეთში, საინფორმაციო განყოფილება.

საიტში აქტიურად მონაწილეობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწე მეცნიერები, ჟურნალისტები, ბიზნესმენები, სტუდენტები. თითოეულ რეგიონს ჰყავს პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ევალება რეგიონის პრესის მონიტორინგი.

2000 წელს ი. ცქიტიშვილმა შექმნა Abkhazeti.info – აფხაზეთის მთავრობის ვებ-გვერდი, რომელიც მუშაობს საიტისაგან დამოუკიდებლად. იგი განკუთვნილია საქართველოში მცხოვრები და მის ფარგლებს გარეთ გასული რუსულენოვანი მოქალაქეებისათვის და ქვეყნდება Abkhazeti.ru-ს საინფორმაციო გვერდში. 2000 წელს მანვე შექმნა Abkhazeti.dream, რომელიც Abkhazeti.ru-ს ისტორიის განყოფილების მასალებით მომარაგების ძირითადი წყაროა.

3.12. ინფორმაციული ცენტრი «საზოგადოებრივი ლაბორატორია: ქართული დიასპორის სამოქალაქო ჯგუფი»

2004 წლის ივნისში ქართული კულტურის ცენტრ «ქართულ სახლთან» შეიქმნა ინფორმაციული ცენტრი «საზოგადოებრივი ლაბორატორია: ქართული დიასპორის სამოქალაქო ჯგუფი», რომლის ხელმძღვანელია ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი ბ. ქუთელია. ცენტრი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს გარეთ მცხოვრები ქართველების კულტურული, სოციალური და პოლიტიკური ინტერესებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად და საქართველოს, რუსეთის ფედერაციისა და საერთაშორისო კანონების სრული დაცვით.

«საზოგადოებრივი ლაბორატორიის» სტრუქტურა მოიცავს კვლევით ჯგუფს, დიასპორული პრაქტიკის ჯგუფსა და მედია-ჯგუფს.

ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: დიასპორის, მისი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გარემოსა და თავისებურებების კვლევა; სოციალური სიტუაციის შესწავლა და ანალიზი; დიასპორის რაციონალური სტრუქტურის ფორმირება _ განვითარების მოდელის შემუშავება;

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა _ ინტერესთა ჯგუფების შექმნა; მომავალი თაობის აღზრდისათვის და უფროსი თაობის ადამიანების სოციალურ-კულტურული რეაბილიტაციისათვის ხელის შემწყობი პროექტების შექმნა და რეალიზაცია და სხვ.

«საზოგადოებრივმა ლაბორატორიამ» თავისი არსებობის მანძილზე ჩაატარა რამდენიმე «მრგვალი მაგიდა», სემინარი-შეხვედრები და ლექცია-საუბრები თემებზე: «ვარდების რევოლუციის ფენომენი», «რუსეთის ინფორმაციული სივრცის ქართული სეგმენტი», «იმედის დაბრუნება», «ქართული საზოგადოება პოსტმოდერნისტულ კონტექსტში (სოციალური ცვლილება)», «სოციალური პასუხისმგებლიბა ინდივიდუალიზებულ საზოგადოებებში», «სოციალურ-კულტურული დინამიკა», «სეპარატიზმის პრობლემა საქართველოში». ძირითადი მომხსენებლები, დიასპორის წევრებთან ერთად, იყვნენ ცნობილი რუსი პოლიტოლოგები.

«საზოგადოებრივი ლაბორატორია» და ქართველთა საზოგადოება რუსეთში ერთობლივად წარმართავენ ციკლს _ «ვკითხულობთ რუსთაველს» _ საუბრებს ქართული ცივილიზაციის შესახებ და «საკვირაო სკოლას», სადაც მოზარდ თაობას ეძლევა საშუალება შეისწავლოს ქართული ენა. «საზოგადოებრივი ლაბორატორიის» ინიციატივით დაწყებულია ქართული ანბანის შესწავლის ონლაინური კურსის შექმნა. «ლაბორატორიასა» და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მოსკოვის ფილიალს «ქართულ სახლში» გამოყოფილი აქვს აუდიტორია _ დარბაზი, სადაც მუშაობს ჭადრაკის სექცია ბავშვებისათვის, აგრეთვე, იმართება ქართულ ტელეგადაცემათა და კინოფილმების ჩვენება.

ნაყოფიერი საქმიანობა მიმდინარეობს ინფორმაციული მიმართულებით. მედია-ჯგუფის ძალისხმევით ფუნქციონირებს «საზოგადოებრივი ლაბორატორიის» ინტერნეტ-საიტი, რომელიც განვითარების აქტიურ ფაზაშია.

«საზოგადოებრივ ლაბორატორიას» მჭიდრო კავშირი აქვს მოსკოვის ქართულ სათვისტომოსთან, ქართველთა საზოგადოებასთან რუსეთში, აფხაზეთიდან დევნილთა საზოგადოებრივ გაერთიანება «დაბრუნებასთან» და სხვ.

3.13. ახალგაზრდული მოძრაობა «ლაზარე»

2005 წლის 21 იანვარს დაფუძნდა ახალგაზრდული მოძრაობა «ლაზარე» (ხელმძღვანელი _ ჯ. კვარაცხელია). ორგანიზაციის მიზანია გააერთიანოს მოსკოვში და

მოსკოვის ოლქში მცხოვრები ქართველი მოსწავლე-ახალგაზრდობა და საქართველოს მიმართ კეთილად განწყობილი სხვა ეროვნების ახალგაზრდები.

ორგანიზაციის კარი ღიაა ყველასთვის, ვისაც აინტერესებს ქართული კულტურა, ისტორია, ლიტერატურა და საქართველოსთან და ქართველ ხალხთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია.

სადღეისოდ «ლაზარეს» ძირითადი მიზნებია: რუსეთში მოღვაწე გამოჩენილ ქართველებთან შეხვედრების მოწყობა; ქართული ლიტერატურის კლასიკოსებისა და ქართული ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეებისადმი მიძღვნილი საღამოების ციკლის ორგანიზება; მოსკოვში და რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში ექსკურსიების მოწყობა თემაზე: «ქართველ მოღვაწეთა კვალი რუსეთის ისტორიაში»; მოსკოვში მცხოვრებ ახალ-გაზრდა ავტორთა ლიტერატურული წრის ჩამოყალიბება; ქართული მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ჩვენება; მოსკოვში არსებული ქართული სკოლების ბაზაზე სხვადასხვა საგნებში ოლიმპიადების ჩატარება; სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრებების მოწყობა; ახალგაზრდული მოძრაობა «ლაზარეს» ფონდის შექმნა.

«ლაზარეში» გაერთიანებულია 70 წევრი. იგი თავის საქმიანობას წარმართავს ქართული კულტურის ცენტრ «ქართულ სახლში» (არბატის ქ. ¹ 42). მისი არსებობის მოკლე პერიოდში ახალგაზრდულმა მოძრაობამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩაატარა. 2005 წლის განმავლობაში აღინიშნა არაერთი ღირსშესანიშნავი თარიღი; მოეწყო ექს-კურსიები მოსკოვში ქართული ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად; მოსკოვის ქართულ სათვისტომოსთან და «ქართულ სახლთან» ერთად მოეწყო მოსკოვში მცხოვრები ქართველი მხატვრის ზურაბ ფაჩულიას პერსონალური გამოფენა და სხვ.

ახალგაზრდულ მოძრაობა «ლაზარეს» მჭიდრო კავშირი და ურთი-ერთთანამშრომლობა აქვს მოსკოვის ქართული დიასპორის სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებთან, აგრეთვე, სხვა დიასპორების წარმომადგენლებთანაც, მოსკოვში საქართველოს საელჩოსთან და სხვ.

გარდა ზემოთ განხილული საზოგადოებრივი გაერთიანებებისა, XX ს-ის 90-იანი წლებიდან დღემდე მოსკოვში ჩამოყალიბდა და რეგისტრაცია გაიარა კიდევ რამდენიმე გაერთიანებამ. ესენია: ლტოლვილთა კომიტეტი (1994 წ., ხელმძღვანელი გ. ნაჭყებია), წმ. მოციქულის ანდრია პირველწოდებულის სახელობის საზოგადოება (1998 წ., ხელმძღვანელი ალ. ფაჩულია), რუსეთ-საქართველოს თანამშრომლობის აღდგენის

ფონდი (2001 წ., აღმასრულებელი დირექტორი ა. ადამია), არაკომერციული ორგანიზაცია «რუსეთისა და საქართველოს ბიზნესმენთა საქმიანი საბჭო» (2004 წ., თავმჯდომარე ნ. ფიფია), დამოუკიდებელი ორგანიზაცია «რუსი და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ხელშეწყობა და განვითარება _ სახალხო დიპლომატია» (2004 წ., დამფუძნებელი კ. ქარჩავა), ქართველი ხალხის დახმარების ფონდი (2005 წ., თავმჯდომარე ბ. მელაძე) და სხვ. აღნიშნულმა საზოგადოებრივმა გაერთიანებებმა სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ვეღარ გააგრძელეს თავიანთი საქმიანობა, ზოგიერთი მათგანი დაიშალა, ზოგი კი სხვა გაერთიანებებს შეუერთდა.

ამჟამად მოსკოვში ოფიციალურად რეგისტრირებული 20-ზე მეტი ქართველთა საზოგადოებრივი გაერთიანებიდან, რუსეთსა და საქართველოში პოლიტიკური და ეთნოსოციალური სიტუაციის ცვლილებების გათვალისწინებით, მეტ-ნაკლები აქტიურობით თავის მოღვაწეობას განაგრძობს 13 გაერთიანება.

თავი IV

ქართული ნაციონალური სკოლები მოსკოვში

4.1. მოსკოვის ნაციონალური სკოლების მოკლე ისტორია

ნაციონალურ სკოლებს მოსკოვში ხანგრძლივი ისტორია აქვს[1]. სხვადასხვა ეთნოსების ბავშვებისათვის ნაციონალური სკოლების დაარსება დაკავშირებულია მოსკოვის, როგორც რუსული სახელმწიფოებრიობის ცენტრის, ჩამოყალიბებასთან. „ქალაქის მამებს“ ამოძრავებდათ დედაქალაქში ხელოსნობის განვითარების, მოსკოვის პოლიტიკურად და ეკონომიკურად გაძლიერების სურვილი. ასე, მაგალითად, XVII_XVIII საუკუნეებში «ნემეცკაია სლობოდაში» ცხოვრობდნენ და სწავლობდნენ ევროპიდან მოწვეული ოსტატების შვილები. არსებობდა ლიტვური, გერმანული, პოლონური სკოლები. ქართველების, თათრების, სომხების, უკრაინელების და სხვათა კომპაქტურად დასახლების ადგილებში გახსნილი იყო ნაციონალური სკოლები, სადაც ბავშვები სწავლობდნენ მშობლიურ ენას, ეზიარებოდნენ თავისი ხალხის კულტურას, აგრეთვე, ეუფლებოდნენ თავიანთი მშობლების ხელობას, მაგალითად, «გრუზინსკაია

[1] Ушакова В.Г., История национальных школ в Москве. Сб., Состояние и перспективы развития учреждений национального образования г.Москвы, вып.2. 1995

სლობოდაში» _ ჭედურ მხატვრულ ოსტატობას. საკვირაო სკოლებში სწავლობდნენ არა მხოლოდ ბავშვები, არამედ ზრდასრული ადამიანებიც.

XX საუკუნის 20-იან წლებში, საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ, სახელმწიფო ნაციონალური საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა მოსკოვში 70-მდე გაიზარდა, მაგრამ 30-იანი წლების დასაწყისიდან მათი საქმიანობა შეიზღუდა, ხოლო 1938 წ. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ნაციონალური კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი დაწესებულებების საქმიანობა აიკრძალა[1].

4.2. მოსკოვის ნაციონალური განათლების პოლიტიკა XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე

XX ს-ის 80-იან წლებში ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში სოციალურ-ეკონომიკური და სოციოკულტურული ცვლილებების, ეთნოსთა შორის ურთიერთობათა „დარეგულირების“ სახელმწიფო მონოპოლიის შესუსტების ფონზე აშკარად გამოიკვეთა მრავალეროვანი მოსახლეობის თვითშეგნების, უპირატესად, მისი ერთ-ერთი ფორმის _ ეთნიკური კუთვნილების ზრდის ტენდენცია, როგორც ჩვენს საზოგადოებაში წლების მანძილზე მიმდინარე სოციალურ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ და სოციოკულტურულ სიღრმისეულ პროცესებზე რეაქცია. საზოგადოებაში დემოკრატიული ტრადიციების ნაკლებობის პირობებში გაჩნდა ეთნიკური ნაციონალიზმის აღზევების რეალური საფრთხე.

ამ ნეგატიური ტენდენციების გადალახვის და დედაქალაქის პოლიეთნიკურობის პირობებში ეროვნებათა შორის ურთიერთობების ჰარმონიზაციის ერთ-ერთი ბუნებრივი მექანიზმია განათლების სისტემა.

80_90-იანი წლების მიჯნაზე მოსკოვის მთავრობა, მის მიერ აღიარებული დემოკრატიული ღირებულებების პრიმატის შესაბამისად, ცლილობდა თავისი მრავალეროვანი მოსახლეობის ეთნოკულტურული და ეთნოსაგანმანათლებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და ყოველმხრივ ხელს უწყობდა ნაციონალური განათლების დაწესებულებების, მათ შორის სკოლების დაარსება _ აღდგენას, რათა დედაქალაქში მცხოვრები ყოველი ერის თუ ეროვნებათა ჯგუფის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელს თავისი ენისა და ისტორიის, თაობიდან თაობამდე დაგროვებული

[1] Екимов В., Развитие национального образования в Москве, журн. Педагогический вестник, № 6(22), 1995

სოციოკულტურული გამოცდილების, ცოდნის, ფასეულობების, ტრადიციების ათვისებისა და განვითარების საშუალება ჰქონოდა.

ამ პერიოდში თითოეულ ნაციონალურ სკოლას მიეცა საშუალება, რუსეთის ან თავისი ქვეყნის განათლების საბაზისო პროგრამის მოთხოვნების გათვალისწინებით, განეხორციელებინა სწავლების პროცესი ინდივიდუალური მოდელით, თავისი პასუხისმგებლობით შეემუშავებინა პროგრამები, სადაც სრულად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ნაციონალური კულტურის სიმდიდრეები, ცხოვრების წესი, ტრადიციები, ქცევის სოციალური ნორმები, სულიერი მიზნები და ღირებულებები.

1992 წლის 10 ივლისს მიღებული რუსეთის ფედერაციის კანონი „განათლების შესახებ“[1] სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპად აღიარებს ფედერალური კულტურული და საგანმანათლებლო სივრცის ერთიანობას და, ამასთან ერთად, მრავალეროვან სახელმწიფოს პირობებში ნაციონალური სტრუქტურების დაცვას განათლების სისტემის მეშვეობით. ამ კანონმა სამართლებრივი საფუძველი ჩაუყარა მოსკოვის განათლების სისტემის ნაციონალური დაწესებულებების ფუნქციონირებას.

ამავე პერიოდში 1993_1994 წწ. სპეციალურ ჟურნალებში დაიბეჭდა მოსკოვის პედაგოგიური მეცნიერების ზოგიერთი წამყვანი წარმომადგენლის სტატიები, სადაც აღნიშნული იყო წინააღმდეგობა, რომლის წინაშე აღმოჩნდა მოსკოვში მცხოვრები ყველა ეთნოსი: ერთი მხრივ, მოთხოვნილება შეინარჩუნოს საერთო რუსულ სოციოკულტურულ კონტექსტში თავისი ჩართულობა, მეორე მხრივ კი _ არ გაწყვიტოს კავშირი ნაციონალური კულტურის სათავეებთან.

ამ წინააღმდეგობიდან გამოსავალი მოსკოვის განათლების მესვეურებმა დაინახეს განათლების ისეთი სისტემის შექმნაში, რომელსაც თავის შინაარსში ექნებოდა კულტურათა პოლილოგიის, პოლილინგვიზმის, პიროვნებისა და საზოგადოების თანამედროვე ღირებულებებზე ორიენტაციის იდეებზე დაფუძნებული ნაციონალური კომპონენტი. 1994 წლის ივლისში მოსკოვის განათლების კომიტეტმა გამოაქვეყნა განათლების პროგრამა „დედაქალაქის განათლება _ 1“[2], სადაც აღნიშნულია გარკვეული სიძნელეები მოსკოვის ნაციონალური განათლების დაწესებულებებში, კერძოდ, მშობლიური ენის არათანაბარი (ხშირად სუსტი) ცოდნა, საჭირო რაოდენობის

[1] Федеральный закон Российской Федерации "Об образовании" от 10 июля, 1992 г.
[2] Городская программа "Столичное образование-1", Московский департамент образования, М., 1994

სპეციალისტების ნაკლებობა, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში სპეციალური სახელმძღვანელოების არარსებობა და ა.შ.

სიტუაციის ნორმალიზაციისათვის მოსკოვის განათლების დეპარტამენტს უნდა უზრუნველეყო: მოსწავლეებისათვის განათლების მშობლიურ ენაზე მიღების შესაძლებლობა; ნაციონალურ სკოლებში ცალკეული საგნების სწავლების მშობლიურ ენაზე გადაყვანის ორგანიზაციულ-პედაგოგიური პირობების შექმნამდე სასწავლო პროცესის სახელმწიფო (რუსულ) ენაზე განხორციელება; ყოველი მოსწავლისათვის რუსული ენის, როგორც ეროვნებათა შორის ურთიერთობის ენის, ათვისების შესაძლებლობა, რუსეთის ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად და სხვ.

ყველა ამ მოსაზრებამ ლოგიკური განვითარება ჰპოვა მოსკოვის განათლების დეპარტამენტის მიერ 1994 წლის დეკემბერში გამოქვეყნებულ კონცეფციაში[1], სადაც ხაზგასმული იყო, რომ განათლების სისტემის ნებისმიერი ნაციონალური სასწავლო დაწესებულების განათლების შინაარსი უნდა მოიცავდეს სამ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს, ესენია:

- კომპონენტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პიროვნების, როგორც ამა თუ იმ ნაციონალური კულტურისა და ტრადიციების წარმომადგენლის თვითიდენტიფიკაციის შესაძლებლობა;
- კომპონენტი, რომელმაც უნდა შექმნას პიროვნების სხვა კულტურულ გარე-მოცვასთან თანასწორუფლებიანი დიალოგის წარმართვის პირობები;
- კომპონენტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პიროვნების თანამედროვე მსოფლიო (ევრაზიული) ზოგადცივილიზაციურ პროცესებში ჩართვა.

თითოეული კომპონენტის კონკრეტულ-საგნობრივი შინაარსობრივი შევსება უნდა ხდებოდეს საბაზისო სასწავლო გეგმის ზოგადი იდეების და სტრუქტურის შესაბამისად.

კონცეფციაში აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ ეთნოკულტურული კომპონენტის შინაარსში ცენტრალური ადგილი უნდა დაეთმოს იმ ზოგადკულტურული ცოდნის სფეროებს, რომლებიც უზრუნველყოფს პიროვნების ეროვნულ თვითიდენტიფიკაციას. ესენია: ფილოლოგიური დისციპლინები, უპირველეს ყოვლისა, მშობლიური ენა და

---

[1] Концепция содержания образования московских школ с этнокультурным (национальным) компонентом. Решение Московского департамента образования от 09.12.1994 г.

ლიტერატურა, თავისი ხალხის წარმომავლობა და მსოფლმხედველობა, ტრადიციები და მორალურ-ეთიკური ნორმები, კულტურის ისტორია და გეოგრაფია.

სასწავლო პროგრამებში ინტეგრირებული კურსების მიხედვით განათლების შინაარსში კონცენტრირებული ცოდნის რეალიზაცია შეიძლება მოხდეს როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი გაკვეთილების ფორმით.

1994_1995 სასწავლო წელს მოსკოვის ნაციონალური განათლების ქსელი მოიცავდა რუსულ-ლიტვურ, რუსულ-ქართულ, რუსულ-კორეულ, რუსულ-სომხურ და სხვა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებს (ნაციონალური ეთნოკულტურული კომპონენტით), რომლებსაც აფინანსებდა მოსკოვის განათლების დეპარტამენტი. პარალელურად მოსკოვში ფუნქციონირებდა კერძო ნაციონალური სკოლები: ებრაული, თათრული, ქართული და სხვა.[1-3]

ნაციონალური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების კონტინგენტს ძირითადად შეადგენდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა "ცხელი წერტილებიდან" ლტოლვილი ბავშვები, რომელთა მშობლებს ჯერ კიდევ სჯეროდათ, რომ სამშობლოში მათი დაბრუნება მოხდებოდა უახლოეს დროში და ადგილობრივ სოციოკულტურულ გარემოში მუდმივად (თუ ხანგრძლივად) ჩართვას არ აპირებდნენ.

1996 წლის 6 იანვრის რუსეთის ფედერალურმა კანონმა „ნაციონალურ-კულ-ტურული ავტონომიის (საქალაქო, რაიონული, რეგიონალური, ფედერალური) შესახებ" აღიარა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების უფლება ნაციონალური (მშობლიური) ენის შენარჩუნებისა და განვითარების, ურთიერთობის, აღზრდისა და სწავლების ენის გამოყენებისა და თავისუფალი არჩევანის კონსტიტუციური უფლება. აქედან გამომდინარე, ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიებს მიეცა შესაძლებლობა:

- დააარსონ არასახელმწიფო (საზოგადოებრივი) საგანმანათლებლო დაწესებულებები (ზოგადსაგანმანათლებლო, დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი პროფესიული განათლების) ნაციონალურ (მშობლიურ) ენაზე სწავლებით;
- შექმნან სხვა არასახელმწიფო (საზოგადოებრივი) საგანმანათლებლო დაწესე-ბულებები ნაციონალურ (მშობლიურ) ენაზე სწავლებით;

[1] Сб., Тенденции и проблемы развития учреждений национального образования, г.Москвы, вып.3, № 1, 1997
[2] Сб., Состояние и перспективы развития учреждений народного образования г.Москвы, вып.2, М., 1994
[3] Московский региональный учебный базисный план. М., 1996

- შეიმუშაონ დაქვემდებარებული საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაწილეობით ნაციონალურ (მშობლიურ) ენაზე განათლების მიღების უფლების უზრუნველსაყოფად აუცილებელი სასწავლო პროგრამები, გამოსცენ სახელმძღვანელოები, მეთოდური, დამხმარე სასწავლო ლიტერატურა;
- დადონ ხელშეკრულებები რუსეთის ფედერაციის საზღვრებს გარეთ არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ნაციონალურ (მშობლიურ) ენაზე განათლების მიღების უფლების რეალიზაციის მიზნით, კერძოდ, ხელშეკრულებები პედაგოგიური კადრების მომზადების, სამეცნიერო-მეთოდური, სასწავლო და სხვა სახის ლიტერატურით უზრუნველყოფის შესახებ და ა.შ.

ნაციონალური განვითარებისა და ეროვნებათა შორის ურთიერთობების დარეგულირების, ადამიანისა და მოქალაქის საკონსტიტუციო უფლებათა უზრუნველყოფის ამოცანების გადაჭრას ემსახურებოდა 1996 წლის 15 ივნისს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბ. ელცინის მიერ დამტკიცებული „რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ნაციონალური პოლიტიკის კონცეფცია“[1], სადაც გაანალიზებულია იმ პერიოდის რუსეთის ნაციონალური ურთიერთობების სფეროში არსებული სიტუაცია: „ეროვნებათა შორის ურთიერთობათა განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წარსულის მემკვიდრეობა. ტოტალიტარულმა სისტემამ, მასობრივმა დეპორტაციებმა და რეპრესიებმა, მრავალნაციონალურ-კულტურულ ფასეულობათა ნგრევამ მძიმე დარტყმა მიაყენა ქვეყნის ყველა ხალხებს რუსების ჩათვლით... საბჭოთა პერიოდში გატარებული უნიფიკაციის კურსი გახდა ამჟამინდელი წინააღმდეგობების საფუძველი... წარსულის მემკვიდრეობამ, სსრ კავშირის დაშლის გეოპოლიტიკურმა და ფსიქოლოგიურმა შედეგებმა, გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სიძნელეებმა განაპირობა ერთა შორის ურთიერთობებში კრიზისული სიტუაციებისა და რთული პრობლემების მთელი რიგი. ერთა შორის ურთიერთობებზე სერიოზულ ნეგატიურ გავლენას ახდენს აგრეთვე უმუშევრობა... ტერიტორიული დავის არსებობა, ეთნოკრატული მისწრაფებების გამოვლინებები“.

[1] Концепция государственной национальной политики Российской Федерации. Указ Президента Российской Федерации от 15 июля 1996 г. Журн. "Национальное образование в Москве", вып.4, 1997, с.7, 12

1996 წელს მოსკოვის განათლების დეპარტამენტის საერთაშორისო კავშირების და ნაციონალური განათლების განყოფილების უფროსმა ვ. უშაკოვამ[2], აღნიშნა რა ნაციონალური განათლების სისტემის მნიშვნელობა საზოგადოების სტაბილურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ „ნაციონალური განათლების დაწესებულებებში მოსწავლეები ითვისებენ ორი დაწესებულების პროგრამებს: საგანმანათლებლო (ჩვეული გაგებით) და ნაციონალურ კომპონენტს, რომელიც, როგორც წესი, მთელი განათლების მნიშვნელოვან შტოში გადაიზარდა, რაც იწვევს დიდ გადაძაბვას როგორც გონებრივ, ასევე ფიზიკური განვითარების თვალსაზრისით... სხვანაირად რომ ვთქვათ, აპრობირებულ ტრადიციულ და ინოვაციურ მეთოდებს უნდა მოეძებნოს გონივრული შეთავსება“.

1998 წ. მოსკოვის განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ ლ. კეზინამ[1], მოსკოვის ეთიკური, კულტურული, კონფესიური და სოციალური მრავალფეროვნების ფონზე სამოქალაქო მშვიდობის შენარჩუნებაში ნაციონალური განათლების შემოქმედებითი როლის მნიშვნელობის აღნიშვნასთან ერთად, ხაზი გაუსვა იმას, რომ მოსკოვის განათლების პირველი კონცეფცია (1994 წ.), რომელმაც ბიძგი მისცა მოსკოვის მასწავლებლების მოღვაწეობის შემოქმედებით განვითარებას, საჭიროებს სასწავლო პროგრამების და მათი კრიტერიალური ბაზის სრულყოფას. ამ პერიოდში სკოლის საგანმანათლებლო პროგრამაში ეთნოკულტურული კომპონენტის როლისა და ადგილის საკითხი არაერთხელ გახდა კამათისა და კრიტიკის საგანი[2,3]. მოსკოვის უმაღლესი სამეცნიერო-პედაგოგიური წრეების აზრით, სკოლები ეთნოკულტურული კომპონენტით დიასპორის პირობებში თავის მთავარ მიზნად თვლიან არა მარტო ნაციონალური კულტურის შენარჩუნებას, არამედ მის აღორძინებას, ტრადიციულ ფასეულობებთან და, ამდენად, აღზრდისა და განათლების ტრადიციულ მოდელებთან დაბრუნებას.

---

[2] Ушакова В.Г., Инновационные процессы в национальном образовании. Сб. "Тенденции и проблемы развития учреждений национального образования г.Москвы", вып.3, 1997

[1] Кезина Л.П., Выступление на заседании Правительства Москвы 14 апреля 1998 г. Этнодиалоги: Образование и этнокультурное сотрудничество, М., 1998

[2] Каспржак А.Г., Левит М.Б., Базисный учебный план и российское образование в эпоху перемен, М., 1994; Сусоколов А.А., Этнокультурный компонент в структуре столичного образования, Сб. "Тенденции и проблемы развития учреждений национального образования г.Москвы", вып.3. 1997; Аракелян О.В., Поликультурное образование: сущность и содержание, "Грааль", М., 2001

[3] Следзевский И.В., Мирокультурные установки Московской программы толерантности и их реализация средствами образования, Журн. "Этнокультурное (национальное) образование в Москве", вып.2, 2003

სწავლების ეთნოკულტურული (ნაციონალური) პროგრამების შინაარსისადმი ასეთი განწყობებისა და მიდგომების შესაბამისად 90-იანი წლების ბოლოს თანდათანობით თავი იჩინა მოსკოვის განათლების დეპარტამენტის მხრიდან «რჩევებისა და რეკომენდაციების სახით“ ნაციონალური სკოლების სწავლების ორგანიზაციაში აშკარა თუ შეფარვით ჩარევამ, რასაც მომდევნო წლებში მოჰყვა ნაციონალური კომპონენტის ძირითადი საგნობრივი შემადგენელის შემცირება და მისი რეალიზაცია ფაკულტატიური, დამატებითი (კლასგარეშე) ფორმით.

ნაციონალური სკოლების მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა საზოგადოებაში დემოკრატიზაციის პროცესების „შენელება“ და პოლიეთნიკურ ქალაქში დაძაბული ეთნოკონტაქტური ვითარების ჩამოყალიბება, რაც განპირობებული იყო მასშტაბური მიგრაციული არაკონტროლირებადი ნაკადებით, ქალაქში მსხვილი დიასპორების შექმნით, დომინირებულ რუსულ უმრავლესობასა და ცალკეულ ეთნიკურ უმცირესობათა შორის სოციალური და კულტურული განსხვავებულობის გაძლიერებით.

დედაქალაქის სოციალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს ართულებს მოსკოვის ეთნოდემოგრაფიული ბალანსის ცვლილებაც. თუ 80-იანი წლების ბოლოსათვის მოსკოვში ეთნიკური უმცირესობის რიცხოვნობა 9% არ აღემატებოდა, 2001 წლისათვის მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა: დედაქალაქის არარუსულმა მოსახლეობამ ოფიციალური მონაცემებით 10%-იან ზღვარს გადააჭარბა, ზოგიერთი შეფასების მიხედვით კი 30% უახლოვდება[1]. ეს კი ნიშნავს, რომ არარუსი მოსახლეობის უმსხვილესი დიასპორები მკვიდრ მოსკოველებთან ერთად შეადგენენ ქალაქგანმსაზღვრელ ფაქტორს. ამიტომ მრავალი მოსკოველი ლტოლვილებს და მიგრანტებს, არარუსული და არასლავური ჯგუფების წარმომადგენლებს აღიქვამს როგორც კონკურენტებს სოციალურ სფეროში, განსაკუთრებით საცხოვრებელ და შრომით ბაზარზე. სერიოზულ პრობლემად იქცა ქსენოფობური განწყობების, ძირითადად ეთნიკური ფობიების ზრდაც.

ამ მოვლენების ფონზე მოსკოვის მთავრობის და შესაბამისად მოსკოვის განათლების დეპარტამენტის პოლიტიკის პრინციპები ეთნოკულტურული (ნაციონალური) განათლების დაწესებულებების და განსაკუთრებით ნაციონალური

[1] Постановление Правительства Москвы "О состоянии и развитии этнокультурного (национального) образования и взаимодействия с национальными объединениями в Москве" от 12 мая 1998 г., №382

სკოლების მიმართ მკვეთრად შეიცვალა, რასაც ადასტურებს 2000_2005 წლებში რუსეთის ფედერაციისა და მოსკოვის მთავრობების მიერ ნაციონალური განათლების შესახებ მიღებული დადგენილებები. მაგალითად, თუ მოსკოვის მთავრობის მიერ 1999 წელს მიღებულ კანონში „მოსკოვში ნაციონალური ურთიერთობების შესახებ“[1] სახელმწიფო ნაციონალური პოლიტიკის ძირითად მიზნებად აღიარებულია «მოსკოვის სხვადასხვა ეროვნების (ეთნიკური ჯგუფების) მაცხოვრებლების სოციალური და სამოქალაქო უფლებების უზრუნველყოფა, მათი ნაციონალურ-კულტურული თვითმყოფადობის გამოხატვის, შენარჩუნების (დაცვის) და განვითარებისათვის პირობების შექმნა, მათი ნაციონალურ-კულტურული და ნაციონალურ-საგანმა-ნათლებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ნაციონალური კულტურული საზოგადოებრივი გაერთიანებების განვითარება, ეროვნებათაშორის მშვიდობის, სტაბილურობისა და თანხმობის ატმოსფეროს განმტკიცება“ და, აქედან გამომდინარე, „მოსკოვის მაცხოვრებლებს, მათი ეროვნების, ენის, წარმომავლობის, კონფესიის მიუხედავად გარანტირებული აქვთ ეთნოკულტურული (ნაციონალური) განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობები. ... მოსკოვში ეთნოკულტურული (ნაციონალური) განათლების მიღება უზრუნველყოფილია ნაციონალური განათლების დაწესებულებების (სკოლამდელი და სკოლის), აგრეთვე, მათი ფუნქციონირებისათვის პირობების შექმნის გზით“, 2000 წლის 4 ოქტომბრის რუსეთის ფედერაციის მთავრობის დადგენილებაში „რუსეთის ფედერაციაში განათლების ნაციონალური დოქტრინის შესახებ“[2] აღნიშნულია, რომ „განათლების სტრატეგიული მიზნები მჭიდროდაა დაკავშირებული რუსეთის საზოგადოების განვითარების პრობლემებთან, როგორიცაა:

- რუსეთის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი განვითარებისათვის საფუძვლის შექმნა, ხალხის ცხოვრების მაღალი დონის და ნაციონალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს განმტკიცება და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება;

[1] Закон Правительства Москвы "О национальных отношениях в городе Москве", 1999 г.
[2] Постановление Правительства Российской Федерации "О национальной доктрине образования в Российской Федерации" от 4 октября 2000 г. №751

- მსოფლიო გაერთიანებაში რუსეთის, როგორც დიდი სახელმწიფოს (как великой державы), სტატუსის განმტკიცება განათლების, კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების, მაღალი ტექნოლოგიების და ეკონომიკის სფეროში“.

ხაზგასმულია, რომ „დოქტრინა ასახავს მრავალნაციონალური რუსეთის სახელმწიფოს მოქალაქეების ინტერესებს და მოწოდებულია შექმნას ქვეყანაში მოსახლეობის საყოველთაო განათლების პირობები, უზრუნველყოს მოქალაქეთა უფლებების თანასწორობა და მთელი ცხოვრების მანძილზე თითოეული მათგანის საგანმანათლებლო დონის ამაღლების შესაძლებლობა“.

განათლების სისტემის ამოცანაა აგრეთვე, რუსეთის პატრიოტების, სამართლებრივი დემოკრატიული სახელმწიფოს ისეთი მოქალაქეების აღზრდის უზრუნველყოფა, რომლებსაც შეეძლებათ ნაციონალური და რელიგიური შემწყნარებლობის, ტოლერანტობის, სხვა ხალხების ენების, ტრადიციებისა და კულტურისადმი პატივისცემის გამოვლენა.

2001 წლის 20 ნოემბერს მოსკოვის მთავრობამ მიიღო დადგენილება „საქალაქო მიზნობრივი პროგრამა „მოსკოვის განათლების მოდერნიზაცია“ (დედაქალაქის განათლება _ 3)“[1], სადაც მოსკოვის ახალი საგანმანათლებლო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტებად დასახელებულია „ხელმისაწვდომობა, ხარისხი და ეფექტიანობა“. პროგრამაში აღნიშნულია საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის რაციონალიზაციის აუცილებლობა, რისთვისაც საჭიროა საბოლოო შედეგებზე ორიენტირებული მოსკოვის საყოველთაო საშუალო განათლების სტანდარტის შექმნა, მოსწავლეების სოციალურ აქტივობაზე და შეგნებულ თვითგამორკვევაზე მიმართული საგანმანათლებლო ტექნოლოგიების შემუშავება.

4.3. მოსკოვის ნაციონალური განათლების დაწესებულებების ტიპები

რუსეთის საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესების გაღრმავების პერიოდში მოსკოვის საგანმანათლებლო სისტემაში არსებული ნაციონალური განათლების დაწესებულებების ძირითადი ფორმებისა და ფუნქციონირების პრინციპების ანალიზის

[1] Постановление Правительства Москвы "Городская целевая программа "Модернизация Московского образования (Столичное образование-3)" от 20.11.2001 г. М., 2001.

საფუძველზე შესაძლებელია გამოიყოს მათი ორგანიზაციის რამდენიმე განსხვავებული ტიპი.

ნაციონალური განათლების დაწესებულებათა I ტიპს მიეკუთვნება სკოლები განათლების ეთნოკულტურული (ნაციონალური) კომპონენტით, რომელიც თავიდანვე ჩაფიქრებული იყო როგორც ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო განათლების დამატებითი ფორმა. განათლების ამ ფორმის ჩარჩოებში ბავშვი ღებულობს ცოდნას და ინფორმაციას გარკვეული ეთნოსის, ხალხის ტრადიციის, კულტურისა და ისტორიის შესახებ. მოსწავლე, რომელმაც აითვისა დამატებითი ეთნოკულტურული (ნაციონალური) განათლების პროგრამა, გარდა ცოდნის გარკვეული ზოგადი კურსისა, დაეუფლა განსაკუთრებულ უნიკალურ ინფორმაციას, რომელიც მას საშუალებას აძლევს ჰქონდეს ზოგადი (შესაძლებელია, ხშირად საკმაოდ ღრმა) წარმოდგენა მოცემული ხალხის, ეთნიკური თუ კულტურული ჯგუფის ცხოვრების თავისებურებებზე.

II ტიპს მიეკუთვნება ისეთი სკოლები, რომლებშიც ნაციონალურ-კულტურული კომპონენტი შეადგენს ძირითად ბირთვს. ამ სკოლებში ძირითადი და უმნიშვნელოვანესი ხდება ნაციონალურ-კულტურული, კონფესიური განათლება, ხოლო ზოგადფედერალური კომპონენტი თანდათანობით იღებს დამატებითის ხასიათს.

თუ ნაციონალური სკოლების პირველი ტიპი, რომელიც ასრულებს განათლების კულტურულ-ჰუმანიტარული შემადგენლის რეალური გაღრმავების მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას, ჯერ კიდევ უმნიშვნელოდ განსხვავდება საშუალო პოსტსაბჭოური სკოლისაგან, მეორე ტიპის სკოლები ძალიან ხშირად აღიქმება როგორც კარჩაკეტილი _ „იზოლაციონისტური“ დაწესებულებები.

ამრიგად, აუცილებელია ორი, თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავი მოთხოვნის დაკმაყოფილება. ერთი მხრივ, მოსწავლეების მოცემული ტიპის ეროვნულ-კულტურულ ფასეულობებში, როგორც თავისი მსოფლმხედველობის საფუძველში, განმტკიცება და, შესაბამისად, რომელიმე სხვა კულტურული ღირებულებების და იმპერატივების გამორიცხვა, ხოლო, მეორე მხრივ, ცნობიერების „გახსნილობის“ უზრუნველყოფა სხვა, უცხო ფასეულობათა და კულტურული შინაარსების აღქმის მიმართ. სწორედ ეს წინააღმდეგობა დაიძლევა III ტიპის სკოლის აგებით, სახელდობრ,

კულტურულ-ანთროპოლოგიური ტიპის სკოლის, სადაც ნაციონალური კულტურის შინაარსი გულისხმობს არა მხოლოდ კონკრეტული საგნის ათვისებას, არამედ იგი უნდა გახდეს ანალიზისა და განხილვის საგანი, უზრუნველყოს სხვა კულტურის წარმომადგენლებთან, მოსკოვში ერთიანი სოციოკულტურული სასიცოცხლო სივრცის წევრებთან თანასწორუფლებიან დიალოგში შესვლის შესაძლებლობა.

კულტურულ-ანთროპოლოგიურ სკოლებში, სადაც განხორციელებულია პოლიკულტურული ურთიერთობა და შეიძლება სხვადასხვა კულტურებს შორის დიალოგის ორგანიზება, შესაძლებელია სხვადასხვა კულტურული გაერთიანებების ნაჯერი ცხოვრების ფორმის რეპროდუცირება. კულტურულ-ანთროპოლოგიური განათლების ასეთი ტიპი მიზნად ისახავს ერთდროულად ორი სხვადასხვა ამოცანის გადაჭრას: ერთი მხრივ, ადამიანის თავის საკუთარ კულტურაში და კულტურულ ტრადიციაში განმტკიცებას, ხოლო, მეორე მხრივ, მასში სხვადასხვა კულტურებისა და ტრადიციების დიალოგში მონაწილეობის უნარის გამომუშავებას, რაც მთლიანობაში უზრუნველყოფს თავისი საკუთარი კულტურისა და ცხოვრების სიღრმისეულ გაგებას.

დაბოლოს, ნაციონალური სკოლების პოტენციურად შესაძლებელი IV ტიპისათვის ნაციონალური კულტურა წარმოდგება ათვისების არა მხოლოდ როგორც დამატებითი ან საბაზისო საგანი, მრავალი პოლიკულტურული პოზიციების სივრცეში გარკვევის და დიალოგის საგანი, არამედ როგორც მრავალფეროვანი სოციოკულტურული და ისტორიული პრობლემების გადაწყვეტის საშუალება. IV ტიპის ნაციონალური სკოლების საქმიანობა, როგორც წესი, დაკავშირებულია საგანმანათლებლო ინსტიტუტის ირგვლივ გაერთიანების ფორმირებასა და გაფართოებასთან, რადგან მხოლოდ გარკვეულ კულტურულ ფასეულობათა სისტემის ირგვლივ გაერთიანებული ადამიანების სხვადასხვა ასაკისა და სხვადასხვა პროფესიის მქონე ჯგუფი შეიძლება გახდეს კულტურულ-ისტორიული ტრადიციების ათვისებისა და ტრანსლაციის ცოცხალი სუბიექტი. ბავშვის ამ ტრადიციაში შეყვანისათვის ასეთი „ცოცხალი“ სუბიექტის არსებობა, როგორც კულტურის ცოცხალ მატარებელთან ურთიერთობა, პრინციპულია. მხოლოდ სრულყოფილი ურთიერთობის სისტემაშია შესაძლებელი ჯანმრთელი ცნობიერების ორგანიზაციის ნაციონალურ-კულტურული ფორმების ჩამოყალიბება. გარდა ამისა, საგანმანათლებლო დაწესებულებების ირგვლივ

ჩამოყალიბებული ბავშვთა_ზრდასრული ადამიანების გაერთიანება თანდათანობით წარმოჩინდება, როგორც დამოუკიდებელი კულტურული პოლიტიკის სუბიექტი.

დედაქალაქის ტიპოლოგიურად სხვადასხვაგვარი ნაციონალური განათლების სისტემა მოიცავს ნაციონალური სკოლების 4 სხვადასხვა ტიპს, გულისხმობს განათლების შინაარსის სხვადასხვა ტიპებს, საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების სხვადასხვა ფორმებს, სხვადასხვა პედაგოგიურ და საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს და სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულების ირგვლივ მშობლების კოლექტივის სტრუქტურიზაციის სხვადასხვა ფორმებს. ამ სახვადასხვა ტიპის ნაციონალური სკოლების უკან დგას მოსახლეობის სხვადასხვა კონტინგენტის საგანმანათლებლო და სოციოკულტურული მოთხოვნილებები.

4.4. ქართული ნაციონალური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლები მოსკოვში

XX ს-ის 90-იან წლებში და XXI ს-ის დასაწყისში მოსკოვში არსებული ქართული ნაციონალური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლები მიეკუთვნებიან ორ ტიპს:

- განათლების ეთნოკულტურული (ქართული) კომპონენტის მქონე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლები, რომლებსაც აფინანსებს სახელმწიფო (მოსკოვის განათლების დეპარტამენტი);
- ქართული ნაციონალური კერძო სკოლები _ ლიცეუმები.

4.4.1. განათლების ეთნოკულტურული (ქართული) კომპონენტის მქონე მოსკოვის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლები

მოსკოვის განათლების ეთნოკულტურული (ქართული) კომპონენტის მქონე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს მიეკუთვნებიან მოსკოვის ცენტრალური ადმინისტრაციული ოკრუგის [1]1331 და მოსკოვის ჩრდილოეთის ადმინისტრაციული ოკრუგის [1]223 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლები.

განათლების ეთნოკულტურული (ქართული) კომპონენტის მქონე მოსკოვის ცენტრალური ადმინისტრაციული ოკრუგის [1]1331 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა მდებარეობს ძველ არბატზე, სივცევ-ვრაჟეკის ქ. 18-ში.

სკოლის შექმნის ისტორია ასეთია: 1988 წლის 15 ოქტომბერს მოსკოვის განათლების დეპარტამენტის თავმჯდომარის ლ. კეზინას გადაწყვეტილებით და ქართული დიასპორის აქტიური წარმომადგენლის ა. კერესელიძის ძალისხმევით გაიხსნა [1]11 პირველი ნაციონალური (ქართული) საბავშვო ბაღი (რომელშიც წლის დასაწყისში მხოლოდ 4 ბავშვი იყო, წლის ბოლოს კი _ 16), ერთი წლის შემდეგ _ 1989 წელს _ დაწყებითი სკოლის პირველი ექსპერიმენტული კლასი (25 მოსწავლით), ხოლო 1990 წელს _ დაწყებითი სკოლა _ I_IV კლასები. სწავლება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამებით. დამატებით ისწავლებოდა რუსული ენა და ლიტერატურა, როგორც სახელმწიფო ენა. საქართველოს განათლების სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე სასწავლო პროცესის სათანადო დონეზე ჩასატარებლად საქართველოდან მოსკოვში მივლინებული იყვნენ საუკეთესო პედაგოგები.

1992 წელს საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლების ერთობლივი გადაწყვეტილებით ორი ქვეყნის განათლების სამინისტროებს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც დაწყებითი სკოლისა და საბავშვო ბაღის ბაზაზე მოსკოვში მცხოვრები ქართველი და იმ რუსულენოვანი ბავშვებისათვის, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ქართველი და რუსი ხალხების ისტორიითა და კულტურით, შეიქმნა ქართულ-რუსული სასწავლო-აღმზრდელობითი კომპლექსი _ „საბავშვო ბაღი, სკოლა-გიმნაზია“. კომპლექსის მიზანი იყო გაეღვიძებინა მათთვის ინტერესი ამ ორი ხალხის ისტორიის, კულტურისა და დაკარგული ტრადიციების აღორძინებისადმი, განევითარებინა და განემტკიცებინა მეგობრობა და თანამშრომლობა რუს და ქართველ ხალხებს შორის ურთიერთ სიყვარულის, პატივისცემისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

1992_1993 წლებში საქართველოში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შედეგად მოსკოვში ემიგრანტების მოწოლილმა დიდმა ტალღამ კომპლექსის დირექცია იძულებული გახადა გაეხსნა VIII_X ზოგადსაგანმანათლებლო კლასები და საკვირაო სკოლა.

შემდგომში კომპლექსი გარდაიქმნა მოსკოვის [1]1331 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლად განათლების ეთნოკულტურული (ქართული) კომპონენტით, რომელიც განლაგებულია მოსკოვის ცენტრში, ორ შენობაში _ ძველ არბატზე

მდებარეობს საბავშვო ბაღი და დაწყებითი კლასები (I_IV), საშუალო სკოლა (V_XI კლასები) მდებარეობს მეტროს სადგურ „ნოვოსლობოდსკაიასთან». 2001 წლიდან სკოლაში გაიხსნა რუსული სექტორი, ხოლო 2003 წლიდან _ აზერბაიჯანული სექტორი. დღიდან დაარსებისა კომპლექსისა და შემდგომ სკოლის დირექტორია ა. კერესელიძე. სკოლაში 700-ზე მეტი მოსწავლეა, რომელთაგან 450 _ ქართველია. სკოლის პედაგოგიურ კოლექტივში 70 მაღალკვალიფიციური მასწავლებელია, რომელთაგან 3 _ მეცნიერებათა კანდიდატია, 8 _ უმაღლესი საკვალიფიკაციო კატეგორიის და 20 _ პირველი კატეგორიის პედაგოგია.

სკოლასთან შექმნილია კულტურული ცენტრი „არბატის ივერია", რომელშიც ფუნქციონირებენ:

- ვოკალური ანსამბლები _ „აბლი-ბაბლი" (უმცროსკლასელებისათვის), „დო-დო" (საშუალო ასაკის მოსწავლეთათვის), „ჯორჯია" (უფროსკლასელებისათვის). მათ ხელმძღვანელობს კომპოზიტორი რ. ჩირინაშვილი. ეს ანსამბლები და მათი სოლისტები ყოველწლიურად მოსკოვის ნაციონალური ფესტივალების ლაურეატები ხდებიან;
- ქორეოგრაფიული ანსამბლი „კავკასიონი" (ხელმძღვანელები საქართველოს დამსახურებული არტისტები ს. შენგელია და კ. კობერიძე);
- მსოფლიოს ხალხთა ცეკვების შემსწავლელი წრე და ანსამბლი (ხელმძღვანელი ა. ბერიაშვილი). ეს ანსამბლი 2003 წელს მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალის _ .„სილამაზე გადაარჩენს მსოფლიოს" – დიპლომანტი გახდა;
- მოსწავლეთა თეატრი «არტისტული ყვავილები» (ხელმძღვანელი _ საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი გ. აბესაძე, ლიტერატურული ხელმძღვანელი _ ლ. ბაშალეიშვილი);
- ხატვის წრე (ხელმძღვანელი ტ. გრადოვი). ყოველწლიურად ეწყობა ამ წრეში გაერთიანებული მოსწავლეების ნამუშევართა გამოფენები. 2004 წელს სკოლაში მოეწყო მოსკოვის ცენტრალური ადმინისტრაციული ოლქის სკოლების მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, სადაც მასპინძელი სკოლის მოსწავლეების ნამუშევრებმა დიდი მოწონება დაიმსახურა;
- აღმოსავლურ ორთაბრძოლათა სპორტული სექტორი (ხელმძღვანელი გამოჩენილი სპორტსმენი ნ. ბერიძე).

სკოლასთან, როგორც სტრუქტურული ერთეული, ფუნქციონირებს ზ. ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური სკოლა (შვიდწლედი), რომელიც შეიქმნა 2003 წელს. თავდაპირველად სკოლაში იყო 20, ამჟამად კი 40 მოსწავლეა. სკოლაში არის საფორტეპიანო, სავიოლინო, გიტარის კლასები, საესტრადო განყოფილება. სკოლას ხელმძღვანელობენ საქართველოს დამსახურებული არტისტი ლ. სიყმაშვილი და ბ. მაცაბერიძე.

2000 წლიდან 2002 წლამდე სკოლაში არსებობდა „სკოლის ისტორიის მუზეუმი". 2003 წელს შეიქმნა საბრძოლო დიდების მუზეუმი _ „წარსულის ხსოვნა – გზაა მომავლისა". ამ მუზეუმმა 2005 წელს მოსკოვის ცენტრალურ ადმინისტრაციულ ოლქში ჩატარებულ კონკურსში პირველი ადგილი დაიკავა. 2003 წელსვე შეიქმნა სამი მუზეუმი _ „ზაქარია ფალიაშვილის მუზეუმი", „ქართული ეთნოკულტურული მუზეუმი" და „აზერბაიჯანული და ქართული კულტურის მუზეუმი", რომლებმაც ლიცენზირება გაიარეს 2004 წელს.

განათლების ეთნოკულტურული (ქართული) კომპონენტის მქონე მოსკოვის ჩრდილოეთის ადმინისტრაციული ოკრუგის [1]223 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა ერთ-ერთი უძველესია მოსკოვის სკოლებს შორის. მან 2003 წელს აღნიშნა თავისი არსებობის 65-ე წლისთავი. იგი მდებარეობს მეტროს სადგურ «ვოიკოვსკაიასთან» მე-2 რადიატორის ქ. [1]3-ში, ქართული სექტორი ამ სკოლაში გადმოვიდა 2002/03 სასწავლო წელს მოსკოვის ჩრდილოეთის ადმინისტრაციული ოკრუგის განათლების ეთნოკულტურული (ქართული) კომპონენტის მქონე [1]184 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლიდან, სადაც 1995/96 სასწავლო წელს დაარსდა ეთნოკულტურული (ქართული) სექტორი პირველი კლასიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით. ამ სკოლაში ქართულმა სექტორმა იარსება ექვსი წელი. წლების განმავლობაში მოსწავლეთა რიცხვი 151-დან 270-მდე გაიზარდა. 2000 წელს სკოლაში დაარსდა რუსეთ-საქართველოს მეგობრობის მუზეუმი, რომელშიც ერთი ოთახი ეთმობოდა ეთნოგრაფიულ კუთხეს _ ქართული სახლი ბუხრით, ნაციონალური ავეჯით, ჭურჭლით და ა.შ. ქართული კულტურის ისტორიის გაკვეთილები ხშირად მუზეუმში ტარდებოდა. ასევე სკოლაში ფუნქციონირებდა ნაციონალური თვალსაჩინო მასალითა და ბიბლიოთეკით აღჭურვილი კაბინეტი. 1998 წელს თბილისის მერიის განათლების განყოფილების დახმარებით (ნ. სოსელია, დ. აბაშიძე) თბილისის სკოლებში შეგროვდა და მოსკოვში

გაიგზავნა დიდი რაოდენობით სკოლის სახელმძღვანელოები და ქართული მხატვრული ლიტერატურა, რითაც საფუძველი ჩაეყარა სკოლის ქართული ბიბლიოთეკის შექმნას.

2002/03 სასწავლო წელს, ეთნოკულტურული (ქართული) სექტორის მოსკოვის [1]223 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში გადატანის შემდეგ, ქართველ მოსწავლეთა ძირითადი ნაწილი (230 მოსწავლე) [1]223 სკოლაში გადავიდა და, ამასთანავე, ახალი მოსწავლეებით შეივსო. ამავე სასწავლო წლიდან [1]223 სკოლის დირექტორია დ. მაქაცარია. სკოლაში 670 მოსწავლე სწავლობს, რომელთაგან 300-მდე _ ქართველია.

ეთნოკულტურული კომპონენტის უმთავრესი ნაწილი წარმოდგენილია დამატებითი განათლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრ „არაგვის" ბლოკში შემდეგი საბავშვო გაერთიანებების მუშაობაში:

- ქართული ხალხური ცეკვის სტუდია და ანსამბლი „არაგვი" (მისი დამაარსებელი და 2004 წლამდე მისი ხელმძღვანელი ქეთევან ჩალათაშვილი), შეიქმნა ჯერ კიდევ 1996/97 სასწავლო წელს [1]184 სკოლაში და აერთიანებს 122 მოსწავლეს. ანსამბლი „არაგვი" 1998 წლიდან დღემდე არის შემდეგი საოკრუგო ფესტივალების ლაურეატი: „ჩრდილოეთის თანავარსკვლავედი», „გაზაფხულის ფერხული», „ათასწლეულის ახალგაზრდა ტალანტები», „ჩრდილოეთის ფერხული». 2001–2002 წლებში არის საქალაქო ფესტივალის „მოსკოვის ახალგაზრდა ტალანტების» დიპლომანტი და საერთაშორისო ფესტივალების _ „ნაციონალური კულტურები», „კულტურული მემ-კვიდრეობა» და «სილამაზე გადაარჩენს მსოფლიოს» – ლაურეატი;
- თეატრალური სტუდია „მერცხალი» – მხატვრული ხელმძღვანელი ი. მესხორაძე, რომელიც ჩამოყალიბდა 1996 წელს და აერთიანებს 30 მოსწავლეს;
- ფოლკლორული ანსამბლი «რუსთავი», ხელმძღვანელი _ ა. ადამია (შეიქმნა 2004 წ.);
- კლასიკური საგუნდო მუსიკის შემსწავლელი წრე, ხელმძღვანელი _ ო. პისარსკაია (შეიქმნა 2004 წ.);
- სპორტული სექტორი, რომელიც აერთიანებს კალათბურთის, ჩოგბურთის, ფეხბურთის, ტანვარჯიშის წრეებს.

კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრ «არაგვში» მუშაობს აგრეთვე ხელსაქმის, მეყვავილეობის, ეკოლოგიის, ინფორმატიკის, სახვითი ხელოვნების წრეები.

სკოლაში ტარდება ფაკულტატიური მეცადინეობები შემდეგ საგნებში _ გერმანული ენა, საზღვარგარეთის ლიტერატურა.

სკოლა მჭიდროდ თანამშრომლობს რუსეთში საქართველოს საელჩოსთან, საქართველოს საკონსულოსთან, ქართველების საზოგადოებასთან რუსეთში, მოსკოვის ქართულ სათვისტომოსთან და სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებთან.

ღირსშესანიშნავი ეროვნული და რელიგიური თარიღების აღსანიშნავად სკოლაში ტარდება სადღესასწაულო საღამოები, რომლებზეც ხშირად ესწრებიან მოსკოვში მცხოვრები გამოჩენილი ქართველი ადამიანები. მაგალითად, 2003 წელს გიორგობის დღესასწაულზე სკოლას ეწვია საქართველოს ელჩი რუსეთში ბატონი ზურაბ აბაშიძე და ჩვენი გამოჩენილი მომღერალი ნანი ბრეგვაძე.

სკოლაში ჩამოყალიბდა მეგობრული პედაგოგიური კოლექტივი, რომელიც სხვადასხვა ასაკის 55 პედაგოგისაგან შედგება. მათგან ერთი _ მეცნიერებათა კანდიდატია, 8 _ უმაღლესი საკვალიფიკაციო კატეგორიის და 15 _ პირველი კატეგორიის პედაგოგი. პედაგოგთაგან 23 _ სკოლის ქართულ სექტორზე მოღვაწეობს. ესენი არიან ქართველები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო ამჟამად მოსკოვში ცხოვრობენ.

2005/2006 სასწავლო წელს მოსკოვის მთავრობამ [1]223 სკოლას გადასცა თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი ახალი შენობა დიდი სპორტული კომპლექსით, რომელიც გათვალისწინებულია 700 მოსწავლეზე. აღსანიშნავია უამრავი წინააღმდეგობა, რომელიც შეხვდა სკოლის ადმინისტრაციას. მოსკოვის ქსენოფობურად განწყობილი საზოგადოების ნაწილი, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წევრი დეპუტატების ხელშეწყობით, წინ აღუდგა ამ შენობის ქართული ეთნოკულტურული კომპონენტის მქონე სკოლისთვის გადაცემას. სკოლის დირექციას დიდი დახმარება გაუწია საქართველოს საელჩომ, ქართველთა საზოგადოებამ რუსეთში, მოსკოვის მთავრობამ და განათლების დეპარტამენტმა. 6 თვის დაძაბული ბრძოლის შედეგად, ქართველ ბავშვებს მიეცათ ახალ შენობაში სწავლის საშუალება. მაგრამ სკოლის დირექცია იძულებული გახდა წასულიყო გარკვეულ დათმობაზე; ექსპერიმენტის სახით ერთი წლის განმავლობაში ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, საქართველოს კულტურის

ისტორიის სწავლება მოხდება ფაკულტატიურად, დღის მეორე ნახევარში, ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლების შემდეგ.

ზემოაღნიშნულ ორივე სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ეთნოკულტურული კომპონენტის მქონე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებისთვის განკუთვნილი რუსეთის საბაზისო პროგრამებით შემდეგ საგნებში: რუსული ენა და ლიტერატურა, რუსეთის ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, ეკონომიკა, ალგებრა, გეომეტრია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ხაზვა, ხოლო ინტეგრირებული პროგრამებით _ მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში, გეოგრაფიაში, ბუნებაში, შრომასა და მუსიკაში. საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით ისწავლება ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, საავტორო პროგრამით, რომელსაც აგრეთვე მოსკოვის განათლების დეპარტამენტი ამტკიცებს _ ნაციონალური კულტურა (საქართველოს კულტურის ისტორია). საგნების ინტეგრირებული კურსით სწავლებისას თითოეული პედაგოგი ადგენს ადაპტირებულ პროგრამას, რომელსაც ასევე ამტკიცებს მოსკოვის განათლების დეპარტამენტი.

განათლების ეთნოკულტურული (ქართული) კომპონენტის მქონე მოსკოვის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში 90-იანი წლების ბოლომდე, გარდა რუსული ენისა და ლიტერატურის და რუსეთის ისტორიისა, ყველა საგანი ქართულად (ქართული სახელმძღვანელოებით) ისწავლებოდა, შემდეგ კი _ 2005 წლამდე ორ ენაზე _ ქართულად და რუსულად. დღეს სწავლების ეთნოკულტურული (ქართული) კომპონენტის მომცველი საგნების (ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, საქართველოს კულტურის ისტორია) გარდა, ყველა საგნის სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობს. ნაციონალური საგნებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სექტორში გამოყოფილი საათები შემცირებულია, მაგრამ ფაკულტატიური და დამატებითი (კლასგარეშე) განათლების ფორმების განვითარების ხარჯზე სკოლებს საშუალება ეძლევათ გააღრმავონ ბავშვების ცოდნა თავიანთი სამშობლოს ისტორიის, ლიტერატურისა და კულტურის დარგში და არ მოწყდნენ საკუთარ ეროვნულ ფესვებს. ამასთანავე, ნაციონალური ხელოვნების, რეწვის, მხატვრული თვითმოქმედების განვითარების, ეროვნული კულტურის სიღრმისეული შესწავლის მიზნით სკოლებს გამოეყოთ დამატებითი საშტატო ერთეულები.

4.4.2. ქართული ნაციონალური კერძო სკოლები _ ლიცეუმები

ხ. კვარაცხელიას სახელობის ქართული ლიცეუმი. როგორც ცნობილია, 1993 წლის სექტემბერში აფხაზეთში საომარ მოქმედებათა შედეგად ათეული ათასობით ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო და თავი რუსეთისთვის, კერძოდ, მოსკოვისთვის შეეფარებინა. მიღებული მძიმე სულიერი ტრავმებისა და რუსული ენის არასაკმარისი ცოდნის გამო ლტოლვილთა ბავშვებს არ შეეძლოთ არა მარტო რუსული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, არამედ ეთნოკულტურული კომპონენტის მქონე სკოლების სწავლების პროცესში სრულფასოვნად ჩართვა. ამასთანავე, არსებობდა დროებით (როგორც იმედოვნებდა ლტოლვილთა უმრავლესობა) რუსეთს შეფარებული მცირეწლოვანი, არასასკოლო ასაკის ბავშვების, მოზარდების სამშობლოსგან გაუცხოების საფრთხე. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, გაჩნდა აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებისთვის ქართული სკოლის შექმნის იდეა.

1993 წლის 31 მაისს მოსკოვის ჩრდილო-აღმოსავლეთის ადმინისტრაციული ოკრუგის სახალხო განათლების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ინსტიტუტის ბაზაზე სამეცნიერო-პედაგოგიური ექსპერიმენტის («ადაპტაცია») ფორმით ლტოლვილი ბავშვებისათვის გაიხსნა ქართული სკოლა _ «აფხაზეთის ზოგად-საგანმანათლებლო საშუალო საადაპტაციო სკოლა მოსკოვში». სამწუხაროდ, ინსტიტუტის შენობა 6_12 წლის ბავშვებისათვის შეუფერებელი იყო, რის გამოც 1994 წლის 1 სექტემბრიდან სკოლა იჯარით გადავიდა მოსკოვის [1]311 ზოგადსაგან-მანათლებლო საშუალო სკოლის შენობაში და ეწოდა «ქართული ლიცეუმი». პირველი დამოუკიდებელი ქართული კერძო სკოლის (ქართული ლიცეუმის) დამფუძნებლები იყვნენ: ნოდარ, ხათუნა და ნანა კვარაცხელიები, მოსკოვის ქართული სათვისტომო, მისი პრეზიდენტი _ თემურ სტურუა და ვიცე-პრეზიდენტი _ როინ კონჯარია. ქართული ლიცეუმის დაარსების მთავარი მიზანი იყო ქართველი ბავშვების ქართველებად ჩამოყალიბება, მათი სწავლა-აღზრდა მშობლიურ ენაზე, მათი საქართველოსთვის შენარჩუნება.

1995 წლიდან სკოლა რეგისტრირებულ იქნა «ქართული ლიცეუმის» სახელწოდებით. შემდგომში მას ერთ-ერთი დამფუძნებლის _ გარდაცვლილი ხათუნა კვარაცხელიას სახელი მიენიჭა. ლიცეუმის დირექტორი დღიდან დაარსებისა იყო

ნოდარ კვარაცხელია. მოსწავლეთა რაოდენობა 300-ს აღწევდა. ქართულ ლიცეუმში სწავლება მიმდინარეობდა I_XI კლასებში, ყველა საგანი ისწავლებოდა ქართულ ენაზე საქართველოს განათლების სამინისტროს საბაზისო სასწავლო პროგრამით და სახელმძღვანელოებით.

2003/04 სასწავლო წელს ქართულ ლიცეუმში სწავლება მიმდინარეობდა შემდეგი პროგრამებით:

- საქართველოს საბაზისო სასწავლო პროგრამით ისწავლებოდა შემდეგი საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ფიზიკა, გეოგრაფია, საქართველოს ისტორია, ბიოლოგია, ქიმია;
- რუსეთის საბაზისო სასწავლო პროგრამით _ რუსეთის ისტორია, მსოფლიო ისტორია, მოსკოვმცოდნეობა, რუსული ენა და ლიტერატურა;
- ადაპტირებული პროგრამით _ ეკოლოგიის კურსი;
- საავტორო პროგრამებით _ ლათინური ენა, ინგლისური ენა და ლიტერატურა, რელიგიის ისტორია;

ლიცეუმში სწავლება მიმდინარეობდა მეორე ცვლაში (19 სთ-მდე). ლიცეუმში არსებობდა ეთნოგრაფიული მუზეუმი, სადაც გამოფენილი იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ნაციონალური ტანსაცმელი, მუსიკალური საკრავები (სალამური, დოლი, ჩონგური, ფანდური), ქართული კერამიკა, ნაქარგი სუფრები, ხელნაკეთი თოჯინები, ჯიხვის რქები და სხვ.

ყოველ კლასს ჰყავდა თავისი კურატორი _ დამრიგებელი, რომელსაც, გარდა სწავლების პროცესის ორგანიზებისა, ევალებოდა მოსწავლეებთან კლასგარეშე მუშაობის ჩატარება.

ქართულ ლიცეუმში არსებობდა ბიბლიოთეკა, რომელიც დაკომპლექტებული იყო ქართული კლასიკური მწერლობის ყველა თვალსაჩინო წარმომადგენლის თხზულებებით და თხზულებათა კრებულებით, ქართული ენციკლოპედიებით, საზღვარგარეთული ენციკლოპედიებით, საზღვარგარეთის ლიტერატურის (ქართულად თარგმნილი) ნიმუშებით (1000 ეგზემპლარზე მეტი).

ლიცეუმში ურთიერთობის ენა იყო ქართული. ამასთანავე, დიდი ყურადღება ექცეოდა რუსული ენის შესწავლას, რათა უცხო გარემოში მოხვედრილ ბავშვებს მისცემოდათ ადაპტაციის საშუალება. ლიცეუმის მოსწავლეთა უმრავლესობა ჩაბმული

იყო შემოქმედებით წრეებში, სადაც ეზიარებოდნენ მრავალფეროვან ნაციონალურ კულტურას. ლიცეუმში ფუნქციონირებდა ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლი.

ლიცეუმში ტარდებოდა ეროვნული დღესასწაულების აღსანიშნავი ღონისძიებები: საქართველოს დამოუკიდებლობის დღის _ 26 მაისისადმი მიძღვნილი ზეიმი; ქართული ენის დღისადმი (14 აპრილი) მიძღვნილი კონფერენცია, რომელზეც ლიცეუმის მოსწავლეები წარმოადგენდნენ მოხსენებებს ქართული ენის, ენაკავების, დიალექტების, ქართული გვარების წარმოშობის ისტორიის საკითხებზე. იმართებოდა კონკურსები კალიგრაფიაში; ლიცეუმის მოსწავლეები მონაწილეობდნენ მოსკოვის წმინდა გიორგის სახელობის ქართული ეკლესიის 250-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში. ამ დღის აღსანიშნავი საზეიმო კონცერტი გახსნა ქართული ლიცეუმის მოსწავლეთა გუნდმა, რომელმაც შეასრულა ორი ქართული და ერთი ბერძნული საგალობელი. ლიცეუმის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ნაციონალური შემოქმედების საერთაშორისო ფესტივალში, სადაც განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ქართული ხალხური სიმღერების ცოცხალი შესრულების ფონზე წარმოდგენილმა ქორეოგრაფიულ-თეატრალურმა სანახაობამ «ბერიკაობა» (ავტორი ხ. კვარაცხელია).

ლიცეუმში აღინიშნებოდა უილიამ შექსპირის დაბადების დღე (23 აპრილი) _ ინგლისური კულტურის საღამო, სადაც ინგლისურ ენაზე აჩვენებდნენ ნაწყვეტებს შექსპირის ნაწარმოებებიდან («რომეო და ჯულიეტა», «მეფე ლირი»), სრულდებოდა ძველი ინგლისური ცეკვები, ძველი და თანამედროვე ინგლისური სიმღერები (ღონისძიების ხელმძღვანელი ნ. კვარაცხელია).

ქართული ლიცეუმი გამოსცემდა ყოველწლიურ ჟურნალს «ოაზისი», რომელშიც აისახებოდა ლიცეუმის ცხოვრება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა შემოქმედებითი მიღწევები.

ქართული ლიცეუმი აქტიურად იყო ჩაბმული მოსკოვის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. მას ურთიერთობა ჰქონდა მოსკოვის ქართულ სათვისტომოსთან, ქართველთა საზოგადოებასთან რუსეთში, საქართველოს საელჩოსთან, აგრეთვე უკრაინისა და ინდონეზიის საელჩოებთან, მოსკოვის გნესინების სახელობის საშუალო სამუსიკო სასწავლებელთან, მოსკოვის დეკორატიულ-

გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების მუზეუმთან, სადაც გაიმართა ქართული კულტურის დღე. სწორედ ქართულ ლიცეუმს ხვდა პატივი მთელი დღის განმავლობაში წარმოედგინა ქართული კულტურა. ვრცელ პროგრამაში იყო ქართული ცეკვები, სიმღერები, მინი-ლექციები ეთნოგრაფიის საკითხებზე; წარმოდგენილი იყო ქართული სამზარეულო, გამოყენებითი ხელოვნებისა და ფერწერის ნიმუშები.

ქართულ ლიცეუმს მჭიდრო კოლეგიალური და მეგობრული კავშირები ჰქონდა მოსკოვში არსებულ სხვა ქართულ სკოლებთან. ტარდებოდა მეგობრული საფეხბურთო მატჩები. ქართული ლიცეუმის მიერ გამართულ ზეიმებზე იწვევდნენ სხვა სკოლების მოსწავლეებს. იმართებოდა ქართულ-რუსული მეგობრობის საღამოები.

ბოლო წლებში ქართული ლიცეუმის კურსდამთავრებულთაგან დაახლოებით 30 % აბარებდა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე 30 % _ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. ამრიგად, ქართველ მოსწავლეთა 70 % რჩებოდა რუსეთში.

ქართული ლიცეუმი «კოლხეთი» დაარსდა 1997 წელს მოსკოვის [1]633 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის შენობაში (დირექტორი და დამფუძნებელი _ ვ. ბაღდავაძე). 2000 წლის სექტემბრისთვის ლიცეუმი გადავიდა მოსკოვის ოლქის ქ. ლიუბერციში (მოსკოვის მახლობლად), მე-10 საშუალო სკოლის შენობაში. სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისათვის. ლიცეუმის მოსწავლეები სარგებლობენ მასპინძელი სკოლის სათანადოდ აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიებით, ფიზკულტურის დიდი და მცირე დარბაზებით. სპეციალურ კაბინეტებში მოსწავლეები ეუფლებიან კომპიუტერზე მუშაობას. სწავლა მიმდინარეობდა ქართულ ენაზე საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით. სახელმძღვანელოებისა და საჭირო მასალების (საკლასო ჟურნალები, ნიშნების ფურცლები, ატესტატები, პროგრამები და სხვ.) მოწოდება ხდებოდა საქართველოდან (ქუთაისის ერთ-ერთ გიმნაზიასთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად). ლიცეუმში ინგლისური ენა ისწავლებოდა გაძლიერებული პროგრამით. რუსული ენის შესწავლა იწყებოდა პირველი კლასის მეორე სემესტრიდან ზეპირი მეტყველებით.

თავდაპირველად ლიცეუმში მოსწავლეთა რაოდენობა 75 შეადგენდა. გაიხსნა I_X კლასები (XI კლასის კონტინგენტი არ ჰყავდა). ამჟამად ლიცეუმში 85 მოსწავლეა.

1999_2001 წლებში იყო პერიოდები, როცა მოსწავლეთა რაოდენობა 100 და 140 აღწევდა. ლიცეუმში 19 პედაგოგია. ყველა საგანს სპეციალისტი ასწავლის.

1999 წელს ლიცეუმში ჩატარდა I კონფერენცია ფიზიკაში. ლიცეუმის დირექტორმა კონფერენციაში მონაწილეობისათვის მოიწვია სხვა ქართული სკოლებიც, მაგრამ ისინი ამ მოწვევას არ გამოეხმაურნენ. ამიტომ აღნიშნული კონფერენცია ყოველწლიურად ტარდება მხოლოდ ლიცეუმის მასშტაბით, მასში რუსულ სკოლაში მოსწავლე ქართველი ბავშვების მონაწილეობით. ლიცეუმში ტრადიციად დამკვიდრდა კონფერენციების ჩატარება ყველა საგანში. მოსწავლეები ყოველწლიურად 20_25 თემას ამუშავებენ და აკეთებენ 15-20 წუთიან მოხსენებებს კონფერენციებზე, რომლებსაც ესწრებიან მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები. გამარჯვებულები ჯილდოვდებიან სიგელებით.

2005 წელს მოსკოვის ქართული სათვისტომოს თაოსნობით ლიცეუმში ჩატარდა ნორჩ მოაზროვნეთა I ღია კონფერენცია, რომელიც ორი ნაწილისგან შედგებოდა: პირველი ნაწილი _ მათემატიკური კონკურსი ანუ ოლიმპიადა და მეორე ნაწილი _ თემატური, ყველა საგანში. მოხსენებები წარმოდგენილი იყო ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ლიცეუმის მოსწავლეებმა ოლიმპიადაზე აიღეს I და III ხარისხის დიპლომები (II ხარისხის დიპლომი არ გაცემულა).

7 მაისს ჩატარდა კონფერენციის საზეიმო დახურვა, რომელზეც მოხდა გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოება. დახურვას ესწრებოდნენ ქართული სათვისტომოს პრეზიდენტი თ. სტურუა, წევრები – ვ. წერეთელი და დ. ნიკოლეიშვილი, აგრეთვე მამა მაქსიმე, რომელმაც მოსწავლეებს გადასცა დიპლომები და საჩუქრები.

ლიცეუმში ფუნქციონირებს ინგლისური ენის, მათემატიკის, ქართული ენისა და გერმანული ენის შემსწავლელი წრეები.

ლიცეუმში არსებობს მუსიკალური სტუდია, სადაც ფორტეპიანოს სპეციალობით 30 მოსწავლეა (ხელმძღვანელი მ. კეკელიძე), გოგონათა ვოკალური ჯგუფი _ «თამარი», რომელშიც გაერთიანებულია 9 გოგონა (ხელმძღვანელი _ მ. კეკელიძე), ცეკვის სტუდია _ 30 მოსწავლით (ხელმძღვანელი გ. კოპალიანი).

ხშირად ეწყობა ექსკურსიები ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად მოსკოვში და მის ფარგლებს გარეთაც. ტარდება ლიტერატურული, პოეზიის საღამოები. ეროვნული დღესასწაულებიდან აღინიშნება გიორგობა, შობა-ახალი წელი, დედის დღე,

დედაენის დღე. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს _ 26 მაისს უკავშირებენ სკოლის გამოსაშვებ საღამოებს.

ლიცეუმის კურსდამთავრებულთაგან უმაღლეს სასწავლებლებში ეწყობა თითქმის 80%, აქედან მოსკოვში _ დაახლოებით 40%.

2003 წელს მოსკოვში, მეტროს სადგურ «კახოვსკაიასთან» გაიხსნა ლიცეუმის ფილიალი (დირექტორი ი. ჭელიძე). ფილიალში 110 მოსწავლე იყო.

2000 წლის 4 აგვისტოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ (საქართველოს რესპუბლიკის განათლების 1997 წლის 27 ივნისის კანონის საფუძველზე) ლტოლვილ პედაგოგთა საინიციატივო ჯგუფს მისცა უფლება გაეხსნა მოსკოვში ლტოლვილი ბავშვებისათვის **ქართული ლიცეუმი «აფხაზეთი»**. საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ სოხუმის რაიონის სოფ. აჩადარის საშუალო სკოლის დირექტორი, უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი ე. კოკაია, ლტოლვილი პედაგოგები ი. ჯოგლიძე, ნ. ჯაკობა, ლ. უსანეთაშვილი და მოსკოვში მცხოვრები პროფესორი თ. მექვაბიშვილი. ქართული ლიცეუმის შექმნის მიზანი იყო სკოლის გარეშე დარჩენილი რუსული ენის სუსტად მცოდნე (ან არმცოდნე) ლტოლვილ ბავშვებს საშუალო განათლება მიეღოთ ქართულ ენაზე და, ამასთანავე, დასაქმებულიყვნენ აფხაზეთიდან ლტოლვილი მასწავლებლები.

ქართული ლიცეუმი «აფხაზეთი» (დირექტორი ე. კოკაია) დაარსდა მოსკოვის [1]421 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ბაზაზე. ლიცეუმში სწავლება მიმდინარეობდა საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმით და პროგრამით. მეთოდური ლიტერატურით, სასკოლო ნივთებით და სხვა ოფიციალური საბუთებით სკოლას უზრუნველყოფდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო.

ქართული ლიცეუმი სარგებლობდა [1]421 საშუალო სკოლის კაბინეტებით, ფიზკულტურის დარბაზით, სააქტო დარბაზით, კომპიუტერული კლასებით. ლიცეუმში საკუთარი სახსრებით შეიქმნა ბიბლიოთეკა.

ლიცეუმში სისტემატურად ტარდებოდა შიდა სასკოლო ოლიმპიადები, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლიცეუმის სასწავლო ნაწილის გამგე ი. ჯოგლიძე. ცალკე საგნად ისწავლებოდა რელიგიის ისტორია (მასწავლებელი მ. ნემსაძე).

ლიცეუმში ფუნქციონირებდა მხატვრული კითხვის წრე, ქართული და ევროპული ცეკვის წრეები, ქართული ხალხური სიმღერის წრე; სხვადასხვა სპორტული სექციები (ფეხბურთის, ჭიდაობის, ფრენბურთის).

ლიცეუმში სისტემატურად ტარდებოდა ილიას, აკაკის, ვაჟას, მურმან ლებანიძის, მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებისადმი, აგრეთვე, დავით აღმაშენებლის, ქართული თეატრისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საღამოები.

2002 წლის 11 მაისს ჩატარდა დიდი კონცერტი სახელწოდებით «აფხაზეთი _ საქართველოს განუყოფელი ნაწილი». საღამოს ესწრებოდნენ საქართველოს საელჩოს, სათვისტომოს, მოსკოვის აღმოსავლეთი ადმინისტრაციული ოკრუგის განათლების სამმართველოს წარმომადგენლები. საღამოს ხელმძღვანელობდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი შ. ნოვიკოვა, მხატვრული კითხვის წრის ხელმძღვანელი ნ. ჟღენტი, დაწყებითი კლასების მასწავლებლები მ. ნემსაძე, ნ. გომურაშვილი და ხ. ნადირაშვილი. საღამომ დიდი მოწონება დაიმსახურა.

2004 წლის მაისში მოსკოვში ჩატარდა საზეიმო საღამო «რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა», რომლის ორგანიზატორი იყო ქართველთა საზოგადოება რუსეთში (ხელმძღვანელი ნ. მატუა).

ლიცეუმის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ე. გიორგობიანის ხელმძღვანელობით [1]421 საშუალო სკოლის მოსწავლეებთან ერთად ტარდებოდა რუსი მწერლების შემოქმედებითი საღამოები; დიდ მუშაობას ატარებდა მასწავლებელი რ. ფოჩხუა ინგლისური ენის შესწავლისა და მისი პრაქტიკაში გამოყენებისათვის.

ლიცეუმს საქმიანი კავშირი ჰქონდა საქართველოს საელჩოსთან, მოსკოვის ქართულ სათვისტომოსთან, ქართველთა საზოგადოებასთან რუსეთში და სხვ.

მოსწავლეთა დაახლოებით 60% მოსკოვში რჩებოდა და სწავლას განაგრძობდა მოსკოვის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, 40% კი ბრუნდებოდა საქართველოში.

2004 წლიდან მოსკოვის განათლების დეპარტამენტის პოლიტიკა საგრძნობლად შეიცვალა ნაციონალური სკოლების (ლიცეუმების) მიმართაც. საგრძნობი გახდა კერძო ნაციონალურ სკოლებში საგნების სწავლების რუსულ ენაზე გადაყვანის მცდელობა.

საყურადღებოა, რომ ქართულ ლიცეუმებში სწავლობს მოსწავლეთა კონტიგენტი, რომელთა დიდი ნაწილი სამშობლოში აპირებს დაბრუნებას და დაინტერესებულია ქართულ ენაზე სწავლით. ამიტომ ლიცეუმები შეეცადნენ ამ პროცესისათვის

წინააღმდეგობა გაეწიათ. რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის მიხედვით, თუ კერძო სკოლის დაფუძნების დროს წესდებაში დაფიქსირებულია ენა, რომელზეც მიმდინარეობს სწავლება, სკოლას უფლება აქვს სწავლების პროცესი და დოკუმენტაცია აწარმოოს ამ ენაზე ანუ ქართულად. მოსკოვის განათლების დეპარტამენტი ამ ეტაპზე თავის პოზიციას ასაბუთებს იმით, რომ ვერ აკონტროლებს ქართულ ენაზე შედგენილ სასწავლო პროგრამებსა და დოკუმენტაციას, და, აქედან გამომდინარე, თვით სწავლების პროცესს. 2004/2005 სასწავლო წელს ქართულ კერძო ლიცეუმებს არ გაუგრძელეს ლიცენზიები, ამასთან ერთად, გამოსცეს კანონი სახელმწიფო სკოლის შენობაში კერძო სკოლის მეორე ცვლაში მუშაობის შეუთავსებლობაზე. ამის შედეგად «ხ. კვარაცხელიას სახ. ქართული ლიცეუმი» დაიხურა. ლიცეუმმა «აფხაზეთმა», ერთი წლის უმოქმედობის შემდეგ, რუსულ მხარესთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად 2005 წლის 14 ნოემბერს განაახლა მუშაობა. დღეს ამ სკოლაში 40 მოსწავლეა. სკოლის ადმინისტრაციის ამოცანაა დაიბრუნოს დაკარგული კონტინგენტი, რათა სრულფასოვნად აღდგეს სწავლის პროცესი. სკოლის დირექცია წავიდა ერთგვარ კომპრომისზე _ დოკუმენტაციას აწარმოებს რუსულად, ქართული საგნები ისწავლება ქართულად, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო საგნები კი _ სანახევროდ ქართულ-რუსულად. მოსკოვის ოლქის ქ. ლიუბერციში არსებულმა ლიცეუმმა «კოლხეთმა» გაიარა აკრედიტაცია და კერძო დაწესებულების სტატუსით ფუნქციონირებს. მოლაპარაკება გრძელდება, რათა მომავალში ლიცეუმმა მოიპოვოს სახელმწიფო სკოლის ან კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის სტატუსი და რუსეთის ატესტა-ტების გაცემის უფლება. ლიცეუმი დოკუმენტაციას უკვე რუსულ ენაზე აწარმოებს, სწავლებას კი _ ჯერჯერობით, ქართულად. სკოლას ყველა პირობა გააჩნია ნორმალური ფუნქციონირებისათვის: უწყვეტი ლიცენზია, საკმარისი კონტინგენტი და შენობა. მოსკოვში მისი ფილიალი კი დაიხურა.

სამწუხაროდ, შეიმჩნევა აგრეთვე მოსწავლეთა დამოკიდებულების შეცვლა სწავლების ენის მიმართ. 90-იანი წლების დასაწყისში მოსკოვში მოხვედრილ ყველა ბავშვს (ისევე, როგორც მათ მშობლებს) იმედი ჰქონდათ სამშობლოში მალე დაბრუნებისა.

თანდათანობით, შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის უფრო რეალურად შეფასების შემდეგ, საქართველოში თუ მოსკოვში უმაღლესი განათლების მიღების

მსურველთა თანაფარდობა შეიცვალა. დღეს ნაციონალური სკოლების საუკეთესო კურსდამთავრებულები მოსკოვში რჩებიან და მის უმაღლეს სასწავლებლებში წარმატებით აგრძელებენ სწავლას. ამის გამო, გაიზარდა მოთხოვნილება ყველა საგნის რუსულ ენაზე სწალების და შესაბამისად გაიზარდა იმ ბავშვთა რიცხვი, რომელთა მშობლები უპირატესობას ანიჭებენ განათლების ეთნოკულტურული კომპონენტის მქონე სკოლებს. ამ პროცესს ხელს უწყობს მოსკოვის განათლების დეპარტამენტის ახალი სტრატეგიული კურსიც, რომელიც ითვალისწინებს მოზარდი თაობის მსოფლიო კულტურულ პროცესებში ჩართვის აუცილებლობას.

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესთან ადაპტაციის აუცილებლობაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ ეს, ჩვენი აზრით, არ უნდა მოხდეს ისტორიული მეხსიერების დაკარგვისა და ახალგაზრდათა მთელი თაობის _ იძულებითი ემიგრანტების, რომლებიც ჯერ კიდევ თავიანთ თავს საქართველოს ნაწილად თვლიან, სამშობლოსგან გაუცხოების ხარჯზე.

ამჟამად მოსკოვის განათლების დეპარტამენტი აგრძელებს მუშაობას ნაციონალური სკოლების განვითარების ახალ პროექტებსა და პერსპექტივებზე. მრავალმილიონიანი პოლიეთნიკური მეგაპოლისისათვის ერთაშორისი ურთიერთო-ბების ჰარმონიზაციის ფაქტორის მნიშვნელობის გათვალისწინებით მოსკოვის მთავრობამ შესაძლოა უახლოეს დროში გამონახოს განათლების ახალი ფორმები, რაც არა მარტო უზრუნველყოფს პიროვნების, როგორც მოცემული ნაციონალური კულტურისა და ტრადიციის წარმომადგენლის, თვითიდენტიფიკაციის შესაძლებლობას, არამედ შექმნის განსხვავებულ კულტურულ გარემოცვასთან თანასწორუფლებიან დიალოგში და თანამედროვე მსოფლიო ზოგადსაკაცობრიო პროცესებში მისი ჩართვის პირობებს.

ძირითადი დასკვნები

1. მოსკოვში სხვადასხვა პერიოდში შექმნილი ქართველთა საზოგადოებრივი გაერთიანებების მოღვაწეობა საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ისტორიული განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს.

2. XIX ს-ის მეორე ნახევრიდან ოქტომბრის გადატრიალებამდე მოსკოვში მოქმედმა სამმა საზოგადოებრივმა გაერთიანებამ _ მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტთან არსებულმა «ქართველ სტუდენტთა სათვისტომომ», «ქართველთა საზოგადოებამ მოსკოვში» და მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტთან არსებულმა «ი. ჭავჭავაძის სახ. ქართული კულტურის მოყვარულთა სტუდენტურმა წრემ» _ დიდი როლი შეასრულეს საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ჩამოყალიბებაში, ქართული საზოგადოებრივი აზრის აღორძინებასა და განვითარებაში. ამ გაერთიანებების მიზანდასახულმა და კარგად ორგანიზებულმა საქმიანობამ ხელი შეუწყო რუსეთში მცხოვრები ქართველების ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნებას, მოსკოვის ქართული დიასპორის სხვადასხვა თაობების გაერთიანებას, სამშობლოს მიმართ ეროვნული პასუხისმგებლობის განმტკიცებას, ქართველი ხალხის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და კულტურის მიმართ რუსეთის საზოგადოების ინტერესისა და პატივისცემის გაღვივებას, საქართველოსა და რუსეთს შორის კულტურული კავშირების გაღრმავებას.
3. XX ს-ის 80-იანი წლების შუახანებში საბჭოთა კავშირში დემოკრატიული გარდაქმნების დაწყებისთანავე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდნენ ახლებურად მოაზროვნე ადამიანები, რომლებმაც მიზნად დაისახეს ტოტალიტარულ სისტემაში საუკუნეების მანძილზე მცხოვრები ხალხების ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში მათი აქტიური ჩაბმა. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებიან მოსკოვის ქართული დიასპორის წარმომადგენლები, რომელთა ძალისხმევით უკვე 1987 წელს შეიქმნა პირველი ქართული საზოგადოებრივი გაერთიანება «რუსეთისა და საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მოყვარულთა გაერთიანება «ძალისა» (შემდგომში _ «რუსეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოება _ «ძალისა»), ხოლო 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით _ ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება «მოსკოვის ქართული სათვისტომო».
4. 1992 წელს მოსკოვში შექმნილმა ნებაყოფლობითმა თვითმართვადმა საგანმანათლებლო საზოგადოებრივმა გაერთიანებამ «ქართველთა საზოგადოებამ რუსეთში» აფხაზეთის ტრაგედიასა და მოსკოვში ლტოლვილების მოზღვავებასთან

დაკავშირებით მკვეთრად შეიცვალა თავისი «არაპოლიტიკური» ორიენტაცია და აქტიურად ჩაება საპროტესტო აქციებში, ინფორმაციულ ომში და საქველმოქმედო საქმიანობაში.

5. გასული საუკუნის 80_90-იანი წლებიდან დღემდე მოსკოვში შექმნილ ყველა საზოგადოებრივ გაერთიანებას, გარდა საერთო მიზნებისა (დიასპორის ხელმოკლე წევრებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა, მშობლიური ენის, ეროვნული კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნება, საქართველოსა და რუსეთს შორის კულტურული კავშირების აღდგენა), აქვს კიდევ განსხვავებული ამოცანები, მაგალითად, ეროვნული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნა (ქართველთა საზოგადოება რუსეთში, მოსკოვის ქართული სათვისტომო, დიასპორების ხელშემწყობი ფონდი «კრედო»); ნიჭიერი ბავშვებისა და შემოქმედებითი ახალგაზრდობისათვის დახმარების გაწევა (ქართველთა საზოგადოება რუსეთში, დიასპორების ხელშემწყობი ფონდი «კრედო»); საგამომცემლო საქმიანობა (ქართველთა საზოგადოება რუსეთში, მოსკოვის ქართული სათვისტომო, დიასპორებთან ურთიერთობისა და ეროვნული თანხმობის საზოგადოებრივი ცენტრი); უფასო სამართლებრივი და სოციალური დახმარება, ადამიანთა უფლებების დაცვა (ქართველთა საზოგადოება რუსეთში, დიასპორების ხელშემწყობი ფონდი «კრედო»); პოლიტპატიმრების ინტერესების დაცვა (ქართველთა საზოგადოება რუსეთში, დიასპორებთან ურთიერთობისა და ეროვნული თანხმობის საზოგადოებრივი ცენტრი); ვაჭრობის, ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკისა და ეკოლოგიის სფეროში საქართველოსა და რუსეთს შორის თანამშრომლობის ორგანიზება (საქართველოსთან მეგობრული, კულტურული და საქმიანი თანამშრომლობის საერთაშორისო ასოციაცია); აფხაზ და ქართველ ბიზნესმენებს შორის საქმიანი კონტაქტების, რუს მეწარმეებთან თანამშრომლობის დამყარება (საზოგადოებრივი მოძრაობა «დაბრუნება»); აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე ობიექტური ინფორმაციის გავრცელება (ქართველთა საზოგადოება რუსეთში, საერთაშორისო საინიციატივო ჯგუფი «აფხაზეთი», საზოგადოებრივი ლაბორატორია: ქართული დიასპორის სამოქალაქო ჯგუფი) და სხვ.

6. XX ს-ის 90-იანი წლებიდან დღემდე მოსკოვში არსებობს ორი ტიპის ქართული ნაციონალური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლები: ეთნოკულტურული (ქართული) კომპონენტის მქონე სკოლები (სახელმწიფო დაფინანსებით) _ მოსკოვის ცენტრალური ადმინისტრაციული ოკრუგის [1]1331 და ჩრდილოეთის ადმინისტრაციული ოკრუგის [1]223 სკოლები, და ქართული ნაციონალური კერძო სკოლები _ ლიცეუმები: ხ. კვარაცხელიას სახ. ქართული ლიცეუმი, ქართული ლიცეუმები _ «კოლხეთი» და «აფხაზეთი». ქართული სკოლების ძირითად კონტინგენტს შეადგენენ ლტოლვილი ბავშვები, რომელთა მშობლებს სამშობლოში უახლოეს დროში დაბრუნების იმედი ჰქონდათ და ადგილობრივ სოციო-კულტურულ გარემოში აქტიურ ჩართვას არ ჩქარობდნენ.

   ქართული ნაციონალური სკოლების, როგორც საზოგადოებრივი გაერთიანე-ბების ერთ-ერთი ფორმის, მდგომარეობა უშუალოდაა დამოკიდებული 90-იანი წლების მიწურულს რუსეთის ფედერაციის და, შესაბამისად, მოსკოვის მთავრობის ნაციონალური პოლიტიკის პრინციპების ტრანსფორმაციაზე.

7. XX ს-ის 80_90-იანი წლების მიჯნაზე მოსკოვის მთავრობა, მის მიერ დემოკრატიული ღირებულებების უპირველესობის აღიარების შესაბამისად, ცდილობდა თავისი მრავალეროვანი მოსახლეობის ეთნოკულტურული და ეთნოსაგანმანათლებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და ყოველმხრივ ხელს უწყობდა ნაციონალური განათლების დაწესებულებების, მათ შორის, ნაციონალური სკოლების, დაარსება-აღდგენას. ამ პერიოდში თითოეულ ნაციონალურ სკოლას მიეცა საშუალება რუსეთის და თავისი ქვეყნის განათლების საბაზისო პროგრამების მოთხოვნების გათვალისწინებით განეხორციელებინა სწავლების პროცესი მშობლიურ ენაზე ინდივიდუალური მოდელით; თავისი პასუხისმგებლობით შეემუშავებინა პროგრამები, სადაც სრულად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ნაციონალური კულტურის სიმდიდრეები, ტრადიციები, ქცევის სოციალური ნორმები და ა.შ.

8. 90-იანი წლების შუახანიდან მოსკოვის სამეცნიერო-პედაგოგიურ წრეებში გაისმა კრიტიკა ნაციონალური სკოლების სასწავლო პროგრამებისა და მათი კრიტერიალური ბაზის არასრულყოფილების და თავად სკოლების «იზოლაციონის-

ტური» მიმართულების შესახებ. ხაზგასმული იყო მოსკოვში მცხოვრები ყველა ეროვნების ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა საერთო რუსულ სოციო-კულტურულ კონტექსტში ჩართვის აუცილებლობა. 90-იანი წლების ბოლოს ამას მოჰყვა ნაციონალური კომპონენტის ძირითადი საგნობრივი შემადგენლობის შემცირება და მისი რეალიზაცია ფაკულტატიური და დამატებითი (კლასგარეშე) განათლების ფორმით. მოსკოვის მთავრობის და, შესაბამისად, მოსკოვის განათლე-ბის დეპარტამენტის პოლიტიკის პრინციპები ნაციონალური სკოლების მიმართ მკვეთრად შეიცვალა, რასაც ადასტურებს 2000_2005 წლებში რუსეთის ფედერაციისა და მოსკოვის მთავრობების მიერ მიღებული შესაბამისი დადგენილებები.

9. დღეს მოსკოვში არსებული განათლების ეთნოკულტურული (ქართული) კომპონენტის მქონე სკოლებში ყველა საგნის სწავლება გადაყვანილია რუსულ ენაზე, გარდა ეთნოკულტურული კომპონენტის მომცველი საგნებისა. ამ საგნებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სექტორში გამოყოფილი საათები შემცირებულია. ამის სანაცვლოდ გაზრდილია ფაკულტატიური და დამატებითი (კლასგარეშე) განათლების წილი. ამ მიზნით სკოლებს გამოეყოთ დამატებითი საშტატო ერთეუ-ლები.

კერძო ნაციონალური სკოლა-ლიცეუმებიდან ხ. კვარაცხელიას სახ. ქართულმა ლიცეუმმა და ლიცეუმ «აფხაზეთის» ფილიალმა შეწყვიტეს არსებობა. დღეისათვის ფუნქციონირებს მხოლოდ ორი ლიცეუმი _ «კოლხეთი» და «აფხაზეთი».

10. ამჟამად მოსკოვში ოფიციალურად რეგისტრირებული 20-ზე მეტი საზოგადოებრივი გაერთიანებიდან მეტ-ნაკლები ინტენსიურობით ფუნქციონირებს 13. უმრავლესი მათგანის მიზნები და სამოქმედო გეგმები, მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა და ძალთა თანაფარდობის გათვალისწინებით, უფრო ადეკვატური და რეალური გახდა: მეტი ყურადღება ეთმობა ჩატარებული და დაგეგმილი ღონისძიებებისათვის დამატებითი შემოქმედებითი პოტენციალის მინიჭებას, დესტრუქციული პოლიტი-კური და ეთნოსოციალური ენერგიის პოზიტიურ მოღვაწეობაში გადაყვანას, ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებას და, იმავდროულად, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ტრადიციების განმტკიცებას. წინა პლანზე წამოიწია მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის საქარ-

თველოს შესახებ ობიექტური ინფორმაციის დროულად მიწოდების პრობლემა, რასაც, ზოგიერთი ქვეყნის მასმედიის საჯარო არაობიექტური, ზოგჯერ კი ცილისმწამებლური გამოხდომების ფონზე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს პრესტიჟის განმტკიცებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IV, რუსეთ-საქართველოს ისტორიიდან XVI_XVII საუკუნეთა მიჯნაზე, «მეცნიერება», თბ., 1967.
2. გოდერიძე ლ., ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებების ისტორია. «ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება». დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1971.
3. გონიკიშვილი მ., ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, «მეცნიერება», თბ., 1986.
4. დედაბრიშვილი გ., ქართულ-რუსული ფილოსოფიური ურთიერთობის ისტორიიდან, «მეცნიერება», თბ., 1984.
5. ვაჩნაძე მ., გურული ვ., საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, თსუ გამომცემლობა, თბ., 2003.
6. ვაჩნაძე მ., გურული ვ., საქართველოს ისტორია (XIX საუკუნის დამდეგიდან XX საუკუნის დამდეგამდე), თსუ გამომცემლობა, თბ., 2004.
7. კეშელავა ვ., სახელმწიფო და ეთნოკონფლიქტები. ჟურნ. «ეთნოპოლიტიკა», [1]1, 2000.
8. მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ისტორიისათვის, ნაწ. II, თეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1968.
9. მენაბდე ლ., ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერების ისტორიიდან (არჩილის კოლონია მოსკოვში), თსუ შრომები, ტ.96, 1963.
10. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX ს-ის 30-იან წლებამდე, «საბჭოთა საქართველო», თბ., 1973.

11. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.V, საქართველო XIX საუკუნის 30_90-იან წლებში, «საბჭოთა საქართველო», თბ., 1970.
12. სიხარულიძე ფრ., მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, «მეცნიერება», თბ., 1991.
13. ტატიშვილი ვლ., ქართველები მოსკოვში, «საბჭოთა საქართველო», თბ., 1959.
14. ტატიშვილი ირ., დეკანოსიძე თ., მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა, «მეცნიერება», თბ., 1960.
15. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.IV.
16. ყიფიანი შ., ალ. ჯავახიშვილი (ცხოვრება და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა), «მეცნიერება», თბ., 1957.
17. ცაგარელი ჟ., მოსკოვის ქართველების «ნატვრის ხე», გაზ. «მშვიდობა ყოველთა», 3_15 ნოემბერი, 2000.
18. ცინცაძე ი., ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X_XVI სს.), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1973.
19. Андроникашвили Б.Б., Надежд питомцы золотых. "Мысль", М., 1992.
20. Аракелян О.В., Организация работы многонационального УВК, Журн. "Педагогический вестник", №6 (22), 1995.
21. Аракелян О.В., Поликультурное образование: сущность и содержание, "Грааль", М., 2001.
22. Асманов А.Г., Формирование установок толерантного сознания как теоретическая и практическая задача. Альманах "Этносфера–Этнодиалоги", №2 (20), 2003.
23. Валаткойте С.Л., Московская литовская школа в системе национального образования России (1920–1937), Журн. "Состояние и перспективы развития учреждений национального образования г. Москвы", вып.2, 1995.
24. Вопросы теории общественных организаций. Сб. ст. Ин-та государства и права АН СССР, М. 1977.
25. Горячев Ю.А., Москва на пути к культуре мира и формирование толерантности средствами образования. Журн. "Этнокультурное (национальное) образование в Москве", вып.2, 2003.
26. Джавахишвили Г., Нико Николадзе и русская журналистика, Изд-во Тбилисского университета, Тб., 1978.
27. Джапаридзе Д., Две России – одна Грузия. Журн. "Новое время", №1–2, 2000.
28. Добровольные общества в Петербурге–Ленинграде в 1917–1937 гг. Сб. ст. Л. 1989.

29. Екимов В.П., Развитие национального образования в Москве. Журн. "Педагогический вестник", №6 (22), 1995.
30. За мир на Кавказе (редакционная статья). Журн. "Вестник Международного Комитета гражданской дипломатии". №3–4, 2002.
31. Историография и источники истории государственных учреждений и общественных организаций СССР. М., МГИАИ, 1983.
32. Каландадзе Ц.П., Участие Грузин в культурной и общественной жизни России в первой половине XIX века, часть I, "Мецниереба", Тб., 1979.
33. Каландадзе Ц.П., Участие Грузин в культурной и общественной жизни России, "Мецниереба", Тб., 1984.
34. Каспржак А.Г., Левит М.Б., Базисный учебный план и российское образование в эпоху перемен, М., 1994.
35. Кезина Л.П., Выступление на заседании Правительства Москвы 14 апреля 1998 г. Этнодиалоги: Образование и этнокультурное сотрудничество, М., 1998.
36. Общество грузин в России. "Вестник Международного Комитета гражданской дипломатии", №2, 2001.
37. Паичадзе Г.И., К истории грузинской колонии в Москве в XVII–XVIII вв., "Мецниереба", Тб., 1982.
38. Папаскири З.В., У истоков грузино-русских политических взаимоотношений, Изд-во Тбилисского университета, Тб., 1982.
39. Полянский В.С., Историческая память в этническом самосознании народов. Журн. "Социологические исследования", №3, 1999.
40. Попов Т.Т., Субботин Дм.Т., К истории советских общественных организаций (сборник архивных документов), М., 1970.
41. Пригожин А.И. Социология организаций, М., Наука, 1980.
42. Саитидзе Г.Г., Грузины в Московском государственном университете, Изд-во Тбилисского университета, Тб., 2003.
43. Следзевский И.В., Мирокультурные установки Московской программы толерантности и их реализация средствами образования. Журн. "Этнокультурное (национальное) образование в Москве", вып.2, 2003.
44. Сусоколов А.А., Этнокультурный компонент в структуре столичного образования, Сб. "Тенденции и проблемы развития учреждений национального образования г. Москвы", вып.3. 1997.
45. Творческие объединения трудящихся. Сб. ст., М., 1982.

46. Ушакова В.Г., История национальных школ в Москве. Сб. "Состояние и перспективы развития учреждений национального образования г. Москвы", вып. 2, М., 1995.
47. Ушакова В.Г., Инновационные процессы в национальном образовании. Сб. "Тенденции и проблемы развития учреждений национального образования г. Москвы", вып.3, 1997.
48. Хомяков М.Б., Толерантность и глобализация. Журн. "Этнокультурное (национальное) образование в Москве", вып.11, 2004.
49. Хруслов Г.В., Права меньшинств в образовании: школа этнической диаспоры. М., 1996.

ოფიციალური დოკუმენტები

1. დიასპორების ხელშემწყობი ფონდი «კრედო» (ანგარიში), 2004 წ.
2. Городская программа "Столичное образование – 1". Московский департамент образования, М., 1994.
3. Закон Правительства Москвы "О национальных отношениях в городе Москве". М., 1999.
4. Концепция государственной национальной политики Российской Федерации. Указ Президента Российской Федерации от 15 июля 1996 г. Журн. "Национальное образование в Москве", вып.4, 1997.
5. Концепция содержания образования московских школ с этнокультурным (националным) компонентом. Решение Московского департамента образования от 09.12.1994 г.
6. Московский региональный учебный базисный план, М., 1996.
7. Постановление Правительства Российской Федерации "О национальной доктрине образования в Российской Федерации" от 4 октября 2000 г. №751.
8. Постановление Правительства Москвы "Городская целевая программа "Модернизация московского образования (Столичное образование – 3)" от 20.11.2001 г. М., 2001.
9. Постановление Правительства Москвы "Городская целевая программа развтия образования "Столичное образование – 4" на 2005–2007 годы" от 10 июля 2005 г.
10. Постановление Правительства Москвы "О состоянии и развитии этнокультурного (национального) образования и взаимодействия с национальными объединениями в Москве" от 12 мая 1998 г., №382.
11. Федеральный закон Российской Федерации "О национально-культурной автономии". 5 июня 1996 г., №908.
12. Федеральный закон Российской Федерации "Об образовании" от 10 июля 1992 г.

13. Отчет о деятельности "Общества грузин в Москве" за 1907 г. 20 сентября 1908 г., Москва.
14. Отчетный доклад Президента "Общества грузин в России" за 1995–1996 гг.
15. Протокол №1 заседания Советва Братства св. вмч. Георгия и св. рап Нины. 22 июня 1993 г., г. Москва.
16. Протокол совещания членов Совета постоянно действующего органа общественного движения "Возвращение". 10 декабря 2003 г., Москва.
17. Устав Любительского объединения "Дзалиса" по охране памятников истории и культуры России и Грузии. 18 февр. 1988 г., Москва.
18. Устав Общества грузин в Москве. Типография штаба Московского военного округа, 1907.
19. Устав Международной общественной организации "Международная ассоциация дружбы, культурного и делового сотрудничества с Грузией". 17 июня 1996 г., г. Москва.
20. Устав Московского грузинского землячества, 1999 г., г. Москва.
21. Устав Общества грузин в России, 25 сентября, 1992 г., г. Москва.